ეძღვნება ბადრი პატარკაციშვილის ნათელ ხსოვნას

გივი წიწუაშვილი, ნათელა პატარკაციშვილი,
ნატო ჯვანტალიანი, შაბთაი ცური,
ჯანგირ მამალაძე

ებრაელი ექიმები საქართველოდან

წიგნი პირველი

גיווי ציצואשווילי נתלה פטרקצישווילי
נטו קוואנטליאני שבתי צור
ג'אנגיר ממלדזה

הרופאים היהודיים מגאורגיה

თბილისი 2009 טביליסי

წიგნი ეძღვნება ქართველ ებრაელთა იმ თაობას, რომელმაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და შემდგომ საექიმო საქმიანობა განაგრძო საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ნაშრომში თავმოყრილია ზოგიერთი თვალსაჩინო ქართველ-ებრაელ მედიკოსთა ცხოვრების, სამეცნიერო-სამედიცინო, პედაგოგიური, საექიმო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი გაიღეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სამედიცინო დარგის განვითარებაში.

მასში ასახულია, აგრეთვე, მათი მოგონებები და ურთიერთდამოკიდებულება აღმზრდელ პედაგოგებთან, კოლეგებთან, პაციენტებთან, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, მოცემულია მათ მიერ შესრულებული შრომების მოკლე მიმოხილვა და სხვა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნაშრომი კიდევ ერთი გამოხატულება იქნება ორი მომმე ერის ურთიერთობისა და თანადგომის, რომელიც ჭეშმარიტი მაგალითია საუკუნეების მანძილზე ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის არსებული თანაცხოვრების ისტორიული შედეგისა.

წიგნი მზად იყო დასაბეჭდად 2007 წლისათვის. სხვადასხვა მიზეზის შედეგად მისი გამოცემა დაგვიანდა. შესაძლებელია ამ პერიოდში მოხდა ზოგიერთი ცვლილება მათ ცხოვრებასა და საქმიანობაში, რაც, ბუნებრივია, არ იქნა წიგნში ასახული.

წიგნი გამოიცა საერთაშორისო ფონდ „სტენტ"-ის ინიციატივით

რედაქტორი – საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – რამაზ შენგელია

მხატვარი – გოგი ავსაჯანიშვილი
მონტაჟი – ხათუნა სვანიშვილი
დიზაინი – თამარ მინდორაძე
ფოტომონტაჟი – ედუარდ გიგილაშვილი
კორექტორი – ჯულიეტა მინდიაშვილი
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ქოიავა

ორი ერის ურთიერთობის ისტორიული წარსული

„მე ვამაყობ ხალხით,რომელსაც ეკუთვნიან ჩემი წინაპარნი, ვამაყობ არა მარტო მისი დიდებული ისტორიული წარსულით, არამედ იმ სახელოვანი მომავლითაც, რომელიც მას ელოდება"

ლორდ ბიკონსფილდ - დიზრაელი

მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი შემოქმედი ებრაელი ხალხის გენიაა, რომელთა აზროვნების შედეგი კაცობრიობის ისტორიაში შექმნილი საგანძური, წიგნთაწიგნი ბიბლია, სიბრძნის, ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის მქადაგებელია ჩვენს პლანეტაზე.

ცივილიური კაცობრიობა დიდად აფასებს ებრაელი ერის ღვაწლს ადამიანთა მიმართ მატერიალური და სულიერი აშაღლების საქმეში გაწეული უდიდესი წვლილისათვის.

ებრაელი ხალხის ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის, თავისი ქვეყნისა და ხალხის მიმართ მოვალეობის, პასუხისმგებლობის გამოხატვის საუკეთესო მაგალითია.

საშობლოსადმი ერთგულება და თავდადება თითოეული ებრაელის უზენაესი მოვალეობა და მიზანი იყო. გაიხსენოთ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები, რომელსაც ებრაელები ფიცად იღებდნენ ბაბილონში ტყვეობისას: „თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დამიყიწყოს მარჯვენამ ჩემმა, მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გაგიხსენო, თუ არ დაგაყენო იერუსალიმი ჩემი მხიარულების სათავეში".

ამ სიტყვების ერთგული ებრაელობა, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს „არა მარტო აფიცებდნენ და მოსთქვამდნენ, არამედ მოქმედებდნენ, იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ".

მსოფლიო ისტორიაში არ მოიძოვება მსგავსი მაგალითი იმისა, რომ ხალხმა, რომელმაც დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა და მიმოიფანტა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ორი ათასი წელი იცხოვრა საკუთარი სამშობლოს გარეშე და, მიუხედავად ყოველივე ამისა, შეძლო დარჩენილიყო ერთიან ერად, შეენარჩუნებინა სულიერი რწმენა, რჯული, ადათ-წესები და თავის ისტორიულ მიწაზე კვლავ აღედგინა ახალი ეროვნული სახელმწიფო.

გოდების კედელთან

ასეთია ისტორიული ხვედრი იმ დიდებული და სახელგანთქმული ერისა, რომელსაც ბედმა ხელიდან გამოსტაცა სამშობლო, თვითმყოფადობა და განაბნია იგი უგზოუკვლოდ დედამიწის თითქმის ყველა მხარეში.

ებრაელობა თავისი არსებობის უმძიმეს პერიოდშიც კი ერთგულად ინარჩუნებდა ეროვნულ ხნეობრიობას. მათ არასოდეს მიუყენებიათ ჩრდილი თავიანთი ღირსების, ისტორიული წარსულისადმი, რამაც განაპირობა მთავარი — რწმენა მომავლისა, იმედი შენებისა და კეთილდღეობისა. „ებრაელობა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ხალხთა შორის, — აღნიშნავს ცნობილი პოლიტოლოგი, პროფესორი აბონ ციციაშვილი თავის წიგნში „ებრაელები და საქართველო“ — რომელთა ეროვნული და რელიგიური კუთვნილება სრულიად ემთხვეოდა ერთმანეთს. ებრაელი არ შეიძლება იყოს არც კათოლიკე, არც ბუდისტი, არც მუსლიმანი. იუდეველთა კონფესია, რჯული აბსოლუტურად ერთნიშნაა და ღერძი, რომელიც განსაზღვრავდა ებრაელთა ცხოვრების წესს, იყო თორა, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა ქრისტომატულად ქცეულ ფრაზაში: „ებრაელები ინახავდნენ თორას, თორამ კი შეინახა ებრაელები“.

ისრაელის ისტორიულ მიწაზე, დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციის დიდ შესაყარზე, განუწყვეტელი თავდაცვითი ომებისა და გამუდმებული საფრთხის პირობებში, თანამედროვე პუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოს შენება, ხალხის თავდაუზოგავი შრომითა და გონებით შექმნილი დოვლათი, ის დიდი სტიმულია, რომელსაც ყოფიერების უმაღლესი მიზნისაკენ მიმყავს კაცობრიობა. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები ნინებულად გამოხატავს აღნიშნულს: „ადამიანი განსაცდელში ამყლავნებს როგორც თავის სიდიადეს, ისე სიძაბუნესაც“. სწორედ რომ მრავალ ჭირსა და ვარამს გამოვლილმა ებრაელმა ერმა შეძლო სახწაულების მოხდენა. 1948 წლიდან მოყოლებული ისრაელის სახელმწიფო აღმშენებლობის მძლავრმა პროცესმა მოიცვა. დროის ამ მცირედ მონაკვეთში მეტად საგულისხმოა მსოფლიო მასშტაბით მეცნიერული პროგრესის, საკაცობრიო პუმანური იდეალების, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ფორმაციის დამკვიდრების საქმეში მათ მიერ გაწეული წვლილი.

იერუსალიმის ხედი

ებრაელი ხალხის სახელოვანი შვილი, ქალბატონი გოლდა მეირი თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება“ აღნიშნავს: „როგორ წარმომიდგენია ჩემი ქვეყნის მომავალი? ებრაელთა სახელმწიფო დასახლებული და აშენებული მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ამოსული ებრაელებით. ისრაელში მუდამ იქნება აყვავებული დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც იარსებებს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპით“.

დღევანდელი სამყაროს უამრავი პრობლემა სხვა განზომილებათა წინაშე აყენებს კაცობრიობის მოდგმას. ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი, დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „რა დიდი ღვაწლიც არ უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“. სადღეისოდ, მსოფლიო მასშტაბით, ებრაელთა ხვედრითი წილი საკმაოდ ფასეულია თითქმის ყველა დარგში. აღნიშნულის დასტურად მოვიშველიებთ გამოჩენილი მეცნიერის, ისტორიკოსის, პროფე-

ქართველ ებრაელთა წარმომადგენლობა სთავაზობს სამსახურს ერეკლე II-ს სპარსეთის წინააღმდეგ ომში (მხატვარი ა. ციმაკურიძე)

სორ ლევან სანიკიძის სიტყვებს: „რა ნაკლული, იქნებ კუტიც. იქნებოდა გონებისმიერი მსოფლიო ებრაელი გონის გარეშე“.

ებრაელობა წიგნიერი და მოღვაწე ერია მსოფლიოში. ქართველი ებრაელი განუყოფელი და ორგანული ნაწილია თავისი მოდგმისა. საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა უმრავლესობა შეესისხლხორცა და შეერწყა ქართულ სულიერებას, კულტურას, ჩვეულს. იღია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ: „ებრაელები საქართველოში არც ერთ იმ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რომლებიც ქრისტიანებს პქონდათ მონიჭებული“.

ქართველ და ებრაელ ერებს შორის თანაცხოვრების ისტორიული ეტაპების შეფასება ოდითგანვე ორიენ ერის სახელმწიფო, პოლიტიკურ, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა, ხელოვანთა, კულტურისა და შრომელი ხალხის დარგის წარმომადგენელთა მუდმივი განსჯისა და განხილვის საგანი ხდება.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულში ცნობილმა ებრაელმა მწერალმა შოლომ ალეიხემმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ახალგაზრდა დავით ბაზოვს, რომელიც ქართველი ებრაელობის ნიჭიერ და პერსპექტიული მომავლის მქონე პიროვნებად იყო აღიარებული: „თქვენი პირდაპირი ვალდებულებაა, დიდი მონაწილეობა მიიღოთ ქართველი ერის ცხოვრებაში, აღუზარდოთ ისეთი შვილები, რომ გააძლიერონ მათი ლიტერატურა... ჩვენი ერი იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დიდ ტანჯვას განიცდიდა ერთგულად ასრულებდა თავის მამულიშვილობას, აძლევდა მას ნიჭიერ შვილებს ყველა დარგში და თქვენ კი ხომ არაფერი გაჭირვება, დევნა არ განგიცდიათ ამ კეკლუცი ერისაგან და ამიტომ მათ წინსვლას მეტი ძალი და ღონე უნდა შესწიროთ“.

ებრაელი ხალხის სახელოვანი შვილის ეს ნაანდერძევი მიზანმიმართული მოწოდება იყო ორი მოძმე ერის ისტორიული ურთიერთობის ყველა ეტაპზე. ქართველი ებრაელობა ერთგულად ემსახურებოდა ქართველი ერის ინტერესებს, ცხოვრობდა

თბილისის სინაგოგა

მათი ცხოვრებით, თუნდაც რაოდენ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე არ ყოფილიყო პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური სირთულით გამოწყვეული გარემო.

ცნობილი მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე გურამ ბათიაშვილი ქართველი და ებრაელი ერების ისტორიული ურთიერთობას ასეთ შეფასებას აძლევს: „ქართველ ხალხს ებრაელის ერთი წვეთი სისხლიც კი არ მოუცხია თავისი ნათელი ეროვნული დროშისათვის — პირიქით, როცა სხვები სდევნიდნენ, სისხლს ანთხევინებდნენ, ქართველები იცავდნენ. რამდენიმე სახელი შემოინახა ისტორიამ, სახელი იმ ქართველებისა, ებრაელებისათვის რომ დასდეს თავი.

ებრაელობამაც ნათლად ატარა ეროვნული ზნეობრიობის დროშა — ერთხელაც არ უღალატნია ქართველთათვის“.

ქართული სახელმწიფოს სამსახურში მდგომი ებრაელობა ცდილობდა თავისი წვლილი გაეღო ჩვენს ქვეყანაში განათლების, ცივილიზაციის, პროგრესის დამკვიდრებასა და განვითარებაში.

ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვან ძმობას მყარ საძირკველზე ედგა ფესვი. სწორედ ამის გამო, ქართველი და ებრაელი ხალხების 26-საუკუნოვანი თანაცხოვრებისა და შე-

ონის ქართველი ებრაელები მიესალმებიან აკაკი წერეთელს
(მხატვარი დ. გველესიანი)

გობრობის მატიანე მრავლისმთქმელი ისტორია და ერთა ურთიერთობის უნიკალური ფენომენია.

ზაქარია ქიქინაძე "წერილში „ქართველნი ებრაელნი საქართველოში" აღნიშნავდა: „არ თქმულა და არ გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ებრაელს საქართველოსათვის ელალატოს და რაიმე ცნობები სხვა სახელმწიფო მტერრათვის გადაეცა, თუმცა ამის შეძახვევა მათ ხშირად მიეცემოდათ".

ებრაელთა მიერ ქართველი ხალხის მიმართ გაწეულმა ერთგულებამ ისტორიული შედეგი გამოიღო. ქართველმა ერმა სიყვარულითვე უპასუხა მათ გულწრფელ დამოკიდებულებას და საუკუნეების მანძილზე მხარდამხარ იღვწოდნენ საქართველოს სასიკეთოდ.

საქართველოს ეკლესიას ქართველი ებრაელობა ბიბლიურ ძმებად მიაჩნია. ებრაელობას, ისტორიულად, ქართველი ხალხი ერთმოყვარე, რჯულშემწყნარებელი და დიდსულოვანი ბუნების მატარებელ ერად ჰყავს აღიარებული.

ქართველ ხალხს, ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე მრავალ ეპოქაში ბევრი საშინაო და საგარეო ომი გადაუხდია როგორც მომხდურთა, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ, მაგრამ ქართველ ებრაელობასთან კონფლიქტური დაძაბულობის მცირედი გამოვლინებაც კი არ არის აღწერილი და მითითებული არც ერთ ისტორიულ წყაროში. ებრაელთა მხრიდანაც არ ყოფილა არავითარი მცდელობა საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. სწორედ ამაში გამოიხატა



ონის სინაგოგა

ორი ერის ურთიერთსიყვარული, ურთიერთნდობა, სიბრძნე და სათანადო თავდაჭერილობა.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა. 1905 წლის ოქტომბერში ოდესაში ანტისემიტური გამოსვლები ბობოქრობდა, მიმდინარეობდა ებრაელთა განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა. ამ ენით აუწერელ ბარბარობობას წინ აღუდგა ოდესის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პრივატ-დოცენტი საბა კლდიაშვილი, რომელიც შავრაზმელის ტყვეთა განიგმირა. ებრაელობამ, როგორც ოდესაში, ისე მის მშობლიურ ქუთაისში, დიდი პატივი მიაგო მის ხსოვნას. ახალგაზრდა მამაცი ქართველის თავგანწირვაზე თითქმის მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ძალზე შთამბეჭდავია ცნობილი ქართველი რეჟისორის მიხეილ ქორელის მოგონება.

1906 წელს ბატონი მიხეილი პარიზში ჩასულა ახალგაზრდა მეუღლესთან, შემდგომში ქართული სცენის გამოჩენილ ოსტატ ნუცა ჩხეიძესთან ერთად, რომელიც მკურნალობას საქართველოებდა. პარიზში მათთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია ებრაელ ექიმს — ციკლისს, რომელსაც ქალბატონი ნუცასთვის მკურნალობის დამთავრების შემდეგ, პონორარზე სასტიკი უარი უთქვამს. ამის გამო მიხეილ ქორელსა და ექიმ ციკლისს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— იცნობდით თუ არა თქვენ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს საბა კლდიაშვილს?

— რასაკვირველია, ვიცნობდი. — იყო პასუხი.

— ისიც ხომ იცით, რომ ამ ადამიანმა, ოდესაში ებრაელთა დარბევის დროს, თავი ებრაელებს შესწირა.

— ვიცი. — უპასუხა მიხეილ ქორელმა.

— მაშ, რად გიკვირთ, რომ რითაც შემიძლია პატივს ვცემ საბა კლდიაშვილის ხსოვნას, ამ წმინდა ადამიანის სახსოვრის თითოეული წვეთი ებრაელებს ავალებს ყოველ ქართველს პატივი მიაგოს.

ასეთი ფაქტი, ჩვენი ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ერთეული რიდია.

კიდევ ერთი ისტორიული მოვლენა ჩვენი ხალხების ცხოვრებიდან. 1921 წელს, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად, ნოე ჟორდანიას მთავრობა იძულებული შეიქმნა ემიგრაციაში წასულიყო და თან წაიღო ერთეული ხაგანძური.

იოსებ ელიგულაშვილის ოჯახი ნოე ჟორდანიასთან ერთად, 1920 წ.

რომლის მცველი დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს მექურქლეოუხუცესად" წოდებული, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. ბედის უკუღმართობის ამ უმძიმეს ჟამს, მის გვერდით იდგა ქართველი ხალხის ერთგული მეგობარი, ებრაელი ხალხის სახელოვანი შვილი, საქართველოს მთავრობის ფინანსთა მინისტრის მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი. აი, როგორ აფასებდა ბატონი იოსები ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობას: „საქართველოში ებრაელები არასოდეს არ წარმოადგენდნენ შურისა და დევნის ობიექტს. ქართველი ხალხი ყოველთვის იყო ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი და ლოიალური". სწორედ, რომ მისი დიდი წვლილიცაა ამ ერთეული განძის გადარჩენასა და დაბრუნებაში, რასაც ქართველი ხალხი დიდი მადლიერებით მოიხსენიებს.

ცნობილმა ებრაელმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ქართველი ებრაელების შესახებ პირველი წიგნის ავტორმა ნათან ელიაშვილმა, 1925 წელს ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ვადაუჭარბებლად შეძლია ვთქვათ, რომ ჩვენს სამყაროში არ არსებობს ისეთი ებრაული კონგრეგაცია“, ებრაული ერის ისეთი მიტოვებული, მივიწყებული ნაწილი, რომელზეც ასე ცოტას ლაპარაკობდნენ, ასე ცოტა იცოდნენ მისი არსებობის შესახებ. ასეთები კი საქართველოში მცხოვრები ებრაელები არიან“.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის დღეებში, თბილისში, ებრაელთა თორაში გაიმართა ხულის მოსახსენებელი პანაშვიდი, სადაც სიტყვა წარმოთქვა ებრაელთა რაბინმა ი. ლევინმა: „სიტყვა არ მოიძებნება ქართველი ერის ღრმა მწუხარების გამოსათქმელად. მოი პატივცემულო თანამოძმენო! ვინ უნდა თანაუგრძნოს, თუ არა ჩვენმა ერმა, თუ არა ჩვენ, ებრაელებმა, ქართველი ხალხის უბედურებას“. ასე გაითავისა ქართველმა ებრაელობამ ჩვენი ეროვნული ტკივილი.

მადლიერმა ქართველმა ებრაელობამ საქართველოსა და ქართველი ერისადმი სიყვარული და ერთგულება ჩაიტანა ისრაელში — მის ისტორიულ სამშობლოში. ფესვები ამ ორი ერის სანიმუშო შეგობრობისა მრავალსაუკუნოვანი წარსულია, ხოლო დღევანდელობა კი შედეგი — მათ მიერ ჩაერთული ფუნდამენტისა. „რაც უფრო დიდია ერის ისტორია — აღნიშნავდა გამოჩენილი ქართველი პოეტი შოთა ნიშნიანიძე — მით უფრო ძლიერად არის ვადაჯაჭვული მისი დღევანდელობა წარსულთან“.

სწორედ ამ ურთიერთობაში პოულობს თავის გამოძახილს დღევანდელი თაობა და პატივს მიაგებს როგორც წარსულს, ისე აწმყოსაც.

ისტორიულად ცნობილია ის ფაქტი, რომ 1913 წელს ფრანკფურტში გაიმართა ებრაელი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით

ერთგვარი წესდების მქონე მონასტრების გაერთიანება, ადმინისტრაციული ორგანო.

გახსნა ფრანგმა გენერალმა, ებრაელმა ლიფმანმა. მან კონფერენციას წარუდგინა საქართველოდან ჩახსნული რაბინი დავბაჩოვი და განაცხადა: „ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოთქვას — ჩვენ გვყავდა მეფეები, ხამდვდელოება, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვსვლია“. სიტყვის დასასრულს ლიფმანმა ასე მიმართა აუდიტორიას: „შვილებო! თქვენ ანდერძად გქონდეთ, ვისაც რით შეგეძლოთ, იმით გამოსატეო სიყვარული ქართველი ერისათ“.

ამ ანდერძის ქეშმარიტ ძალასა და რეალურ მოქმედებას დღესაც გამორჩეულად გრძნობს დღევანდელი თაობა.



მომავალ ექიმთა დღევანდელი თაობა.

ქართველი ებრაელობა და მედიცინა საქართველოში

„მედეა“, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი

ქართული სულიერებისა და კულტურის განუყოფელი ატრიბუტი იყო და არის განათლება. ისტორიულად ის საწყისს იღებს საუკუნეების სიღრმეში, როდესაც საქართველოში უკვე იკიდებდა საერო სწავლება ფაზისის, გელათის, იყალთოს, გრემის აკადემიებში. შუასაუკუნეების ცივილიზაციის ეპოქაში, საქართველოში აღმოსავლური რენესანსის აღზევების პერიოდში, უმაღლესი სამედიცინო განათლება ეფუძნებოდა იმხანად არსებულ უნიკალურ სამედიცინო ხელნაწერებს, რომლებიც შექმნილი იყო გამოჩენილი მოღვაწეების ნაფიქრალ - ნააზრევის შედეგად. დღემდე, ჩვენამდე მოღწეული ამ უნიკალური ძეგლების საოცრება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ მათგანში თავმოყრილი და გაანალიზებულია ადამიანის ანატომიური აგებულების, სამკურნალო საშუალებების, დაავადებათა სიმპტომებ-

ის აღწერის, მკურნალობის შედეგების რეალური მონაცემები, რომელიც ეფუძნება ავტორისეულ დაკვირვებასა და გამოცდილებას.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ისტორიის წიაღში შექმნილი და მემკვიდრეობით გადმოცემული ქართული მედიცინა ის ფენომენია, რომელმაც თავისი უნიკალური თვითმყოფადობით გაუძლო ყამთა სვლას და ერის კულტურული სულიერების განუყოფელ ნაწილად იქცა.



თბილისის ებრაული სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, 1918 წ.

ისტორიულად ცნობილია, რომ პირველყოფილი თემური წყობილებისა და მონათმფლობელობის პერიოდში საქართველოში ვითარდებოდა მედიცინა ისე, როგორც უძველესი კულტურის სხვა ქვეყნებში. მკვლევართა ვარაუდით, უკვე IV საუკუნეში საქართველოში არსებობდნენ პროფესიონალი ექიმები. მონათმფლობელურ პერიოდში სატაძრო მედიცინის განვითარებამ საფუძველი შეუქმნა სამედიცინო აზროვნებასა და საექიმო საქმიანობას.

ამგვარად, საქართველოში სამედიცინო დარგი ოდით-განვე ითვლებოდა ერის უძველეს და უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობად.

შუზეუმებსა და წიგნთსაცავებში თავმოყრილი უნიკალური სამედიცინო ძეგლები თავისთავად ღაღადებენ იმდროინდელი ეროვნული სამედიცინო კულტურის, სამედიცინო განათლებისა და საექიმო საქმიანობის მაღალ დონეზე.

XI-XII საუკუნეებში ქართული მედიცინა აღიარებულ იქნა მკურნალობის, წამალთმოძღვრების, ავადმყოფებთან ურთიერთობის საინტერესო ნიმუშებითა და ეფექტური შედეგებით. ქვეყანაში საფუძველი ეყრებოდა სასულიერო და საერო მედიცინის თვალსაჩინო ძეგლებს.

საქართველოში პირველი სამოქალაქო საავადმყოფოს დაარსება პეტრე იბერიელთან არის დაკავშირებული. ბიზანტიაში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მან უარი განაცხადა სამეფო ტახტზე, წავიდა პალესტინაში და აღაშენა „სახლი სასტუმრო", „ძმათა ქართველთათვის" და იქვე „სასნეულო".

მედიცინის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, პროფესორი მიხეილ შენგელია აღნიშნავდა: „საექიმო საქმიანობა ძირითადია ქვეყნისა და ხალხისადმი საექიმო მომსახურების მასშტაბისა და გავრცელების მხრივ".

ისტორიულ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული ის, რომ შუა საუკუნეების საქართველოში სამედიცინო აზროვნება გამორჩეულად მაღალ დონეზე იდგა.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ორი ერის ისტორიული წარსულიდან: სამედიცინო დარგის ქართველი მოღვაწეები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ ისრაელის სახოგადოებრიობასთან. ამის ნათელი მაგალითია მარტვილი საბა წმინდელის V საუკუნეში (493 წ.) მოღვაწეობა იერუსალიმის ქართველთა ლავრაში.

იქ არსებულ სასნეულოში საბა წმინდელმა, მედიცინაში დიდად განსწავლულმა პიროვნებამ, შექმნა ანატომიურ-ფიზ-

იოლოგიური ტრაქტატი „სინანულისათვის სიმდაბლისა“, სადაც იმ დროისათვის საოცარი მიგნებით მოცემულია საშედიცინო-პათოლოგიური აზროვნების მატერიალური პოზიცია: „ტვინი ღებულობს ყოველგვარ საცნობელს და არის გამგებელი ყოველისა გუამისა“.



ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში უმაღლესი განათლების ეროვნული კერა 1918 წელს დაარსდა — თბილისის უნივერსიტეტის სახით, რომელსაც წინ უძღოდა არაერთი თაობის ნაფიქრ-ნააზრევი, თავდადებული შრომა და ინტერესი. ქართული უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ქართველ ებრაელებსაც, რომლებიც დადებითად შეხვდნენ ამ ფაქტს, მონდომებით ღებულობდნენ მონაწილეობას უმაღლესი კერის აღმშენებლობის პროცესში. გადმოცემით ცნობილია, რომ იმსანად შეძლებულმა ქართველმა ებრაელობამ მნიშვნელოვანი თანხა გაიღო უნივერსიტეტის აშენებლობისათვის. მათ მიაჩნდათ, რომ უმაღლესი

განათლების მიღება თავისთავად ხელმისაწვდომი და სასარგებლო იქნებოდა ქართველი ებრაელების ახალგაზრდა თაობისათვის. „დადგა დრო — მიმართავდა დავით ბააზოვი ებრაელობას — თქვენს ოჯახებს მისცეთ განათლება და თქვენი დაჟანგული არშიები დაამტვრიოთ და გადაყაროთ“. ეს იყო მოწოდება და შეგონება ახალგაზრდა თაობისადმი, რომ განათლების, ცოდნის, პროფესიის დაუფლების გარეშე მიუღწეველია ყოველივე, რაც ამქვეყნად ადამიანს მოეთხოვება, იყო მსახური შენი ქვეყნისა და ხალხისა, დიდ საქმეთა კეთებით განადიდო იგი.


ხმა ებრაელისა

№ 3

„ხმა ებრაელისა“-ზე

ქართულენოვანი ებრაული გაზეთი, 1918 წ.

ერის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი გამოხატულება საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურობაშია. გასული საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩართულიყვნენ ქვეყნის განვითარების პროცესში. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესი უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებასთან იყო დაკავშირებული.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, დიდი იავნე ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენი სამშობლოს ბუნებაც, უძრავი და მოძრავი, უტყვი და მეტყველი, იმდენად საყურადღებოა მკვლევარისთვის, ადგილობრივი პირობის გამო, კაცის სხვადასხვა სნეულებას იმდენი ჯერ კიდევ შეუსწავლელი, განსხვავებული თვისება აქვს, რომ აქაც ჩვენ უმაღლეს სასწავლებელს მეცნიერ ბუნებისმეტყველთა და სამკურნალო ფაკულტეტის ფართო და საპატიო სამოქმედო ასპარეზი ექნება“.

ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა დიდი მონდომებითა და რუდუნებით 1918 წლის ოქტომბერში თბილისის უნივერსიტეტში დასაბამი მიეცა სამედიცინო განათლების დამკვიდრებას, სადაც პეტრე მელიქიშვილის, ივანე ჯავახიშვილის მხარდამხარ იღვწოდნენ გამოჩენილი ქართველი მედიკოსები: სპირიდონ ვირსალაძე, ივანე თიკანაძე, გრიგოლ შუხაძე, ივანე ბერიტაშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, ალექსანდრე ნათიშვილი, ნიკოლოზ კახიანი, ვლადიმერ ულენტი, მიხეილ წინამძღვრიშვილი და სხვები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის
ყოფილი ადმინისტრაციული კორპუსი მელიქიშვილის ქუჩაზე

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე სტუდენტებისათვის ალექსანდრე ნათიშვილის ავტორობით 1919 წელს გამოიცა სათაურით „ადამიანის ნორმალური ანატომია“. შემდეგი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომელიც იმავე წელს გამოიცა, ივანე ბერიტაშვილს

ეკუთვნის და მიეძღვნა ნერვულ პროცესებს დიდი ტვინის ქერქში. იმავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის მეცნიერულ დონეზე დამუშავებას და სხვა.

უმაღლესი სამედიცინო განათლების კონცეფცია მაღალკვალიფიციური, ღრმად ერუდირებული სპეციალისტების მომზადებაზე იყო ორიენტირებული; საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების ფონზე, განათლების სისტემაში არსებული ძრავალი პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, საქართველოში ფეხს იდგამდა უმაღლესი სამედიცინო განათლება. შზადდებოდა ახალგაზრდა კადრები ქვეყნის აღმშენებლობისათვის და მათ შორის საიმედო მომავალს ქართველი ებრაელობაც ვანეკუთვნებოდა.

ქართული მედიცინის ისტორიის შესახებ საუბარი შეუძლებელია იმ ეროვნული კულტურული საგანძურების მიმოხილვის გარეშე, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ქართველი ერი, აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული მედიცინის ისტორიაში საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს პუმანური ტრადიციები — სნეულთა მიმართ თანადგომის, სათნოების გამოხატვის ჭეშმარიტი მაგალითები, რომელიც ეროვნული სამედიცინო დამწერლობით ძეგლებში აისახა. თაობათა ეს მემკვიდრეობითი ტრადიციები ხალხის წიაღიდან იქმნებოდა და ვითარდებოდა. საგულისხმოა, რომ ჩვენს მიწა-წყალზე დასახლებული ერები და მათ შორის, ბუნებრივია, ქართველი ებრაელობა სამაგალითოდ ამდიდრებდა ამ ტრადიციებს და შემდგომში იგი ერის საერთო კუთვნილებად ფასდებოდა. საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება ამ ფაქტთან დაკავშირებით: „თუ ებრაელი ყმაწვილი ხეირიან განათლებას მიიღებს, ისინი ძმურად გამოგვადგებიან ჭირშიცა და ლხინშიც“.

საქართველოში, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ახალგაზრდობის სწრაფვა უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებისათვის შესამჩნევი გახდა. ამ მხრივ

ქართველ ებრაელთა ხურვალი დაუფლებოდნენ საექიმო საქმიანობას თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე საკმაოდ დიდი იყო. საქართველო მსოფლიოში ერთადერთ ქვეყნად იქნა აღიარებული, სადაც ებრაელობა შეერწყა და შეეხსნა ადგილობრივ მოსახლეობას, ამიტომ ქართული ენა მათთვის მშობლიურ ენად იქცა, რამაც გააძლიერა და განამტკიცა ისტორიულად ჩამოყალიბებული უპრეცედენტო, უნიკალური ურთიერთობა და მეგობრობა.

სიონისტური მოძრაობის აქტივისტები თბილისში. 1924წ. მეორე რიგში მარცხნიდან მეოთხე დავით ბააზოვი

უმაღლესი განათლების მიღებისათვის საქართველოში არავითარი რასობრივი ბარიერი არ არსებობდა. ქართველ ებრაელობას მიაჩნდა, რომ განათლება, ცოდნის დაუფლება, საშუალებას მისცემდა, კიდევ უფრო სრულყოფილად ემსახურა იმ ქვეყანასა და ხალხს, სადაც ისინი მკვიდრი მოსახლეობის ქირისა და ლხინის გამზიარებელი არიან.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა, ერთ-ერთ პუნქტად მითითებული იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

იმხანად, ქვეყანაში მიმდინარე როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესები მწვავე ფორმაციას განიცდიდა. ქვეყნის აღმშენებლობა ახალი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. საჭირო იყო უმაღლესი განათლების კვალიფიკაციისა და მათ შორის სამედიცინო პროფესიას დაუფლებული კადრების რაოდენობრივი მატება. 1922 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოუშვა ექიმთა პირველი თაობა და მათი რიცხვი 68—ს ითვლიდა. მომდევნო 1923 წელს სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა რაოდენობა 129-ს უდრიდა. გასათვალისწინებელი გახდა ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის, საქართველოში სამედიცინო განათლების მსურველთა ნაკადი იმდენად დიდი იყო, რომ 1930 წელს სამკურნალო ფაკულტეტი გამოეყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სახით.

საქართველოში სამედიცინო დარგის განვითარების ისტორიული ეტაპები საფუძვლიანად დაკავშირებულია თითოეული დარგობრივი სკოლის მიღწევებზე, რომელთა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა, სამეცნიერო საქმიანობაში მიღებულმა შედეგებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სამამულო მეცნიერული აზროვნების განვითარებაში, პროფილაქტიკურ-სამკურნალო ქსელში სიახლეთა დანერგვის, თანამედროვე პროგრესულ მეთოდთა გამოყენების თვალსაზრისით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის
პროფესორ-მასწავლებელები, 1951 წელი.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველო გახდა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ახალი მეთოდების, პრინციპების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ეფექტური ქმედების თანამედროვე საშუალებათა ძიება.

სამეცნიერო კვლევა-ძიების სახელოვანი ტრადიციები იქმნებოდა და ვითარდებოდა იმ მრავალრიცხოვან შრომათა ერთობლიობით, რომელთა შექმნაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში მოღვაწე მედიკოს-მეცნიერთა მრავალი თაობა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილს იმკვიდრებდნენ ქართველ-ებრაელთა ნიჭიერი და შრომისმოყვარე წარმომადგენლები. მრავალმა მათგანმა დასაბამი მისცა სამედიცინო დარგში ახალ მიმართულებებს, რითაც სახელი და დიდება მოუხვეჭეს ქართულ მედიცინას, როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ.

ფასდაუდებელია, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, ამჟამად უნივერსიტეტის, როლი უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორიაში. შვიდ ათეულ

წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველოში მომზადდა უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე მრავალათასიანი არმია. მომზადდა და დაინერგა ფუნდამენტური სამეცნიერო-სამედიცინო გამოკვლევები საერთაშორისო მასშტაბით, მოხდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი კვლევა-მუშაობის განხორციელება, საერთაშორისო-სამეცნიერო ფორუმების ორგანიზაცია. უკანასკნელ ხანს დაინერგა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში. უცხოეთის მოქალაქეთა მოზიდვა უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების მიზნით და სხვა მრავალი.

ქართველი მედიკოსები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები. 1968 წელი.

უმაღლეს სამედიცინო განათლებას ამ ტაძარში, წლების მანძილზე, მრავალი თაობა ეზიარა. ბევრი მათგანი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ სასახელოდ ატარებდა და ატარებს ამ სასწავლებლის ღირსებას, მის ღვაწლს თოეული მათგანის პიროვნულ და პროფესიულ ფორმირებაში. ამ მხრივ პატივით უნდა აღინიშნოს ქართველი ებრაელობა, რომ-

ლებმაც როგორც საქართველოში, ისე მათ ისტორიულ სამშობლოში, განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს საქართველოს, ქართველი ხალხისა და იმ უმაღლესი სკოლის მიმართ, სადაც აღიზარდნენ და დახელოვნდნენ პროფესიონალ ექიმებად.

ისტორიული ფასეულობისაა არსებული ოფიციალური სტატისტიკური მასალა იმის თაობაზე, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თბილისის უმაღლესმა სამედიცინო სასწავლებელმა მოამზადა 2573 ექიმი, 788 ექიმი-სტომატოლოგი და 366 უმაღლესი განათლების პროვიზორი, მათ შორის საკმაოდ "თამბეჭდავი იყო ქართველ ებრაელთა ხვედრითი წილი. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ თბილისის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში განათლებამიღებულმა ქართველმა ებრაელობამ სამედიცინო სფეროში ინტენსიური საქმიანობის თითქმის ყველა დარგი მოიცვა. მეცნიერული თუ პრაქტიკული ჭეშმარიტების დაუოკებელი ძიება, სწრაფვა ადამიანის ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღებისათვის მათი პროფესიული საქმიანობის უზენაეს მიზანს წარმოადგენდა. თითოეულ მათგანს კარგად პქონდა გათვითცნობიერებული ბრძნული შეგონება: „ამქვეყნად უდიდესი ღირებულებაა ადამიანი და მხოლოდ ადამიანი, რომ ადამიანი უნდა იყოს პარმონიულად მშვენიერი, მშვენიერი უნდა იყოს მისი სული, მისი სხეული, მისი გონებაც და მისი მოქმედებაც, რომ ადამიანმა ისე უნდა სრულყოს თავისი ნებელობა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისკენ მიმართოს აზრიცა და საქმეც".

თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ბენ-გურიონის სიტყვები, რომ „ებრაელების მომავალი დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რას იტყვიან არაებრაელები, არამედ იმაზე, თუ რას გააკეთებენ თავად ებრაელნი", ეს გამონათქვამი ისტორიული მოწოდებაა საკუთარი ერისადმი.

ამრიგად, სამედიცინო განათლება მხოლოდ მაშინ არის მიზანმიმართული, როცა სამედიცინო საზოგადოების პროფესიული საქმიანობა ეფექტური და მოქმედია, ადამიანის ჯანმრთე-

ლობისადმი ყურადღება მის ყოველდღიურ აქტიურობაშია. ასეთია ცხოვრების განვითარების დინამიზმი. ეს პოზიცია განსაკუთრებით მაშინ არის სრულფასოვანი, როცა შენი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მიზანმიმართული გახდება გონებრივი და ფიზიკური ძალების სრულყოფა. ებრაელთა ლტოლვა ისტორიულ მიწა-წყლისაკენ ამ იდეის ერთ-ერთი რეალური გამოხატულებაა.

ფასდაუდებელია ქართველ ებრაელთა წვლილი ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაციის თათბიზე. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იყო იმ 18 ქართველი ებრაელის ქმედება, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით მიმართეს 1969 წლის აგვისტოში. იმ ხანად შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ საშუალება მისცა ქართველ ებრაელთა ამ ეროვნულ წარმოწყებას საყოველთაო რეზონანსი გამოეწვია.

ებრაელი ხალხის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მრწამსი საუკუნეების მანძილზე მიმართული იყო იმ მიზნისაკენ, რომ განუცრელი, კავშირი პქონოდა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მიმოფანტულ თანამემამულეებთან. პოლიტიკური მიზანი ამ იდეისა მდგომარეობდა ებრაელი ხალხის მშობლიურ მიწაზე გაერთიანებაში. ამ ისტორიული პროცესის წამოწყებას ქართველმა ებრაელებმა დიდი ძალისხმევა მოანდომეს.

გოლდა მეირი – ისრაელის სახელმწიფოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი

ისრაელის სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწემ, მთავრობის ყოფილმა მეთაურმა გოლდა მეირმა ქართველ ებრაელთა წე-

რილის ტექსტი ისრაელის ქნესეთში წაიკითხა და ამით მსოფ-
ლიოს აუწყა ებრაელი ხალხის სწრაფვა ერთიანობისაკენ. სწო-
რედ ეს იყო ერთ-ერთი დასაწყისი იმ დიდი ალიასი, რომელსაც
მოჰყვა ისრაელის სახელმწიფოს გაძლიერება და ერთიანობა.

ისრაელში საქართველოდან ამოსული ქართველი ებრაე-
ლობა აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ,
პროფესიულ ცხოვრებაში. განსაკუთრებით გამორჩეულია მათი
სამედიცინო საქმიანობა. თუ გავიხსენებთ ხალხში გაფანტულ
ფრთოსან სიტყვებს, რომ ადამიანები მათი საქმეების გარეშე არ
გაგახსენდებაო, ამ სენტენციას სრულიად ობიექტურად შეი-
ძლება დავუკავშიროთ ისრაელის ინტელიგენციის წარმომად-
გენლებთან ჩვენი შეხვედრის დროს მათ მიერ წარმოთქმული
შეფასებები. კერძოდ, საქართველოში სამედიცინო განათლებამ-
იღებულ ექიმთა ავტორიტეტსა და მათ პიროვნულ ღირსებებზე.
ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველოში აღზრდილი და
დაოსტატებული ექიმების პროფესიული საქმიანობა, მეცნიერუ-
ლი და პრაქტიკული გამოცდილება მეტად სარწმუნო და დამა-
ჯერებელია. მისაბაძია მათი ურთიერთობა სამედიცინო საზოგა-
დოებრიობასთან, პაციენტებსა და მის ახლობლებთან. შედეგი
მართლაც სახეზეა, ისრაელში მოღვაწე ქართველ ებრაელ ექიმ-
თა უმრავლესობა ქვეყნის სამედიცინო დარგის ელიტარულ ნაწ-
ილს განეკუთვნება. ისრაელის სამედიცინო დაწესებულებებში
მათ მიერ შესრულებულმა თეორიულმა თუ კლინიკურმა გამოკვ-
ლევებმა, პრაქტიკულმა თუ მეთოდოლოგიურმა მიმართულებებ-
ის ძიებამ, მრავალი სიახლე დააჩქარა ავადმყოფთა კვლევის,
დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პრევენციის ხაზით, რის შედეგად
იქმნებოდა და იქმნება სამედიცინო დახმარების ახალი, თანამედ-
როვე ფორმები და მეთოდები.

დღეს, ისრაელის სახელმწიფოსა და მის ფარგლებს გარეთ
მცხოვრები ქართველი ებრაელობა ქმნის და ამდიდრებს სამედ-
იცინო აზროვნებას. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების
შედეგად მათ მიერ სრულდება უნიკალური ოპერაციები. ულ-



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები

ტრამოლეკულურ დონეზე ისვეწება დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მათი მოღვაწეობა ინტეგრირებულია უცხოეთის წამყვან სამედიცინო ცენტრებსა და კლინიკებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა პროგნოზით, 2050 წლისათვის ჩვენს პლანეტაზე შესაძლებელია აღირიცხოს 10 მილიარდამდე ადამიანი. თანამედროვე მსოფლიოში ნათლად იკვეთება აზრი იმის შესახებ, რომ ყოველმხრივ ჯანსაღი და სრულყოფილი თაობის მოვლინებამ უნდა განაპირობოს ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა კეთილდღეობა. სადღეისოდ, ამ მიმართულებით, საიმედო გარანტი ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალია. ამ საკაცობრიო გლობალური პრობლემის მოგვარება, მათი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ასპექტები ყველა ქვეყანაში პრიორიტეტულ ამოცანად რჩება.

ჩვენს ბრძენ წინაპრებს ჩინებულად ესმოდათ, რომ საკუთარ ქვეყანაში მცხოვრები უცხო ერებისადმი გონივრული სიყვარული ძმობასა და თანამშრომლობას ნიშნავს. სწორედ ამგ-

ვარშა სიყვარულმა შეადულაბა ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეყრებოდა საფუძველი. თანაცხოვრების ამ დიდ გზაზე იქმნებოდა და მდიდრდებოდა ჩვენი ერთად ყოფნისა და თანადგომის დიდი ისტორია.

ჩვენამდე მოღწეული წარსულის ეს დიდი შემკვიდრეობა, თითოეული ჩვენგანისათვის მეტად ძვირფასია, რადგან, როგორც წარსულში, ასევე დღევანდელ ეპოქაში, ვეძებთ და ვნახულობთ პასუხს იმ პრობლემებზე, რომელიც განაპირობებს სასურველ მომავალს.

გარდასულ დღეთა გახსენება ერთა ურთიერთობის აუცილებელი ფაქტორია. დღეს, როდესაც ქართველი და ებრაელი ერი დამოუკიდებელ, დემოკრატიული წყობის ქვეყანას აშენებს, ამ ურთიერთობამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ისტორიულმა წარსულმა ჩვენს ორივე ხალხს მოუტანა მრავალსაუკუნოვანი ძმობა და ჩვენც მოვალენი ვართ, დღენიადაგ ვუერთგულოთ ამ დიდ მონაპოვარს.

„მედეა“, მხატვარი ნოდარ ჯობაძე (შესრულებულია სპეციალურად ამ წიგნისთვის).

გამოჩენილი ქართველი მწერალი და სახოგადო მოღვაწე მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ცოცხალი და უკვდავია მხოლოდ ის ერი, რომელმაც აღადგინა თავისი წარსული ცხოვრება, დაიხატა წარსული

თავის წინაპართა შემოქმედებისა და მუნ იცნო თავისი ძალა, პმოვა იმედი მომავლისა". ამ სიტყვების სიდიადე ჩანებულად ერწყმის ქართველი და ებრაელი ხალხების ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობას.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გერონტი ქიქოძის გამონათქვამი: „მთელი ჩვენი ისტორია სულიერი ნათესაების ძიებაა".

სწორედ, რომ ამ ძიების შედეგია ორი მოძმე ერის ისტორიული ურთიერთობების პუმანური ტრადიციები, რომლებმაც სასიცოცხლო გაყლენა იქონიეს როგორც ქართველთა, ასევე ებრაელთა სასიკეთო მომავალზე.

„ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაც ძალიან გავს ერთმანეთს
განაცხადა ისრაელის ყოფილმა პრეზიდენტმა ბენ-ცვიმ. რადგან ჩვენცა და თქვენც დიდხანს ვეძებდით თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას".

ამ წიგნში აღწერილი ისტორიული ფაქტები და მოვლენები ჩვენი ძრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და სიყვარულის დასტურია.

დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში

საქართველოდან აძოსული ებრაელი ერი უბრუნდება თავის ისტორიულ ფესვებს, წმინდა და აღთქმულ მიწას, უბრუნდება წარსულთან სულიერ შეერთებას — ეს საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას, ფესვგადგმას მოასწავებს.

ისტორიულ მიწაზე აძოსვლა დიდი სურვილი იყო და არის ყოველი ებრაელისათვის. ეს მაძალაბისეული ანდერძია შთამომავლობისადმი. საკუთარ სამშობლოში თითოეული მათგანი ნუგეშს, შვებასა და თავშესაფარს პოულობს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ებრაელთა ზნეობასა და ეროვნულ დიდსულოვნებას ასეთ შეფასებას აძლევდა: „არც ერთი სხვა ერი არ ინარჩუნებს თავის ეროვნულობას ისე ძლიერ, როგორც ებრაელი ერი. იუდეველი ყველგან შეიძლება იყოს მოქალაქე, ყველგან იპოვოს თავისი და, ამავე დროს, დარჩეს იუდეველად. იუდეველებს მთელ მსოფლიოში აერთიანებთ პატრიოტიზმი, საერთო ისტორია, საერთო რწმენა, ლოცვის საერთო ცენტრი — იერუსალიმი". ისტორიულმა დროებამ ცხადყო ამ სიტყვების სრულფასოვნება.

მომავლის რწმენით განვლო ებრაელმა ერმა მძიმე, ისტორიული კატაკლიზმებით დახლართული გზა. ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე და ბოლოს, ხალხის ნებისყოფამ განაპირობა ძლიერი და დინამიკური ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

მე-19 საუკუნის თვალსაჩინო პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლორდ ბიკონსფილდ დიზრაელი აღნიშნავდა: „მე ვამაყობ ხალხით, რომელსაც ეკუთვნიან ჩემი წინაპრები, ვამაყობ არა მარტო მისი დიდებული ისტორიული წარსულით, არამედ იმ სახელოვანი მომავლით, რომელიც მას ელოდება". ლორდ ბიკონსფილდის სამომავლოდ გამიზნული ეს მოსაზრება ჩვენ წიგნის დასაწყისში ეპითეტად გამოვიყენეთ, რადგან ამ სიტყვების ისტორიული რეალობა სახეზეა.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, 2000 წელი.

ობიექტურობა მოითხოვოს ვაღიაროთ ის ჭეშმარიტება, რომ საქართველოდან ამოსულ ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი და მათ შორის სამედიცინო დარგის წარმომადგენლები მაღალი პროფესიონალიზმით, აღიარებული ავტორიტეტით გამოირჩეოდნენ ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოში მათი მოღვაწეობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანი და მუდმივი თემაა. დარწმუნებულნი ვართ, რომ მას ჯეროვნად შეაფასებს მომავალი. ისტორიული ღვაწლი ებრაელი ერისა საქართველოში ზოგადად ჩვენც მიმოვიხილეთ. მთავარია შთამომავლობას გავაცნოთ ებრაელი ერის სახელოვან შვილთა პირადი დამსახურება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ პროცესში. ეს თემატიკა მეტად ფართო და უკიდეგანოა. ამიტომ ამ საკითხს მთელი ობიექტურობითა და ნატიფი ანალიზით უნდა მივუდგეთ, როგორც რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინუსი აღნიშნავდა: „ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ ფაქტზე დუმს, არა ნაკლებ ტყუის, ვიდრე ის, ვინც არარსებულ ისტორიას თხზავს“.

საქმიანი კონტაქტების დამყარება ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელობასთან ბუნებრივმა პროცესებმა განაპირობა. საქართველოზე შეყვარებულმა ქართველმა ებრაელობამ და მათმა ქართველმა კოლეგებმა ურთიერთკონტაქტების შედეგად საფუძველი ჩაუყარეს თანამშრომლობის აღდგენის თანამედროვე ფორმას — პროფესიულ გამოცდილებათა გაზიარების, ხშირი და აქტიური ურთიერთკონტაქტების დამყარების, სამედიცინო პუბლიკაციებში მათი შრომების ციტირებისა და სხვათა სახით. შემოქმედებითი თანამშრომლობა სასურველ მიზანს აღწევს, რის შედეგიცაა ერთობლივად ჩატარებული კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვა.

გამოჩენილმა თეატრალურმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ, ისრაელში ვიზიტად ყოფნის შემდეგ განაცხადა: „ვისაც სურს გაიგოს, თუ რა არის საქართველო, გაიგოს რაობა ქართველი ხალხისა, ისრაელის ქართველებს უნდა

შეხედეს. ამ ხალხმა არა მარტო დააფასა საქართველოს საუკუნოვანი ამაგი, არამედ ყოველდღიურად ამტკიცებს მის სიყვარულს".

ჟამთა სვლა, გარკვეულწილად, აფერხებს მრავალი საინტერესო ფაქტის თაობებისათვის შემონახვას. სხვათა მიზეზთა გამო, ზოგჯერ ინდიფერენტული ხდება წარსულისადმი ობიექტური დამოკიდებულება. ისტორიულ მოვლენათა სიმწვავე და ფალსიფიცირება პირად ღვაწლს უკარგავს იმ ადამიანებს, რომლებმაც სასიკეთო წვლილი გაიღეს ქვეყნის, საზოგადოების საშსახურში.

დაფიწყებას არ უნდა მიეცეს მათი ნაფიქრალ-ნააზრევი, დიდსულოვნება, თანადგომა, კაცთმოყვარეობა, ყოველივე ეს შთამომავლობასთან ხიდად გადებული სულიერი შემკვიდრეობაა, რომელიც უკვდავი მაგალითია მრავალთა მიმართ. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ დასაზუსტებელი და შესასწავლია.

ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში მრავლად შევხვედრივართ იმ ადამიანებს, რომლებმაც პირადულის სანაცვლოდ საზოგადოების საშსახურს მიანიჭეს უპირატესობა. სხვათა საწუხარზე ფიქრი და ზრუნვა ის ზებუნებრივი ძალაა, რომელიც გამოგარჩევს ყველასაგან. ამ მხრივ განსაკუთრებულად უმთავრესი საექიმო პროფესიაა. ცნობილ ფილოსოფოსს სენეკას ეკუთვნის ეს სიტყვები: „ექიმი ჩვენზე ხარჯავს არა მარტო თავის შრომას, არამედ თავის გულს, ის იმსახურებს პატივისცემასა და სიყვარულს."

ქართველ-ებრაელ ექიმთა ცხოვრების, პროფესიული საქმიანობის, საზოგადოებრივი მოღვაწეობის აშსახველი მასალების გაცნობამ დიდი ინტერესი განაპირობა შემეცნებითი, პროფესიული, ისტორიული ღირებულებით, თემატიკის მრავალფეროვნებით. ეს საკითხი იმდენად ფართო და უკიდეგანოა, რომ ერთ კრებულში მათი წარმოჩენა შეუძლებელია. არ შეცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს მასალა ძვირფასი დანატოვარია ჩვენი ერებისათვის, ამიტომ მათი შეგროვება და თაყვოყრა ჩვენი მოვალეობა და პერმანენტული პროცესია.

საქართველოს უმაღლეს საშედიცინო სკოლებში მრავალი ქართველი ებრაელი ეზიარა საექიმო განათლებას. ეს

ძრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორიული ფაქტია. ილი ქავქავაძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ძვირად სადმე შეეთვისებიან ებრაელები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ“. საქართველოში უმაღლეს სამედიცინო განათლებამიღებულ ქართველ ებრაელ თაობათა ნაკადი მთელი ცხოვრების მანძილზე პროფესიულ თანადგომას, ნუგეშსა და შველას არ აკლებდა სხვადასხვა სენით შეპყრობილ მოსახლეობას. ეს ფენომენი საქართველოში აღზრდილი ებრაელი კაცის ეროვნული ღიდსულოვნების გამოხატვაცაა.

ისტორიული ფაქტების კონსტატაცია ცხადყოფს, რომ ქართველი ებრაელები მარტო სამედიცინო განათლებით როდი იფარგლებოდნენ. ისინი საზოგადოების, ერის ყოველდღიური

ძველი თბილისის ებრაული უბანი (მხატვარი გივი თოიძე)

ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. ებრძოლათ ხნეობრივი გადახრის ყოველი გამოვლენისადმი. როგორც საშედიცინო მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც ორი ერის საერთო ისტორიას წარმოადგენდა. აღნიშნულის სანიმუშოდ შეეკუნებით ერთ ფაქტს. 1948 წელს გამოიცა „საქართველოს ებრაელთა ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოფენის მეგზური". მასში მიმოხილულია უძველესი ცნობები საქართველოში მოსახლე ებრაელთა ყოფისა და რელიგიის შესახებ. ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების შეხედულებები ქართველ ებრაელთა შესახებ და სხვა. ამ ისტორიული მეგზურის შემდგენელი, ცნობილი მკვლევარისა და მოღვაწის მორდეხ მაჩანოვალიშვილთან ერთად იყო, გამოჩენილი მედიკოსი, ეროვნული მედიცინის აღიარებული მკვლევარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ ქურჩიშვილი.

ისრაელი ის უნიკალური ქვეყანაა, სადაც ესოდენ მასშტაბურია ზრუნვა და დახმარება თითოეული ინდივიდის მიმართ. ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სოციალურ, საშედიცინო, სადაზღვევო თუ სხვა სახის დახმარების უზრუნველყოფის სისტემაში გადამწყვეტი როლი ეკისრება ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნებას, პრევენციულ ღონისძიებათა გატარებას, სიცოცხლის გახანგრძლივებას, დემოგრაფიულ სიტუაციათა გაუმჯობესებასა და სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა მოგვარებას. ეს ისრაელის სახელმწიფოს პრესტიჟი და პრეროგატივაა, რომელიც კანონის ძალით არის გარანტირებული.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელში ამოსული ქართველი ებრაელობის პირველ თაობას მრავალი პრობლემის დაძლევა ხვდა წილად. პირველ რიგში, ეს იყო ენობრივი ბარიერი, ერთი სახელმწიფოებრივი ფორმაციიდან მეორეში გადასვლის რთული ეტაპი, კერძოდ: ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთი-

ერთობა, საყოფაცხოვრებო პირობები, არსებულ საზოგადოებასთან კონტაქტების დამყარების სირთულე და სხვა. ყოველივე ამის დასაძლევად ქვეყანაში აქტიურად ტარდებოდა მრავალი სასარგებლო ღონისძიება. ისრაელის პერიოდულ პრესაში პერმანენტულად იბეჭდებოდა რჩევა-დარიგებანი — ყოფით, ფსიქოლოგიურ, პროფესიულ და სხვა სახის საჭირბოროტო საკითხებზე, ჩამოსული სპეციალისტებისათვის იქმნებოდა სახელფასო ფონდი მუდმივი სამუშაო ადგილების მოძიებამდე, შეიქმნა რამდენიმეთვიანი კურსები პროფესიული გადამზადების, ტერმინოლოგიის ათვისებისათვის და სხვა. აღნიშნულის შედეგად ამოსულ ექიმთა უმრავლესობამ შეძლო ისრაელის სპეციალისტის წოდების მოპოვება და აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილის მოძიება. ამ ფაქტს ჩინებულად ესადაგება ბატონ გურამ ბათიაშვილის ფრთოსანი კონცეფცია: „შრომა, საუკეთესო გზაა“ და აქვე დასძენს, რომ „ძიუხედავად სირთულისა, ქართველი ებრაელობა მაინც გავიდა ამ დიდ გზაზე, გავიდა და ამ ახალგაზრდობის გულმოდგინების, ნიჭიერების თაობაზე მხოლოდ კეთილ სიტყვებს თუ მოსმენ მთელ სახელმწიფოში“.

საქართველოდან ამოსულ ქართველ ებრაელ ექიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისრაელის საზოგადოებაში დიდი პროფესიული ავტორიტეტითა და მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით გამოირჩევა. ბევრი მათგანი დღეს ისრაელის სახელმწიფოს საშედიცინო საზოგადოების მიერ აღიარებული და გამორჩეული სპეციალისტია.

ჩვენთვის ძეტად ძვირფასია და გვეამაყება ეს ფაქტი. შეეეცდებით მკითხველს მოვუთხროთ ზოგიერთი მათგანის შესახებ. კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს: „არც თუ წელთა რაოდენობით განისაზღვრება ცხოვრება“.

ტრადიცია

ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახები უხვად მოიპოვება როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში. ტრადიციულობა მაძაბაბისეულ ადათ-წესებს აძლიერებს და ისტორიულად გადასცემს შთამომავლობას. ოდითგანვე დამკვიდრებული და ხალხში ფესვგადგმული ზნე-ჩვეულებანი ეროვნული სულიერების შემადგენელი ნაწილია. დიდი ყაყა ბრძანებდა: „მამით არ მოდის ანდერძი - პაპის და პაპის პაპიდან“.

ოჯახური ტრადიციებისადმი თაყვანისცემა ქართველმა ებრაელობამ ისტორიულად შემოუნახა შთამომავლობას. სწორედ ამ ფაქტმა, სხვა თვისებებთან ერთად, განაპირობა მათი სულიერი სიძლიერე და ფიზიკური მხნეობა, ეროვნული ადათ-წესების შენარჩუნება და გაღრმავება ცხოვრებისეული გამოცდაა. მტერი მის შელახვას, დათრგუნვას ცდილობს, ამით კი საიმედო მომავალს უსპობს მოწინააღმდეგეს. კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „ყოველი ერი, რომელსაც სიცოცხლე სწყურია, თავმოყვარეა, ყველა ცდილობს არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ნურავის აქვს იმის იმედი, რომ მეზობლის ქურქი გაშათბობსო“.

ეროვნული ტრადიციულობის დაცვა და შენარჩუნება, ეს ის რუბიკონია, რომლის დაძლევაც შენივე ძალისხმევით მიგიყვანს სასურველ შედეგამდე. ეროვნული და ოჯახური ტრადიციები ერთი მთლიანი ფენომენია. ყოველი ერის შვილში თავმოყრილია მისი ერისათვის ნიშანდობლივი ხასიათი, თვისებები, ტრადიციულობა — ყველაფერი ის, რაც ოდიდგანვე მოსდევს მის მოდგმას. ყოველივე ეს სასიცოცხლო ძალას ძატებს მომავალს. ოჯახური ტრადიციების მემკვიდრეობითი გამოვლინება განსაკუთრებით პროფესიაში ვლინდება.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში მკვიდრდება საგვარეულო საექიმო ტრადიციები. ქართული სამედიცინო ინტელიგენციის სახელოვან წარმომადგენელთა შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებენ პრო-

ფესიულ მემკვიდრეობას, ასე მაგალითად: ვირსალაძეების, კახიანების, ალადაშვილების, წინამძღვრიშვილების, ფიფიების, ქაფთარაძეების, ითსელიანების და სხვა სახელოვან მედიკოსთა მემკვიდრეობა დღესაც ჩინებულად გრძელდება.

ქართველ ებრაელთა შორის მრავალი ოჯახია, რომელთა საგვარეულო ტრადიციად სამედიცინო დარგი იქნა ამორჩეული. ასეთებია: ბააზოვები, თოფჩიშვილები, გაგულაშვილები, ელიგულაშვილები, ბოთერაშვილები და სხვა მრავალი. ამგვარი მემკვიდრეობა ჩინებულად გრძელდება. ოჯახში დამკვიდრებული პროფესიული გარემო, საექიმო დინასტია აძლიერებს და აღრმავებს საექიმო გამოცდილებას, რისი შედეგიც, ხშირ შემთხვევაში, დადებითია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველ ებრაელ ექიმებს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში. ეს გახლავთ იყრითული ენის კარგად ათვისება, ბიბლიურ ენაზე მათი მეტყველება, რაც დიდი შრომისა და მონდომების შედეგად გახდა შესაძლებელი. გურამ ბათიაშვილი თავის წიგნში „ძველ ღრუბლებში“ წერს: „დღეს, გაოცებასაც კი იწვევს რაოდენ კარგად მეტყველებენ ქართველი ებრაელები ბიბლიის ენაზე, თითქოს დაბადებიდან ამ ენაზე ლაპარაკობენო“.

ჭეშმარიტი ექიმის მაღალი წოდება და ავტორიტეტი, მთელი საზოგადოების რწმენა და იმედია. სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ მათ პროფესიულ საქმიანობაზე სათქმელი არ იღლევა და თითოეულ მათგანს ესოდენ დიდ პატივს მიაგებს ხალხი. ამ მხრივ ქართველ ებრაელ ექიმთა ავტორიტეტი საკმაოდ გამორჩეული და აღიარებულია.

გვინდა გესაუბროთ ქართველ ებრაელ ექიმთა იმ თაობის შესახებ, რომლებიც აგრძელებდნენ და აგრძელებენ საექიმო ტრადიციებს, სამედიცინო განათლებას ეზიარნენ საქართველოში, საქართველოშივე მიიღეს პროფესიული გამოცდილება და დღეს წარმატებით საქმიანობენ ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის წამყვან კლინიკებსა და სხვა მრავალ ქვეყანაში. მათ შორის არის ახალგაზრდა თაობაც, რომლებიც დაიბადნენ ქართულ მიწაზე, ხოლო საექიმო განათლება მიიღეს სხვა ქვეყნებში.

სწორედ ამ ტრადიციულობის წყალობით ქართველ ებრაელობას რელიქვიებით გადმოეცათ მათ წინაპართა ნაფიქრალი, ნაოხრები, პროფესიული მემკვიდრეობის მძიმე ტვირთი, რომლის ტარება შუდმივად საპატიო და საპასუხისმგებლოა.

დღეს, ისე როგორც არასდროს, საექიმო საქმიანობა არა მარტო პროფესიულ, არამედ სახოგადოებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, რადგან ადამიანის კეთილდღეობისათვის მიღწეული ყოველი წარმატება კაცობრიობის კუთვნილებაა და მისი შემოქმედი საყოველთაო მხარდაჭერისა და ადიარების იმსახურებს. მათ რიცხვს ჩვენი მოძმე ებრაელი ერის სახელოვანი მედიკოსებიც განეკუთვნებიან, ახალ—ახალ მეცნიერულ საქმეთათვის შემართულნი.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პირველი გამოშვების ისტორიული ფოტო-დოკუმენტი

წიგნზე მუშაობის პერიოდში ვეწვიეთ ისრაელს. ჩვენი საქმიანი ვიზიტის თაობაზე გაზეთ „მენორაში" გამოქვეყნდა ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლძარღვთა განყოფილების ხელმძღვანელის, ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრის, პროფესორ **გივი წიწუაშვილის** წერილი სათაურით:

ორივე და ორივეური დავიწყებას ერ ყნდა მიეცეს

2006 წლის აპრილის დასაწყისში სასიამოვნო მისიით ვიმყოფებოდით ისრაელ'ში პროფესორი ჯანგირ მაშალაძე და ამ სტრიქონების ავტორი. ვიდრე ამ აღნიშნულ მისიის მიზანს შეეხებოდე, მინდა გავიხსენო რამდენიმე მომენტი, რომელიც წინ უძღოდა პროექტის განხორციელებას, ან დაკავშირებულია მასთან. მე ექიმი ვარ, ამიტომ ყოველთვის მქონდა სურვილი შემომენახა მომავალი თაობისათვის ის დიდი წვლილი, რომელიც საქართველოს ებრაელობამ შეიტანა მედიცინის განვითარებაში. ამის ყველაზე საუკეთესო საშუალება, რასაკვირველია არის წიგნი, რომელშიც აისახება ქართველი ებრაელი ექიმების მოღვაწეობა, მათი მიღწევები, რომელსაც ისინი ჩვეული მიზანდასახულობით და დიდი შრომისუნარიანობით ახორციელებდნენ ადამიანისათვის. წიგნი იძლევა იმის საშუალებასაც, რომ წარმოვიდგინოთ სიძნელეები და დაბრკოლებები, რომლებიც წინ უძღოდა წარმატების მიღწევას, აგრეთვე, წარმოვაჩინოთ შეუდრეკელი ნება და ენერგია, რომლის საშუალებითაც ხდება დაბრკოლებების გადალახვა — მათ საფუძველად უდევს არა მარტო ობიექტური, არამედ არცთუ ისე იშვიათად, სუბიექტური ფაქტორებიც.

დაახლოებით 16 წლის წინათ, მე, როგორც სისხლძარღვთა ქირურგს, მომმართეს პედიატრებმა და მითხრეს, რომ მათ კლინ-

იკაში 5 დღის სიამის ტყუპები გულმკერდით არიან შეხორცებულნი. ნათელი იყო, საქმე გვქონდა ორიგე სხეულის საერთო მსხვილ სისხლძარღვებთან — აორტა და ა.შ. ვინაიდან ერთი სხეული მთლიანად იყო ანომალიური, დაისვა საკითხი მათ გაცალკევებაზე, ნორმალური ნაწილის შესაძლო სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. მე გავაკეთე უნიკალური გამოკვლევა, ანგიოგრაფია, 5 დღის ორგანიზმზე და რენტგენის სურათების თეალსაჩინო დოკუმენტაციით დავადგინე სისხლძარღვების სრული ტოპოგრაფია. ჩემს კოლეგას, რომლის ლაბორატორიაში შესრულდა გამოკვლევა და რომელშიც ინახებოდა აღნიშნული დოკუმენტაცია, ვოხოვე თავი მოეყარა ამ მონაცემებისათვის და სამედიცინო ჟურნალში გაგვაკეთებინა აღწერა შემთხვევისა, რომელსაც მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში ანალოგი არ პქონდა. ეს საკითხი დღეს-ხვალიობით, რომელიც ჩვეულია ზოგიერთ წარმატებულ მეცნიერსაც კი და რომლისგანაც, სამწუხაროდ, არც ეს კოლეგა იყო დაზღვეული, გაქიანურდა იქამდე, სანამ ერთ დღეს არ გაჩნდა დიდი ხანძარი, რომელსაც შეეწირა ქირურგიის ინსტიტუტის 4 თანამშრომელი, უამრავი აპარატურა და ინყორმაციული მასალა, მათ შორის ჩვენი სიამის ტყუპების მონაცემებიც. ასე დაიკარგა ისტორიისათვის უნიკალური შემთხვევა. ალბათ, ასევე იკარგება ბევრი მნიშვნელოვანი რამ, რაც, ჩემი აზრით, სამწუხარო და დაუშვებელია. ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ დევიზით: „არაფინ და არაფერი არ არის დავიწყებული“.

საქართველოს სამედიცინო ინტელიგენცია, რომლის უმრავლესობამ სამედიცინო განათლება საქართველოში მიიღო, დღეს დიდი წარმატებით მოღვაწეობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში: საქართველო, ისრაელი, ამერიკა, რუსეთი, გერმანია, შვეიცარია და სხვა. ბევრი მათგანი ხელმძღვანელობს დიდ სამედიცინო ცენტრს, კათედრას, ლაბორატორიას, მნიშვნელოვან კლინიკურ განყოფილებებს და ხშირად თავიანთ გადამწყვეტ მეცნიერულ კონცეფციას სთავაზობენ ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, რამდენიმე წლის წინათ გამიჩნდა მოთხოვნილება დამეწერა ასეთი წიგნი. აზრი ბევრს მოეწონა, მაგრამ იყო ერთი ადამიანი, რომელმაც უფრო ახლოს მიიტანა გულთან ეს აზრი და შეეცადა შესაძლო მხარდაჭერა აღმოეჩინა ჩემთვის ამ კეთილშობილურ და საერო საქმეში, ეს იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი გურამ ბათიაშვილი. მან ოფიციალურად, როგორც მსოფლიოს ქართველ ებრაელთა კონგრესის თანათავმჯდომარემ, მიმართა კონგრესს, რომ წიგნი დიდი მნიშვნელობის იქნებოდა და მხარს მიჭერდა. მიუხედავად კონგრესის პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ მირილაშვილის მზადყოფნისა, მხარი დაეჭირა ამ პროექტისათვის, როგორც ჩანს, ამუშავდა ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებმაც რამდენიმე წლით გადაავადეს ამ წიგნის პუბლიკაცია. წელს, კვლავ გაიღვიძა ჩემში წიგნის შექმნის აზრმა. რამდენად სასიხარულო და სასიამოვნო იყო ჩემთვის, როდესაც ა.წ. მარტში მე, მომმართა პროფესორმა ჯანგირ მამალაძემ, რომელსაც თურმე ასევე მოსვენებას არ აძლევდა აზრი, რომ დაწერილიყო წიგნი ქართველ ებრაელ ექიმებზე.

მივმართეთ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბ-ნ შაბთაი ცურს, რომელმაც რამდენჯერმე წარმოაჩინა მხარდაჭერა სხვადასხვა ინიციატივის მიმართ, ჩემი ვარაუდი გამართლდა — ბატონმა ელჩმა გამოხატა სრული მზადყოფნა ორგანიზაციული დახმარების მხრივ. იგი პროექტის გაცნობისთანავე დაუკავშირდა ისრაელის ქართულენოვან ტელეკომპანია GTV-ის ხელმძღვანელობას და სთხოვა ტელევიზიის საშუალებით გაეშუქებინა ეს საკითხი, რაც მათ პირნათლად შეასრულეს. პროექტი გავაცანით ავრეთვე ქალბატონ ნათელა პატარკაციშვილს და წარმატებულ ბიზნეს-ლედის ნატო კვანტალიანს, რომელმაც ბევრჯერ მკაფიოდ და ლაშაზად გამოხატა თავისი ტრფიალი ქართულ-ებრაული ურთიერთობის განმტკიცებისა და გაღრმავების მიმართ. ბატონ ელჩთან შეიკრიბა სამუშაო-საინიციატივო ჯგუფი,

რომელზეც გადაწყდა ბატონი ჯანვირისა და ნელი გამგზავრება ისრაელში, წიგნის შექმნის საწყისი ეტაპის ორგანიზაციის მიზნით. და აი, ჩვენ „ქართველი და ებრაელი, საერთო იდეით შეპყრობილნი, უკვე მივფრინავთ ისრაელში, თვითმფრინავიდან, როგორც ყოველთვის, იშლება ღამის თელ-აviვის განათებული კაშკაშა და თვალწარმტაცი პანორამა.

ჩვენი მიზანი იყო გაგვეკეთებინა ინფორმაციული პრეზენტაცია წიგნის თაობაზე. ამ მხრივ ძალიან ოპერატიულად მოხერხდა ქართულენოვანი ტელეკომპანია GTV-ის მხარდაჭერა. ბატონმა სოსო იოსებაშვილმა მიმიწვია ტელესტუდიაში და ერთი საათის განმავლობაში გადაცემაში „ღამის სტუმარი" მომეცა საშუალება საზოგადოებისათვის მიმეწოდებინა ინფორმაცია წიგნის მნიშვნელობის შესახებ. საუბარი იყო იმაზე, რომ წიგნს არ უნდა პქონოდა ბიოგრაფიული ცნობარის სახე, მასში უნდა აისახოს მრავალი გამოჩენილი ქართველი ებრაელი მედიკოსის რიული გზა, მათი ცხოვრების და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარეები და ის ფაქტორები, რომლებიც სტიმულს აძლევდა მათ გადაელახათ სიძნელეები და ეთქვათ თავისი სიტყვა მედიცინაში. წიგნმა შეძლებისდაგვარად, უნდა მოიცვას ქართველი ებრაელი ექიმების მოღვაწეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ყველასათვის ნათელია, რომ იოლი არ იყო საქართველოდან გამოსულ ქართველ ებრაელს ადგილი დაემკვიდრებინა ისრაელის, რუსეთის, გერმანიის, შვეიცარიის, ამერიკის და სხვა ქვეყნების სამედიცინო ცენტრებში, და არა მარტო ადგილი დაემკვიდრებინა, თავისი სიტყვა ეთქვა დარგის განვითარებაში. უნდა წარმოვიდგინოთ რამდენი ფსიქოლოგიური დატვირთვა პქონდა ამ დაკვირვების პროცესს, ვინაიდან ყოველი სპეციალისტის უკან წყდებოდა მათი ოჯახების, მათი შვილების და საერთოდ, მომავალი თაობების ბედი.

არსებობდა აზრი, რომ ქართველი ებრაელისათვის მოდური იყო გამხდარიყო ექიმი, მაგრამ ცხოვრებამ აჩვენა, რომ ეს არ იყო სწრაფვა მოდისაკენ, ეს იყო გენეტიკური პოტენციალის

რეალიზაცია, რომელიც ჩადებულია ქართველ ებრაელში, და რომელიც იფურჩქნება გარკვეულ პირობებში. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველი ებრაელი ექიმები სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში არიან ინსტიტუტის დირექტორები, კათედრის გამგეები, კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელები და ა.შ. ჩემი ღრმა რწმენით, ამის დაკარგვის უფლება არა გვაქვს და ამ წიგნის მიზანიც სწორედ ეს არის. ჩვენდამი დიდი ყურადღება გამოავლინა ისრაელში საქართველოს საელჩომ და პირადად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ისარალში ბატონმა ლაშა ჟვანიამ. მიუხედავად დატვირთული საქმეშაო რეჟიმისა, საელჩოში შეხვედრა მოგვიწყო ისრაელში მოღვაწე რამდენიმე ცნობილ, წამყვან, ქართველ ებრაელ ექიმთან, მათ გავაცანით ჩვენი პროექტი, მათი მხრიდან გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება, რომელიც აუცილებლად გათვალისწინებული იქნება წიგნის წერის პროცესში, ამავე დროს გამოხატეს პროექტის სრული მხარდაჭერა და ორგანიზაციული დახმარება მასალების შეგროვების საკითხში. პირადად ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რომ ქართველ ებრაელ ექიმთა ახალგაზრდა თაობამ მოახდინა სრული ინტეგრაცია ისრაელის მედიცინაში, რომელიც მსოფლიო მედიცინის განუყოფელი ნაწილია. ბევრი მათგანი უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ექიმია. მათ დამსახურებულად უკავიათ მნიშვნელოვანი პოზიციები და ჯეროვნად წარმოადგენენ ისრაელის მედიცინას მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ფორუმზე.

საგაზეთო სტატიაში შეგნებულად არ მომყავს არავის სახელი, ვიანიდან მათი ჩამოთვლა ცალკე პუბლიკაციის საგანი იქნებოდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა მათგანი წიგნში სათანადო ღირსეულ ადგილს დაიკავებს. დავიწყებული არ იქნებიან უფროსი თაობის ექიმები, რომლებიც თავისი მოღვაწეობით ქართველ ებრაელობას სტიმულს აძლევდა მედიცინისადმი ინტერესის გაღრმავებაში და რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს გვერდით აღარ არიან. მთელი ვიზიტის დროს

გვქონდა შეხვედრები სხვადასხვა სპეციალობის ექიმებთან, მუდმივად ვგრძნობდით მათ ინტერესს აღნიშნული პროექტის მიმართ, მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ისრაელის ქართველოსნოვანი რადიო, რომელმაც საშუალება მოგვცა პირდაპირ ეთერში გვესაუბრა აქტუალურ საკითხებზე.

დასასრულს მკითხველს მინდა გავაცნო კიდევ ერთი პროექტი. ჩვენ ვგეგმავთ ისრაელში გავმართოთ I საერთაშორისო ერთობლიკი ისრაელ-საქართველოს სამეცნიერო კონფერენცია მედიცინის აქტუალურ საკითხებზე. ისრაელის მხარესთან მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა და საყარაულოდ იგი ივნისის ბოლოს ჩატარდება.

იმედია, რომ ყველა წარმატებულად დამთავრებული პროექტი ამაკე დროს ახალი იდეების დაბადების და ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების სტიმულად იქცევა.

ორ დავიწყება დვანწლისა.

„გამოჩენილ ადამიანთა გახსენება
დროდადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმე,
ისინი წამოიმართებიან ჩვენს თვალწინ
როგორც ანდერძი თაობებისა"

გოეთე

ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ეთიკის პრინციპის კოდექსში მითითებულია: „სამედიცინო პროფესია ყოველთვის ექვემდებარებოდა ეთიკურ ნორმებს, რომელიც პირველ რიგში პაციენტის კეთილდღეობისთვის იყო შეიქმნაებული. ამ პროფესიის წარმომადგენელმა უნდა აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა არა მარტო პაციენტის წინაშე, არამედ საზოგადოების, სამედიცინო პროფესიის სპეციალისტებისა და თავის-თავის წინაშე". ბუნებრივია, ამ პრინციპებს არ გააჩნია იურიდიული კანონმდებლობით მინიჭებული ძალა, მაგრამ მათ ქმედებას პროფესიული ქცევის ნორმები განსაზღვრავს, რომელიც ექიმის ღირსების საფუძველს წარმოადგენს.

დღეს, ციყილურ ეპოქაში, პაციენტთა ნდობის ფაქტორის განმსაზღვრელად მხოლოდ პროფესიული მზადყოფნა როდი კმარა. ცნობილი მკვლევარი და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყვარელი პედაგოგი, პროფესორი დავით გეგეშიძე თავის ნაშრომში „სამედიცინო დეონტოლოგია, ბიოეთიკა" აღნიშნავდა: „ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი სულმნათი წინაპრების ავადმყოფთან დამოკიდებულების კლასიკური მაგალითები: „ვენაცვალე გომართელსა, სიტყვას მეტყვის მომარჩენსა" - ასე გამოსთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას ცნობილი მკურნალის ივანე გომართელის ავადმყოფები." ამ სიტყვებით აშთავრებს ბატონი დავითი თავის წერილს.

სახელოვან საექიმო ტრადიციებზე აღზრდილი ქართველ ებრაელთა თაობა სწორედ, რომ პუმანური, ზნეობრივი

პრინციპების შეთვისებითა და ცხოვრებისეული გასაგნოებრიობით ეწეოდა და ეწევა პროფესიულ საქმიანობას. ჩვენი მიზანიც სწორედ იმის ცდაა, რომ განვაზოგადოთ მათი პიროვნული ღვაწლი საქმიმო, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ჯეროვანი პატივი მივაგოთ ღვაწლმოსილ ადამიანთა ხსოვნას, რომლებსაც გმირული შრომით, საოცარი პროფესიონალიზმით, სამაგალითო ქცევით, შესაშური ზნეობრივი ქმედებით არაერთი ადამიანი უხსნიათ სიკვდილისაგან.

ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობის კიდევ ერთი ფაქტის თაობაზე გვინდა ვამცნოთ მკითხველს. საქართველოში, სამეგრელოს მიწაზე გაზრდილი და დაყაუკცებული, ებრაელი ხალხის სახელოვანი შვილი ხაიმ ხუბელაშვილი ისტორიულ სამშობლოში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩავიდა. პროფესიით ინჟინერი წარმატებით ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას. მოგვიანებით ბატონი ხაიმი სათავეში ჩაუდგა საქართველოდან გამოსულთა საერთაშორისო ცენტრსა და ქართულენოვან ჟურნალ „დროშის“ რედაქციას. განუზომლად დიდი იყო მისი ავტორიტეტი.

1997 წელი, თელ-ავივი. ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში, შეხვედრა ებრაელ ექიმებთან, აბონ ციციაშვილის, ხაიმ ხუბელაშვილისა და ჯანგირ მამალაძის მონაწილეობით.

1997 წელს, ბატონი ხაიმი ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოში. მან მოინახულა ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბისა“ და გაზეთ „მედიცინის“ რედაქციები, შეხვდა სარედაქციო კოლეგიის წევრებს, დაისახა შემოქმედებითი ურთიერთობის საამოძავლო გეგმები.

ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1997 წლის 24 ივლისის ბრძანებით ბატონი ხაიმი დამტკიცებულ იქნა ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბისა“ და გაზეთ „მედიცინის“ სარედაქციო საბჭოს წევრად. შემოქმედებითი თანამშრომლობის საამოძავლო გეგმები მეტად შთამბეჭდავი იყო. სამწუხაროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ შეწყდა მისი სიცოცხლე, რამაც დიდი ტკივილი მოგვაყენა.

სადღეისოდ, ქართველ-ებრაელთა მრავალი თაობა სახელმოხვეჭილი ექიმია და დღირსეულად აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას, მრავალთა შორის ვალმოხდილნი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა კოლეგებს, ეწევიან საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და ორი მოძმე ერის დღევანდელობისა და მომავლის საკეთილდღეო სამსახურს.

ჩვენი თაობა მადლიერების გრძნობით პატივს მიაგებს იმ გამოჩენილ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმით, მოქალაქეობრივი პოზიციით გამოეხატათ მადლიერება და პატივისცემა ქართველი ხალხის მიმართ.

დიდი ვაჟა ბრძანებდა: „ავსა და კარგსა კაცისას, როდი ივიწყებს სოფელი!“ ჩვენ, თანამედროვენი, მკაცრად უნდა ვიცავდეთ დიდი წინაპრის ამ ბრძნულ შეგონებას, სწორედ რომ, ყოველი ჩვენგანის წმიდათაწმიდა ვალია მათ საქმეთა არ დავიწყება.

წინამდებარე წიგნში მკითხველს ვთავაზობთ ქართველ ებრაელთა იმ თაობის ზოგიერთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაში.

ავტორთა ჯგუფი ვალდებულებას იღებს მომავალ კვლევებში სრულყოფილად მიაწოდოს მკითხველს ებრაელ მედიკოსთა იმ თაობის ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ, რომლებიც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან, ქართველი ხალხის სულიერებასთან, მის წარსულთან და დღევანდელ რეალობასთან. ერთობლივი ძალისხმევით იბრძოდნენ ქართველი და ებრაელი ერების სასიკეთო მომავლისათვის და სახელოვნად მოღვაწეობენ და მოღვაწეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ბავშვის დაბადება ებრაულ ოჯახში
მხატვარი შალომ კობოშვილი, 1940 წ.

მე-20 საუკუნის ქართული მედიცინის ისტორია გამორჩეულია იმ სახელოვანი მედიკოსებით, რომელთა მოღვაწეობა საფუძვლად დაედო საქართველოში სამედიცინო აზროვნების აღმავლობას. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ღვაწლი ქართველ ებრაელ მედიკოსებსაც მიუძღვით. მკითხველს ვთავაზობთ იმ სახელოვანი ებრაელი მედიკოსების ცხოვრების, პროფესიული, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს, რომლის შედეგადაც მათ საყოველთაო აღიარება და პატივისცემა ხვდათ წილად.

დინა იაკობის ასული დავარაშვილი

ქალბატონმა დინამ უმაღლესი სამედიცინო განათლება, გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მიიღო. როგორც ოფიციალური ისტორიული დოკუმენტებით არის ცნობილი, 1930 წლის 10 ივნისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო სამკურნალო ფაკულტეტი და მის ბაზაზე დაშოყალიბდა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რომლის დაარსებამ განაპირობა სამედიცინო განათლებისა და მეცნიერული კვლევის განვითარების პერსპექტულობა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა, ბრძოლა საქართველოში გავრცელებულ დაავადებათა წინააღმდეგ და სხვა.

ექიმი დინა დაყარაშვილი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც გაიარა საექიმო საქმიანობის სახელოვანი გზა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან საუკუნის დასასრულამდე.

ქალბატონი დინა დაიბადა საქართველოში, დაბა სურამში, 1910 წელს. 9 წლის შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და აქვე დააამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სტუდენტობის წლები, რომელიც რთული პერიოდი იყო ქვეყნის ცხოვრებაში. ტოტალიტარული რეჟიმი სდევნიდა თავისუფალ აზრს. არსებული სოციალურ-ეკონომიკური ყოფა მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას.

ამ პერიოდში ქალბატონ დინას ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. მან თავისი ცხოვრების მომავალი დაუკავშირა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს ბენიამინ ბოთერაშვილს. შეიქმნა ახალგაზრდული ოჯახი, სადაც მუდამ სუფევდა სიყვარულის, თანადგომის ატმოსფერო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დინა დავარაშვილი, მეუღლესთან ერთად, მკურნალი ექიმის კვალიფიკაციით ბათუმში იწყებს პროფესიულ საქმიანობას და როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული მომავლის მქონე ახალგაზრდა ექიმი აჭარის რესპუბლიკური ტუბსაავადმყოფოს განყოფილების გამგედ ინიშნება.

ომის პერიოდი მისი ცხოვრების უმძიმესი წლები იყო. მეუღლის ფრონტის წინა ხაზზე გაწვევის შემდეგ, დატვირთულ პროფესიულ საქმიანობასთან ერთად, ორი მცირეწლოვანი შვილის აღზრდა მთელი სიმძიმით დააწვა მარტოდ დარჩენილ დედას. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქალბატონმა დინამ წარმატებით გაუძლო ცხოვრების ამ მძიმე ხვედრს და ერთგულად მოიხადა ვალი ოჯახისა და საზოგადოების წინაშე.

ქალბატონი დინა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. იყო ახალგაზრდა კოლეგების ჩინებული დამრიგებელი და მაგალითი ყოველდღიურ საქმიანობაში. ეწეოდა

ლიტერატურულ მოღვაწეობას. მხატვრულ გამოცემებში იბეჭდებოდა მისი ლექსები, რომლებსაც მოწონებით ხვდებოდა მკითხველი, როგორც საზოგადოება „ღარიბკომის“ წევრი დიდ დახმარებას უწევდა ხელმოკლე ებრაელთა ოჯახებს. ებრაელი და ქართველი ხალხისადმი სიყვარულსა და ერთგულებას ის ყოველდღიური თანადგომით, შრომის მძიმე ტვირთის ტარებით გამოხატავდა. ქალბატონ დინას, მრავალმხრივი პროფესიული და აქტიური მოღვაწეობის აღსანიშნავად, მინიჭებული პქონდა საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

კიდევ ერთი, აღიარებული წვლილი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ ქალბატონმა დინამ აღზარდა ორი შვილი — ბორის ბოთერაშვილი, ამჟამად ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და ცირა ბოთერაშვილი, რომელიც წარმატებით ავრძელებს მშობლების ტრადიციებს.

ქალბატონი დინა ისრაელში 1982 წელს ამოვიდა. თავის ისტორიულ სამშობლოში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, გატაცებით ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრის გაკეთება არ დასცალდა. 1992 წელს, 82 წლის ასაკში, ის მიაბარეს მშობლიური ისრაელის მიწას.

ქალბატონ დინას ოჯახის წევრები, მისი უშუალო კოლეგები და თანამოაზრენი დღეს უკვე ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქენი დიდ პატივს მიაგებენ მის ხსოვნას და ქალბატონ დინას დამკვიდრებულ ტრადიციებს გადასცემენ შთამომავლობას.

ბენიამინ ისაკის ძე ბოთერაშვილი

ბატონი ბენიამინი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. დაიბადა 1906 წელს, საქართველოში, დაბა კულაშში (სამტრედიის რაიონი).

ბენიამინ ბოთერაშვილი საწყის უმაღლეს სამედიცინო განათლებას 1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეზიარა, ხოლო სამედიცინო ინსტიტუტის დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად დაარსების შემდგომ დაამთავრა ამ სასწავლებლის სრული კურსი მკურნალი ექიმის დიპლომით.

სტუდენტობის პერიოდში, ენერგიულმა ახალგაზრდამ, მის წინაშე წამოჭრილი მრავალი პრობლემის მოგვარება შეძლო. შექმნა ახალგაზრდა ოჯახი. მის მეუღლესთან, ამავე ინსტიტუტის სტუდენტთან, დინა დავარაშვილთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ოჯახურ ტრადიციებს. იღვწოდა სამედიცინო განათლების წარმატებით ათვისებისათვის. იყო გამორჩეული სტუდენტი.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ექიმი ოჯახითურთ სამუშაოდ გაანაწილეს ბათუმში, რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში. მას წინ პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდის მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა ელოდა.

ბენიამინ ბოთერაშვილი მუყაითად შეუდგა საექიმო მოვალეობის აღსრულებას. მან იმთავითვე თავი გამოიჩინა პროფესიუ-

ლი დახელოვნებისადმი სწრაფვით, პასუხისმგებლობით დაკისრებული მოვალეობისადმი, გულისხმიერებითა და კოლეგიალური თანადგომით თანამშრომელთა მიმართ, რამაც განაპირობა მისდამი პატივისცემა და აღიარება როგორც ღირსეული მკურნალისა.

ომის ქარცეცხლიან წლებში, ბატონი ბენიამინი კავკასიის ფრონტზე იბრძოდა და ასრულებდა დივიზიის უფროსი ექიმის მოვალეობას. შემონახულია მის სახელზე გამოგზავნილი მეომართა გულწრფელი, სამადლობელი წერილები მზრუნველი და მოსიყვარულე ექიმისადმი. ეს წმიდათაწმიდა რელიქვია სათუოად ინახება ოჯახურ არქივში.

ომის დასრულების შემდეგ, საომარი ჯილდოებით მკერდდამშვენებული და საექიმო გამოცდილებით გამდიდრებული ექიმი, დაუბრუნდა ოჯახს და შეუდგა პროფესიულ საქმიანობას აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში.

ოთხ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა ბატონი ბენიამინი კვალიფიციურ საექიმო საქმიანობას. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი რამ სასიკეთო და სამაგალითო დაუტოვა შთამომავლობას.

მისი თაობის კოლეგებსა და ახლობლებს კარგად ახსოვთ ბატონი ბენიამინის საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმატებები. ის ჩინებულად ფლობდა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდებს. ახალგაზრდა კოლეგები მისგან ჭარბად ითვისებდნენ საექიმო საქმიანობის დიდ გამოცდილებას.

ბენიამინ ბოთურაშვილი გარდაიცვალა 1979 წელს, 73 წლის ასაკში, ბათუმში. აჭარის მოსახლეობამ, მისმა მადლიერმა პაციენტებმა, კოლეგებმა და თანამოაზრეებმა დიდი პატივი მიაგეს მის ღვაწლს და გულისტკივილი გამოხატეს ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეული მწუხარება. აჭარის სამედიცინო საზოგადოებრიობა, კოლეგები არაერთგზის გამოეხმაურნენ ბატონი ბენიამინის ხსოვნასა და მის ღვაწლს ქვეყნის სამსახურში.

ცირა ბენიამინის ასული ბოთერაშვილი

ქალბატონი ცირა, ქართველ-ებრაელთა ოჯახის საქმიო ტრადიციების დირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია.

დაიბადა 1935 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც ახალგაზრდა მშობლები დინა დავარაშვილი და ბენიამინ ბოთერაშვილი უმაღლეს სამედიცინო განათლებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ეუფლებიან.

1937 წელს ახალგაზრდა ექიმები საცხოვრებლად და სამუშაოდ ბათუმში სადიან. ცირა ბოთერაშვილის ბავშვობისა და ახალგაზრდობის ულამაზესი წლები სწორედ ამ დიდებულ ქალაქთან არის დაკავშირებული. ინტერესი მომავალი პროფესიისადმი, მას უკვე სკოლის ასაკშიც ჩამოუყალიბდა. ცირა მშობლების პროფესიას უნდა დაუფლებოდა.

ქართველ ებრაელთა ოჯახში აღზრდილმა გოგონამ, საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარული, მშობლების შთაგონებით ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა. ქართული სულიერებაზე, კულტურაზე აღზრდილმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა მიღებული განათლების შემდეგ ერთგულად ემსახუროს იმ ხალხს, რომელიც სიყვარულით არის დაკავშირებული მშობლიური ებრაელი ერისადმი. არჩევანი ოჯახურმა ტრადიციამაც განაპირობა. 1955 წელს ცირა ბოთერაშვილი თბილისის სახელმ-

წიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ხდება. სტუდენტობის პერიოდში ბევრი სახელოვანი პედაგოგი აღიბეჭდა მის მეხსიერებაში, რომლებმაც პროფესიული განათლება, საექიმო ჩვევები, ეთიკურ-ზნეობრივი ქცევები შესძინეს მომავალ კოლეგას.

1961 წელს, უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულის დიპლომით უბრუნდება საყვარელ ქალაქს, მშობლების კერას და მუშაობას იწყებს ბათუმის რაიონის (შემდგომ ხელვაჩაურის რაიონი) საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში.

ნიჭიერი ახალგაზრდა ექიმის მისწრაფება — მეტი სარგებლობა მოუტანოს პაციენტს, გამოიხატა მის პროფესიულ ზრდაში. ქალბატონი ცირა დიდი მონდომებით ეუფლება საექიმო დახელოვნების ურთულეს ეტაპებს. სპეციალობაში დაოსტატებას პერმანენტული პროცესი, მისი ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნად იქცა. შრომისადმი ერთგულებამ, პროფესიული გამოცდილების შეძენამ სასურველი შედეგი გამოიღო. მოკლე ხანში ახალგაზრდა სპეციალისტი იქავე საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ ინიშნება. მალე, უკვე აღიარებულ ექიმს აწინაურებენ და 1967 წელს, ბათუმის სახელგანთქმულ საზღვაო საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების უფროს ორდინატორად ნიშნავენ.

თითქმის 30 წელი, 1995 წლამდე, პროფესიული თავდადებითა და შემართებით ემსახურა ქალბატონი ცირა მეზღვაურთა და მისი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ეს წლები წარმატებებისა და განცდების, პაციენტებისადმი თანადგომის, საზოგადოებისადმი ერთგული სამსახურის ურთულესი და ულამაზესი წლებია მის ცხოვრებაში.

საუკეთესო გზა პიროვნული აღიარებისა დაუღალავი შრომითა და პროფესიისადმი ერთგულებით ხდება. ექიმისა და მოქალაქის წარმატებული სახელი ცირა ბოთერაშვილმა სწორედ რომ ამ გზის სახელოვნად გაკლის შემდეგ მოიპოვა.

1996 წელს, ის, ოჯახთან ერთად, ისრაელში დამკვიდრდა. აქ კიდევ ერთხელ თავი იჩინა მისმა შემოქმედებითმა ენთუზიაზმმა. აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალბატონი ცირა აირჩიეს საქართველოდან ამოსული ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარედ, ქალთა მსოფლიო კონგრესის ასოციაციის გამგეობის წევრად. ამჟამად ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობას, მისი ლექსები და პუბლიცისტური წერილები ხშირად იბეჭდება ისრაელის ჟურნალ-გაზეთებში.

ტრადიცია წარმატებით გრძელდება. მისი ორი შვილი: დავით სარიდი და ლანა ბარი სასახელოდ აგრძელებენ საექიმო მემკვიდრეობას.

ლანა ლეონიდეს ასული სარიშვილი (ლანა ბარი)

დაიბადა 1965 წელს, ბათუმში. საქიმო ტრადიციების ოჯახში. ოქროს medlით დაამთავრა ბათუმის ერთ-ერთი საშუალო სკოლა.

ოჯახში არსებული პროფესიული მემკვიდრეობა ლანას და მის ძმას დავითს უნდა გაეგრძელებინათ.

საქიმო პროფესიის დაუფლების სურვილი ბავშვობიდან იზიდავდა. ოჯახში შექმნილი ატმოსფერო კიდევ უფრო აღრმავებდა ლანას სურვილს. გონებაგახსნილ და სწავლამოყვარულ გოგონას ხიბლავდა საქიმო პროფესიის ჰუმანური იდეალები, რომელიც მიმართული იყო ადამიანის საკეთილდღეოდ.

1983 წელს ლანა სარიშვილი წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ხდება.

სტუდენტობის წლებში ლანა გამორჩეული და წარმატებული სტუდენტი იყო. მას ყველა მონაცემები ჰქონდა, რომ გაეგრძელებინა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მაგრამ ახალგაზრდა ექიმმა პრაქტიკული საქმიანობა ისურვა და მუშაობა დაიწყო ბათუმში, რესპუბლიკური საავადმყოფოს პოლიკლინიკურ განყოფილებაში თერაპევტად.

სამედიცინო ინსტიტუტში მიღებული საბაზისო ცოდნა და ყოველდღიური პრაქტიკული გამოცდილება სახელს უხეკენს ახალგაზრდა მკურნალს. ლანას პაციენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ მის მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგებით.

აჭარის მოსახლეობაში უკვე აღიარებული ექიმი, 2000 წელს ტოვებს საქართველოს და ისრაელის მოქალაქე ხდება. დაიწყო ახალი ეტაპი მის ცხოვრებაში. მას როგორც მოქალაქესა და ექიმს ღირსეული ადგილი უნდა დაეკავებინა ისრაელის სამედიცინო საზოგადოებაში. მის მისაღწევად თავდაუზოგავი შრომა და ნებისყოფა იყო საჭირო. მან წარმატებით დაძლია ეს სიძნელე და საექიმო ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავების შემდეგ, მუშაობას იწყებს იხილოვის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილებაში, პროფესორ ტროპოლსკის ხელმძღვანელობით. ეს ნაბიჯი დიდი მოვლენა იყო ქალბატონ ლანას ცხოვრებაში.

ნიჭითა და შრომით გამორჩეულმა ექიმმა, კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია, 2004 წელს ქალბატონი ლანა გამოჩენილმა მეცნიერებმა ლურემ და რან ორენმ იმავე საავადმყოფოს გასტროენტეროლოგიურ განყოფილებაში კლინიკური და ექსპერიმენტული მუშაობის ჩასატარებლად მიიწვია. ეს დიდი ნაბიჯია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის.

წინ მეცნიერული მუშაობის რთული გზაა გასაკვალი, რადგან ყოველი მიღწეული შედეგი სკრუპულოზურ დამუშავებასა და ანალიზს საჭიროებს.

ქალბატონ ლანას ოჯახი ჩვეული ყოფით ცხოვრობს. მისი ვაჟი ელი ისრაელის ჯარისკაცია და პატრიოტულ მოვალეობას იხდის ქვეყნის წინაშე, ხოლო დავითი 11 წლისაა. იქნებ მათაც შეექმნათ სურვილი ოჯახური ტრადიციის გაგრძელებისა და მომავალში საექიმო პროფესიას დაეუფლონ.

დავით ლეონიდეს ძე სარიშვილი (დავით სარიდი)

ისრაელში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველ ებრაელთა შორის დავით სარიშვილის (სარიდი) ბიოგრაფიული ქრონიკები გამორჩეულია წინააღმდეგობათა გადალახვის სწრაფვისა და ამ მიზნით ბრძოლით დაძლევის განსაკუთრებული უნარით.

დაიბადა 1963 წელს ბათუმში, ექიმთა ოჯახში. ბავშვობის წლებიდან მოყოლებული საექიმო ოჯახურ გარემოში აღზრდის შედეგად ყალიბდებოდა მასში საექიმო პროფესიისადმი სწრაფვა.

1981 წელს, მისაღები გამოცდების წარმატებით დაძლევის შემდეგ, დავითი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ხდება.

სტუდენტობის წლებშივე გამოვლინდა სამეცნიერო მუშაობისადმი მისი ინტერესი.

მალე დავითი, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის მხარდაჭერით, მორფოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში ასრულებს სამეცნიერო კვლევას და მიღებულ მონაცემებს აქვეყნებს სტუდენტურ ჟურნალებში. ინსტიტუტის სტუდენტობა მიესალმა დავითის მონდომებას კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესის გამოხატვაში და ერთხმად აირჩიეს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება „ამირანის“ ერთ—ერთ ხელმძღვანელად.

1987 წელს დავით სარიშვილი წარმატებით ამთავრებს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელს და მუშაობას იწყებს

თბილისის ერთ—ერთი საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში.

9 წლის განმავლობაში დაიხვეწა მისი აზროვნება სპეციალობაში და გამდიდრდა საექიმო გამოცდილებით.

1996 წელს, 34 წლის ასაკში, დავითი ისრაელში აბოლოდ. მას ისტორიულ სამშობლოში მრავალი სიძნელის დაძლევა მოუხდა: ივრითული ენის ათვისება, ყოფითი პირობების შექმნა, პროფესიული საქმიანობის გაგრძელება და სხვა მრავალ პრობლემათა მოგვარება ყოველდღიური ფიქრისა და განსჯის საგანი ხდება.

დავითი ენერგიულად ემზადებოდა ცხოვრებისეული ბარიერის დასაძლევად. ნიჭიერებამ, სწრაფვამ მიზნის მისაღწევად, პროფესიულმა ინტელექტმა, ნებისყოფამ შედეგი გამოიღო. დავითი მომზადებული შეხვდა ყოველ წინააღმდეგობას. წარმატებით გაიარა გასაუბრება, რომლის შემდგომ მიწვეულ იქნა თელ—აviვის ერთ—ერთ პრესტიჟულ, კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში სამუშაოდ, პროფესორ ნომიკაპლინსკის ხელმძღვანელობით.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავითს ონკოლოგიურ განყოფილებაში შესთავაზეს მუშაობა. მის უფროსს კოლეგებს მიანდათ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა წარმატებით გაართმევდა თავს ონკოლოგიურ მეცნიერებაში დახელოვნებას.

მალე შედეგიც თვალსაჩინო იყო. დავითმა წარმატებით ჩააბარა ორი ურთულესი გამოცდა ონკოლოგიაში და მიენიჭა ექიმ-ონკოლოგის უმაღლესი კატეგორია.

კლინიკურ საქმიანობასთან ერთად, დავითი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობითაც არის დაკავებული. აქვეყნებს მეცნიერულ სტატიებს პრესტიჟულ სამეცნიერო-სამედიცინო ჟურნალებში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო მასშტაბის კონფერენციებში, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, არის თელ-აviვის უნივერსიტეტის სამედიცინო სექტორის ლექტორი.

ონკოლოგიური განყოფილების მეცნიერული ხელმძღვანელი, პროფესორი ინბარი ასეთ შეფასებას აძლევს დავითის პიროვნებას: „დავით სარიდი არის უაღრესად ნიჭიერი, ენერგიული, ინტელექტუალური ქცევის მქონე პერსპექტიული ექიმი“. 2006 წლის პირველი იანვრიდან დავით სარიდი იხილოვის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ონკოლოგიური განყოფილების სტაციონარულ ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობს.

ისრაელში ამოსვლიდან 10 წლის განმავლობაში ბატონმა დავითმა შეძლო მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა, საზოგადოებაში წარმატებული აღიარება, პროფესიაში დოსტატება და, რაც მთავარია, პაციენტთა, თანამშრომელთა, თანამოაზრეთა სიყვარული და პატივისცემა. ეს, უდავოდ, დიდი წარმატებაა ახალგაზრდა ექიმისათვის.

დავითის ოჯახში ორი ქალიშვილი ანა და ვიკა იზრდება, რომლებიც წარჩინებით ამთავრებენ საშუალო სკოლას. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ისინი წარმატებით გააგრძელებენ საოჯახო ტრადიციას და დაეუფლებიან ექიმის პროფესიას.

პროფესორი იოსებ ბენიამინის ძე ქურჩიშვილი

პროფესორები: იოსებ ქურჩიშვილი, ჯანგირ მამალაძე

მრავალ გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეთა შორის, ქართული მედიცინის ისტორიაში, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ცნობილმა მეცნიერმა, მკვლევარმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა იოსებ ქურჩიშვილმა.

ბატონი იოსები მედიკოსთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში ეზიარა სამედიცინო განათლებას და თითქმის ხუთი ათეული წლის მანძილზე ერთგულად ემსახურა ქართულ სამედიცინო მეცნიერებასა და პედაგოგიკას.

ებრაელის ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიყვარული და ერთგულება მშობლებმა შთაუნერგეს. ის პატარაობიდანვე ეზიარა ქართულ სულიერებას, მის ისტორიას, კულტურას. თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში — „სოლოლაკში" გაიარა მისმა ბავშვობამ, სიყმაწვილემ, სკოლის წლებმა. დედაქალაქის ამ უიშვიათესი ტრადიციის მქონე ნაწილში, სადაც ერთმანეთის გვერდით დგას ქართული სიონი და სინაგოგა, მეჩეთი და სომხური ეკლესია. სწორედ აქ ჩამოყალიბდა იოსებ ქურჩიშვილის სწრაფვა, თავდადებით ემსახუროს

იმ ქვეყანასა და ერს, რომელმაც განუზომელი თანადგომა გამოუცხადა ებრაელთა მოდგმას.

სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ იოსებ ქურჩიშვილი, მთელი ცხოვრების მანძილზე, ქართული კულტურის, ეროვნული სამედიცინო აზროვნების ერთგული და თაყვანმოდებული მსახური იყო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მრავალმხრივ საინტერესოდ წარიმართა მისი მოღვაწეობა. ბატონი სოსო იყო მკურნალი ექიმიც და ჯანდაცვის ორგანიზატორიც, მკვლევარიც და პედაგოგიც, კათედრის გამგეც და ახალ ნოვატორულ მიმართულებათა პროპაგანდისტიც. მისი შემოქმედებითი აზროვნების მასშტაბურობა თავისუფლად სწვდებოდა ყოველივე ნოვატორულს. ნიჭიერებითა და შრომისუნარით გამორჩეული ახალგაზრდა სწრაფად იმკვიდრებდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე ინტერესსა და საყოველთაო აღიარებას.

უკანასკნელ წლებში ბატონი იოსები ხელმძღვანელობდა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის სოციალური პიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრას.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, დახელოვნების ინსტიტუტს მინიჭებული ჰქონდა საკავშირო სტატუსი, რაც იმას ნიშნავდა, რომ პროფესიული დახელოვნების მიზნით, თბილისში ჩამოდიოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ზოგჯერ საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამედიცინო სამსახურის სხვადასხვა ობიექტს.

ყოველივე ამის გამო, განუზომლად დიდი იყო კათედრის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა მათთან შეხვედრის დროს.

ოთხთვიანი ციკლის შესავალი ლექციებით ხვდებოდა ბატონი იოსები მსმენელებს. ბუნებრივია, რომ სალექციო მასალაში, პირველ რიგში, გათვალისწინებული იყო დარგში არსებული პრობლემები და ის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმა-

რთული იყო მათ მოსაგვარებლად. ბატონი იოსების ლექციები კი იწყებოდა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი ისტორიის უნიკალური მასალების გადმოცემით, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის მიერ შექმნილი ხალხური მედიცინის საგანძურების დემონსტრირებით, წარსულის წიაღიდან დღემდე შემორჩენილი კლასიკური სამედიცინო დამწერლობითი ძეგლების ანალიზითა და სხვა.

მსმენელთა აღფრთოვანება და ინტერესი განუზომელი იყო. ისინი ზოგჯერ მისგან დამატებით ლექციებსაც ითხოვდნენ, რაზეც ბატონი იოსები სიამოვნებით თანხმდებოდა.

მედიცინის ისტორიის მრავალი უცხოელი მკვლევარი სტუმრობდა საქართველოს. ქართული მედიცინის ისტორიისადმი ინტერესი განსაკუთრებით მდგომარეობდა იმაში, რომ მათ ისტორიული ძეგლების მონახულებითა და გაცნობით მიეღოთ განუზომელი სიამოვნება. ყინწვისის ფანასკერტელისეული სამოსახლოს, მცხეთის სამარხების, ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმისა და სხვა ისტორიული ადგილების დათვალიერების ორგანიზატორი და წინამძღოლი ყოველთვის ბატონი იოსები იყო.

გამორჩეულ თვისებათა შორის ბატონ იოსებს ახასიათებდა მეცნიერული კვლევისადმი მიზანსწრაფული ინტერესი. პროფესიის ღრმა ცოდნა და დიდი, ზოგადი განათლება მას საშუალებას აძლევდა შეხებოდა სამედიცინო დარგში არსებული ზოგიერთი პრობლემის ანალიზს. მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად, მან თავი მოუყარა (კონკრეტული შეფასება მისცა და გამოსაცემად მოამზადა) 40 წლის მანძილზე საქართველოში ქართველ მედიკოსთა მიერ საავტორო უფლებით დამოწმებულ გამოგონებებს, ნოვატორულ წინადადებებს, ავადმყოფთა კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის მიზნით შექმნილ რაციონალური ფორმებისა და მეთოდების ამსახველ მეცნიერული და პრაქტიკული შინაარსის მასალებს.

სამწუხაროდ, მისი გამოცემა ვერ მოხერხდა ზოგიერთი ბიუროკრატის უვიცობისა და წინააღმდეგობის გამო. დღეს ეს თავმოყრილი მდიდარი მასალა ისტორიის კუთვნილებაა და ბატონი იოსების არქივში ინახება.

კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი იოსებ ქურჩიშვილის ცხოვრებიდან. მას მიღებული ჰქონდა ფილოლოგიური განათლება, რაც თვალნათლივ იკვეთებოდა მის ყოველ სამეცნიერო-პრაქტიკულ თუ პუბლიცისტური ხასიათის წერილებში. ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესიულ დონეზე ფლობამ მას შესაძლებლობა მისცა შემოქმედებითად ეთანამშრომლა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, სადაც მისი ავტორობით ხშირად იბეჭდებოდა მწვავე და პრობლემატური წერილები ისტორიულ თუ თანამედროვე, ყოფით თუ პროფილაქტიკურ თემატიკაზე.

ბატონი იოსები, ცნობილი მოღვაწის, მორდეხ მამისთვალაშვილთან ერთად (1911-1984), მოღვაწეობდა ქართველი ებრაელების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მეცნიერული კვლევის წარმართვის მიზნით.

ბატონი იოსები იყო ჩინებული მცოდნე ებრაული ენისა. მან ქართულ ენაზე თარგმნა შოლომ ალეიხემის შესანიშნავი ნაწარმოები „ტევიე მერძევე და მისი ქალიშვილები", რომელიც ქართულმა საზოგადოებმა გამორჩეულად შეაფასა.

პროფესორ იოსებ ქურჩიშვილის სახელი ბევრად არის დაკავშირებული მეოცე საუკუნის ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიასთან.

ბატონი იოსები ოთხ ათეულ წელზე მეტხანს, დაუღალავად ემსახურა ქართულ სამედიცინო საზოგადოებას. ქვეყნისა და ხალხისადმი ერთგულებამ, ადამიანის, მოყვასისადმი სიყვარულმა და თანადგომამ, კეთილშობილებამ და პიროვნებათა მიმართ ბუნებრივმა კომუნიკაბელურობამ სახელი და პატივი მოუხვეჭა მას.

როგორც იტყვიან „ერავლისაგან მცირედი თუ აღიწერების", იოსებ ქურჩიშვილი სწორედ იმ დიდ საქმეებთან იდგა, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სამედიცინო მეცნიერების, სამედიცინო კადრების დახელოვნების საქვეყნოდ აღიარებისათვის ბრძოლაში. სწორედ ასეთი გვახსოვს ის მის კოლეგებს, მოწაფეებსა და თანამოაზრეებს.

2006 წელს, ბატონ იოსებს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ პატიები მიაგო ჭეშმარიტი მოღვაწისა და ეროვნული სამედიცინო მეცნიერების მოამაგის ნათელ ხსოვნას.

სახელოვანი მეცნიერისა და პედაგოგის მემკვიდრეობას ღირსეულად აგრძელებს მისი მოწაფეების დღევანდელი თაობა, რაც ჭეშმარიტი გამოხატულებაა ბატონი იოსების მეცნიერული აზროვნების და ტრადიციის უკვდავების.

პროფესორ გივი წიწუაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ძირითადი ეტაპები - მეცნიერული საქმიანობის, საერთაშორისო კონტაქტების, მისი თაოსნობით სისხლძარღვთა ქირურგიაში მოწოდებულ სიახლეთა დანერგვის, მომავალ სპეციალისტთა დახელოვნების შესახებ და სხვა, ავტორთა ჯგუფს
(ნ. პატარაციშვილი, ნ. ჟვანტალიანი, შ. ცური, ჯ. მამალაძე).
მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი გამოქვეყნება.

პროფესორი გივი აბრამის ძე წიწუაშვილი

ებრაელთა განსაკუთრებული ლტოლვა სამედიცინო მეცნიერების შესწავლისა და დაუფლებისადმი, საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია.

ამგვარ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლძარღვთა განყოფილების ხელმძღვანელი, ქირურგთა საერთაშორისო კოლეჯის ნამდვილი წევრი, მრავალი საერთაშორისო ასოციაციის წევრი-პროფესორი გივი წი-

წუაშვილი. 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და 4 მონოგრაფიის ავტორი (მათ შორის ორი ინგლისური ენაზეა გამოცემული დონდონში და ეძღვნება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის ქირურგიული მკურნალობის საკითხებს).

პროფესორი გივი წიწუაშვილი ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი ძირძველი ტრადიციის მქონე გვარის ღირსეული წარმომადგენელია. მისი მამა აბრაამ წიწუაშვილი ღარიბი ოჯახიდან იყო. რვა წლის ასაკიდან ეზიარა შრომას და სიცოცხლის ბოლომდე — 30 წლის განმავლობაში დაუღალავად იღვწოდა საქართველოში ეკონომიკის განვითარებისათვის, როგორც „ცეკავშირის" ერთ-ერთი წამყვანი, გამოცდილი ეკონომისტი.

ბატონი გივი სამუშაო გარემოში

საბჭოური ეკონომიკური მარწუხების პირობებშიც კი, მისი ინიციატივით გაფორმდა სასარგებლო კონტრაქტი უცხოურ ფირმებთან (იტალია, ინგლისი, ჩინეთი და სხვა). დედა ლია დათიკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება არ მიუღია (23 წლის ასაკში უკვე სამი ვაჟიშვილის დედა იყო).

საკმაოდ ნაკითხი ქალბატონი ბრძანდებოდა, ამავე დროს მისი ბრწყინვალე გარეგნობა და ხასიათი ხიბლავდა საზოგადოებას.

აი რას გვიამბობს მშობლების შესახებ თავად გიგი წიწუაშვილი:

მამა-ბიძები ცხოვრობდნენ ქარელში. იმ პერიოდში, ქვეყანაში არსებული სიდუხჭირის გამო, მათ პატარა ასაკიდან მოუხდათ დაუღალავი შრომის გაწევა. მამა ნიჭიერი კაცი ბრძანდებოდა, 8 წლის ასაკიდან სხვადასხვა სახის საქმიანობას ეწეოდა, შემდგომში აითვისა ხელჩანთების კეთება და ამ საქმის დიდ სპეციალისტადაც ითვლებოდა. 23 წლის ასაკში, 15 წლის თბილისელი გოგონა მოხიბლა და წამოიყვანა ცოლად გორში. მე კარგად მახსოვს ის პატარა ოთახი ოსტროვსკის ქუჩაზე, სადაც სამი ძმა ვიზრდებოდით (პირველი ვაჟი დედაჩემს 16 წლის ასაკში შეეძინა), ჩემი ბავშვური შთაბეჭდილება მეხსიერებაში დაფიქსირდა შემდეგნაირად: მამაჩემი ცხენზე ამხედრებული ტყავის სამოსში, აქედან გამომდინარე, საბავშვო ბაღში, როდესაც გვეკითხებოდნენ მამა ვინ არისო, ჩემი შუათანა ძმა — გერა, ამაყად იძახდა სამხედრო მხედართმთავარიაო. სურათებში ზუსტად, მამის ამგვარი მსგავსება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მამას, ისევე როგორც ბიძებს სწავლის საშუალება არ ჰქონდათ (თუმცა ერთ-ერთმა ბიძამ — ვანომ მაინც მოახერხა მოგვიანებით ინსტიტუტის დამთავრება და განათლების სამინისტროში საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა), მამის ნიჭმა, კონტაქტებმა და შრომისუნარიანობამ თავისი გამოიღო და მისი აქტიური მონაწილეობით მთელი გორის რაიონი მარაგდებოდა სხვადასხვა სასურსათო და სამრეწველო პროდუქციით. მის ნიჭზე ისიც მეტყველებს, რომ მას შეეძლო სამნიშნა ციფრები ისეთი სისწრაფით გადაეძრავლებინა ზეპირად, რომ ჩვენ, სამი ძმა, ქაღალდზე ანგარიშით ვერ ვასწრებდით (მე მსიამოვნებს ამის გახსენება) მამას სამი ძმა ჰყავდა და თითოეულს 3-3 შვილი, აღსანიშნავია, რომ შთამომავლობითმა გენეტიკურმა კოდმა თავი იჩინა და ყველამ მიიღო უმაღლესი განათლება და თავის სპე-

ციალობებში ფრიად წარმატებულები იყვნენ. მაგა დიდი ენერგიის მქონე, მოძრაული კაცი ბრძანდებოდა, რისთვისაც მას „ვერცხლის წყალს“ უწოდებდნენ. მისი ცხოვრების უმაღლესი პრინციპი ოჯახზე ზრუნვა იყო“.

აბრამ და ლია წიწუაშვილების ტრადიციულმა ოჯახმა შვილებს კარგი განათლება მიაღებინა. უფროს ვაჟს შალვა წიწუაშვილს, ბრწყინვალე ექიმს, მედ. მეცნ. კანდიდატს, თერაპიის ინსტიტუტის წამყვან უფროს მეცნიერ თანამშრომელს

პროფესორი გივი წიწუაშვილი ქართველ კოლეგებთან ერთად, კანარის კუნძულებზე, 2001 წელი.

პეპატოლოგიის დარგში, შემდგომში გორის რაიონის მთავარ თერაპევტს, მძიმე ავადმყოფობამ არ დაცალა უშრეტი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენა და ახალგაზრდა ასაკში გამოაკლდა პროფესიული ელიტის რიგებს. მეორე ვაჟი — გერცელ (გერა) წიწუაშვილი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის წამყვანი პედაგოგი იყო ინგლისური ენის პროფილით. მას ბევრი სტუდენტის დაკვალიანებაში მიუძღვის წვლილი.

გივი წიწუაშვილმა ოქროს medalზე დააამთავრა გორის რუსული საშუალო სკოლა. იმ ხანად გორში რუსული სკოლა ერთადერთი იყო. აქ ასწავლიდნენ პედაგოგები, რომლებმაც პროფესიული განათლება წარჩინებით მიიღეს ოდესის, ხარკოვის, მოსკოვის, ბერლინის უნივერსიტეტებში, ისინი, ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური მიზეზის გამო, იყვნენ რეპრესირებულნი და საცხოვრებლად თავი მოიყარეს ქ. გორში, რითაც დიდი სამსახური გაუწიეს ქალაქის მოსწავლეებს. გივის მიყვანა რუსულ სკოლაში დედის, ქალბატონ ლიას დამსახურება იყო, რომელიც მიუხედავად ბევრი გაფრთხილებისა, რომ ბავშვს გაუჭირდებოდა რუსულად სწავლა (იმ დროისთვის პატარა გივიმ არც ერთი რუსული სიტყვა არ იცოდა), დაჟინებით იდგა თავის პოზიციაზე. ბავშვს იმთავითვე აღმოაჩნდა უცხო ენის სწავლის ნიჭი. საკმარისია ითქვას, რომ ის უკვე მე-4 კლასში გრამატიკულად ყველაზე კარგად წერდა კარნახს და აქედან მოყოლებული სკოლის დამთავრებამდე მის დღიურში „ფრიადზე" დაბალი შეფასება პრაქტიკულად არ არსებობდა. სკოლაში სწავლების პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ჭადრაკში კი გამოირჩეოდა რომანტიკული სტილით, რითაც სპორტის ოსტატობის კანდიდატობას მიაღწია, ბევრი მას უწინასწარმეტყველებდა ამ სპორტში თვალსაჩინო მიღწევებს, მაგრამ მან არ გააგრძელა ამ მიმართულებით მუშაობა; ამავე დროს, მან ექსტერნად დაამთავრა მუსიკალური სკოლა ფორტეპიანოს კლასით. სკოლაში გერმანული ენის გარდა, რომელსაც კარგად ფლობდა, მან მოსკოვში არსებულ უცხო ენების დაუსწრებელ კურსებზე გააგრძელა სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ მან ბრწყინვალედ აითვისა ინგლისური ენა, რაც იმ დროისთვის იშვიათობას წარმოადგენდა. გივი წიწუაშვილი დღემდე დიდი მადლიერებით იხსენებს იმ ადამიანის სახელს, რომელმაც ურჩია ამ კურსებზე სწავლა — ეს იყო ბატონი რობერტ მნაცაკანოვი. მანვე გაუღვიძა ინტერესი სხვადასხვა ტექნიკური მოდელების შექმნის მიმართ. ბატონ რობერტს მე-8 კლასელი გივი ქობულეთში დას-

საერთაშორისო კონფერენციაზე, ნიუ-იორკი, 1999 წელი

ვენების დროს "შემოხვევით" შეხვდა და დღემდე ერთ-ერთ პირველ მასწავლებლად მიიჩნევს. კეთილი საქმეების წყალობით, მე-9 კლასელი გივი „დაიმეგობრა" მე-2 მსოფლიო ომის გმირმა გენერალმა პუტილოვმა, რომელიც მეთაურობდა გორში განლაგებული საბჭოდრო პოლკს. გენერალმა დააკმაყოფილა გივის თხოვნა და 3 კვირით საბჭოდრო საბსახურიდან გაანთავისუფლა მისი მეზობლის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, რაც იმ დროისთვის პრაქტიკულად არ ხდებოდა. სპორტისა და მუსიკის გარდა, გივი სკოლის პერიოდში პოეზიითაც იყო გატაცებული, გაზეთ "Пионерская правда"-ში მას არა ერთი ლექსი გამოუქვეყნეს.

სიქაბუკის წლებში, როცა გ. წიწუაშვილი მე-10 კლასის მოსწავლე იყო, გაეცნო საბედიცინო ლიტერატურას და მრავალმხრივ ერუდირებული ახალგაზრდის გონება მთლიანად ექიმის პროფესიაზე ოცნებამ შეიპყრო. სკოლის დამთავრებისთანავე მან ბრწყინვალედ გაიარა თბილისის სახელმწიფო საბედიცინო ინსტიტუტში გასაუბრება და საბკურნალო ფაკულტეტზე

ჩაირიცხა. ის სტუდენტობის პერიოდში აქტიურად იყო ჩაბმული ინსტიტუტის საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში, რაშიც უდიდეს დახმარებას უცხო ენების ცოდნა უწევდა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფიზიოლოგიაში, ტოპოგრაფიულ ანატომიასა და ოპერაციულ ქირურგიაში უახლესი საკითხების გაცნობას და მიმოხილვას. იყო სახელობითი სტიპენდიანტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 3 წელიწადი მუშაობდა ქ. გორის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

პრაქტიკული მუშაობის მიუხედავად, გ. წიწუაშვილის სამედიცინო მეცნიერებისკენ ლტოლვა არ ცხრებოდა და ახალგარდა ექიმი მუდმივ ძიებაში იყო. 1965 წელს, ბრწყინვალედ ჩაბარებული გამოცდების შედეგად, ჩარიცხა საკავშირო სამედიცინო აკადემიის ქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რითაც მან თავისი რაციონალური იდეების განხორციელებისთვის რეალური საფუძველი შექმნა. აქ მან შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გასტრო-დუოდენური სისხლდენების მკურნალობა კუჭის ლოკალური პიპოთერმიით". იმ დროისათვის მსგავს კვლევას მხოლოდ აშშ-ში აწარმოებდნენ, ამაგვარად, გ. წიწუაშვილის დისერტაცია პირველი იყო საბჭოთა კავშირში, რამაც საფუძველი დაუდო მის მიერ შემუშავებული მეთოდის გავრცელებას მოსკოვსა და ლენინგრადში. მან შექმნა ორიგინალური აპარატი, რომლის საშუალებით წარმატებით მკურნალობდნენ კუჭიდან და თორმეტგოჯა ნაწლავიდან სიცოცხლისათვის საშიშ სისხლდენას. კვლევები და შედეგები იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის საავადმყოფოს ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ა. პეტროვმა წინადადებით მიმართა აკადემიკოს კ.ერისთავს, გ. წიწუაშვილს თემის ხელმძღვანელს, რათა გაეერთიანებინათ ორი ინსტიტუტის ნაშრომი და ერთობლივად მოეხსენებინათ 1967 წელს ვენაში გამართულ ქირურგთა 22-ე საერთაშორისო კონგრესზე, რაზედაც მან უარი

ძიიღო და გ. წიწუაშვილი დამოუკიდებლად წარსდგა ამ ფორუმზე, რის შემდგომ ერთსულოვანი მოწონება და აღიარება პპოვა. აკადემიკოსი კ.ერისთავი ღირსეულად აფასებდა გ. წიწუაშვილის ნიჭს და დიდ პატივს სცემდა მას. კ. ერისთავი ხაზგასმით გამოხატავდა თავის პატივისცემას მისი მოწაფის, გიორგი წიწუაშვილის ოჯახისადმი. საბედნიეროდ, ცხოვრება არ შედგება მხოლოდ ქრონოლოგიური აღრიცხვიანობისაგან, ამგვარი ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება საშუალამოდ რჩება მეხსიერებაში.

საინტერესოა აღინიშნოს გ. წიწუაშვილის დისერტაციის დაცვის ერთი ეპიზოდი. ამ დროისთვის, გარკვეული რეფორმების გატარების გამო, სამეცნიერო საბჭოებს დაეკალათ უფრო აქტიურად განეხილათ წარდგენილი ნაშრომები, რათა თავიდან აეცილებინათ სუსტად შესრულებული დისერტაციები. გიორგი წიწუაშვილის დაცვა იყო ამგვარი მოთხოვნის პირველი ცდა. სადისერტაციო ნაშრომი თავისთავად იყო საინტერესო, ორიგინალური და განაწყობდა სამეცნიერო საზოგადოებას აქტიური დისკუსიისთვის. მაგრამ საბჭოს ერთი წევრი, ცნობილი ქირურგი, საშუხაროდ, კომფლიქტურ დამოკიდებულებაში იყო გ. წიწუაშვილის შრომის ხელმძღვანელებთან - აკადემიკოს კ. ერისთავთან, პროფესორებთან: გ. იოსელიანთან და ლ. შარაშიძესთან. ამის გამო, ის შეეცადა მოწაფის საშუალებით „ეყარა ჯავრი" მათზე, რამეთუ ღია დაპირისპირებას ის თავს არიდებდა. ნაშრომსა და მოხსენებაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ 30 ავადმყოფი, რომლებსაც უმკურნალეს კუჭის პიპოთერმიის საშუალებით, იყვნენ უკიდურესად ძნიშე მდგომარეობაში და მასიური სისხლდენით გამოწვეულ ანემიის პირობებში სასწრაფო ოპერაცია შეიძლება საბედისწერო აღმოჩენილიყო. მოწოდებული მეთოდი გულისხმობდა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოგვიანებით, ცივ პერიოდში ოპერაციის წარმოებას. აქედან გამომდინარე, მოხსენებაში გაჟღერდა ფრაზა: „აღნიშნული მეთოდი მოაზროვნე ექიმის

ხელში წარმოადგენს მრისხანე იარაღს კუჭ-ნაწლავიდან მასიური სისხლდენის ბრძოლის საკითხში". საბჭოს პატივცემულმა წევრმა, მრავალ შეკითხვასთან ერთად, გამოიყენა სიტყვა „მოაზროვნე" და შემდეგნაირი აპელირება გააკეთა: „ვის თვლით თქვენ, ბატონო ვივი, ამ საბჭოს ცნობილი წევრებიდან, ცუდად მოაზროვნედ?" ამ კითხვით მან გარკვეული აღელვება და ჩოჩქოლი გამოიწვია საბჭოს ზოგიერთ წევრში, რაც ოპონენტის აზრით, ალბათ, გამოიწვევდა დისერტანტის, ახალგაზრდა მეცნიერის, დაბნეულობას და მისთვის დამამცირებელ, არაადეკვატურ პასუხს. მიუხედავად ცნობილი ავტორიტეტების მიმართ პატივისცემისა, ახალგაზრდა მეცნიერის პასუხი იყო შემდეგი: „რასაკვირველია, ჩვენ ოდნავი ეჭვიც არ გვეპარება დამსწრეთა ღრმა აზროვნების უნარში, მაგრამ როდესაც ჩვენ ამ ფრაზას ვამბობთ, ვხელმძღვანელობთ საბჭოთა კავშირის მთავარი ქირურგის, აკადემიკოს ნ. ბურდენკოს გამოთქმით: "Горе тому хирургу, чьи руки работают быстрее головы". ამ პასუხმა საყოველთაო მოწონება და ტაში გამოიწვია აუდიტორიაში, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო დაცვის დროს. დაცვა ბრწყინვალედ დასრულდა.

შემდგომში გ. წიწუაშვილი ინტერესდება სისხლძარღვთა ქირურგიის საკითხებით, რომლის ღრმად დაუფლებისათვის წლების მანძილზე მუშაობს მოსკოვში ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში. აქ მან მიიღო უმაღლესი კვალიფიკაცია, მას რთულ ოპერაციებს ანდობდნენ. პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, იგი მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწევა, აბუშავებს სადოქტორო დისერტაციას ერთ-ერთ აქტუალურ თემაზე: „თავის ტვინის სისხლძარღვების არასპეციფიკური აორტოარტერიტის ქირურგიული მკურნალობა". შრომა თითქმის მზად პქონდა და როცა აპრობაციისთვის დაიწყო მზადება, სწორედ მაშინ მოუხდა მოსკოვის დატოვება, რადგან დედა გახდა ავად. რამდენიმე წლის გავლის შემდეგ, დედამ ანდერძიანი დაუბარა, მას რომ დაწყებული საქმე დაესრულებინა. 6 წლის

წინ მიტოვებული დისერტაცია თითქმის თავიდან მოითხოვდა განახლებას, მან ჩვეული შემართებით დაიწყო შრომა და როდესაც ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია, სამეცნიერო საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ მან მეცნიერული გმირობა ჩაიდინა. მშობლიური ქირურგიის ინსტიტუტში, ჯერ უფროსი მეცნიერი მუშაკის, შემდგომ განყოფილების ხელმძღვანელის რანგში, მისი ხელმძღვანელობით მუშავდება მეცნიერებაში სისხლძარღვთა პრობლემატიკის ბევრი პრიორიტეტული თემა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია თავის ტვინის იშემიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ქირურგიული გზების ძიების საკითხი. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ, ის ავტორიტეტად ითვლება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და რომ ეს მართლაც ასეა, ამას ადასტურებს თელ-ავივის იხილოვის საავადმყოფოს სისხლძარღვთა განყოფილების გამგის, პროფესორ ე. შიფრინის შეფასება: „ვ. წიწუაშვილი არის თანამედროვე რუსული (ივულისხმება ყოფილი საბჭოთა კავშირი) სისხლძარღვთა ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი". ეს შეფასება მან დაიმსახურა იმის გამო, რაც იგი, როგორც მიწვეული პროფესორი, შვიდი თვის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ საავადმყოფოში და რამდენიმე მეთოდიც დანერგა იქ.

პირველად საქართველოში მის მიერ შესრულდა აორტოგრაფია ტრანსლუმბალური და სელდინგერის მეთოდით, ასევე პირველად, მის მიერ გაკეთდა საუღლე ვენის ანევრიზმის ოპერაცია, გულმკერდიდან გამოსვლის სინდრომის დროს წინა კიბისებრი კუნთის რეზექცია, ერომომენტად სამი საძილე არტერიის (საერთო, გარეთა და შიდა) რეკონსტრუქცია, მოწყვეტილი ზემო კიდურის კუნთების (ყველა სისხლძარღვის, ნერვისა და მყესების სრული ცირკულარული დაზიანების აღდგენა. ამ ოპერაციის თაობაზე მოვიყვანთ უშუალოდ გ. წიწუაშვილის ინფორმაციას, რომელიც მან მისცა ერთ-ერთ გაზეთს („საქართველოს რესპუბლიკა", №262, 1998 წელი, 10 ოქტომბერი „ქართული ცისარტყელის ერთი ფერი"):

„მას შემდეგ 15 წელი გავიდა, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს, იგონებს ბატონი გივი - ადიგენში გამომიძახეს, ახალგაზრდა კაცი ავარიაში მოპყვა, მარჯვენა ხელი ისე დაუზიანდა მარტო კანზე ეკიდა. აღსადგენი იყო ვენები, არტერია და კუნთები. მე ვარ და ადგილობრივი, გამოუცდელი ქირურგი. ოპერაცია ამოსახსნრით უნდა გამეკეთებინა. ეს ძალიან ტრავმულია და შეიძლება ვერ გაეძლო, რადგან ბევრი სისხლი პქონდა დაკარგული, თან ტვინის მძიმე შერყევა ერთოდა. საოპერაციო ერთი უბადრუკი ოთახია. ირგვლივ შემოჯარულ ხეებზე ამძვრალან ადიგენელები და იქიდან ადევნებენ თვალყურს ჩვენს საქმიანობას, რის საშუალებასაც მათ საოპერაციოს გამჭვირვალე ფანჯრები აძლევს. ერთი მათგანი ჩემს ყოველ მოძრაობას რეპორტაჟივით გადასცემს ქვემოთ დარჩენილებს. ოთხი საათი გასტანა ოპერაციამ, რომელიც ადგილობრივი ანესთეზიით (!) მიმდინარეობდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ავადმყოფმა ხელი ააშუშავა და მადლობის ნიშნად ჩამომართვა კიდეც. - „ააშუშავა, გადარჩა, გადარჩა“, - იყვირა სიხარულით აღფრთოვანებულმა ხეზე ჩამომჯდარმა. მას საავადმყოფოს ირგვლივ შეკრებული მთელი სოფელი შეუერთდა და ყიჟინა დასცეს. გარეთ გამოსულს ყველა მეპატიჟებოდა, ყველას უნდოდა მის ოჯახში გამეთენებინა ის ღამე“.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ დაზარალებული 34 წლის მამაკაცი იყო, პყავდა 4 შვილი და მძღოლისთვის მარჯვენა ხელის დაკარგვა ოჯახის დაღუპვის ტოლფასი იყო. კორესპონდენტი თავის მხრივ ამატებს: „იმ ხანად საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოწყვეტილი ხელის სრული აღდგენა მოხდა. უმაღლესი აპარატურით აღჭურვილი, მსოფლიოში სახელგანთქმულ კლინიკებში, ამ რანგის ოპერაციები როცა კეთდება, ისიც კი სენსაციას იწვევს, ჩვენ კი ისე ვართ დასტაქრებით განებივრებული, რომ აღარც კი გვიკვირს. მხოლოდ ერთი რამ გვავიწყდება „ავადმყოფის გადარჩენა საკუთარი ჯანმრთელობის ფასად რომ ხდება“.

გ. წიწუაშვილმა მედიცინაში შეტანილი წვლილისათვის საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა კლინიკაში სამუშაოდ, 8 თვე მუშაობდა ისრაელში, ამერიკის სამედიცინო ცენტრში, მიწვეული იყო ამერიკის ცნობილ კლინიკებში: ვისკონსინისა და მონტეფიორეს სამედიცინო ცენტრებში და სხვა, სადაც ის უცხოელ კოლეგებთან ერთად საინტერესო კვლევებს აწარმოებს. მას თვლიან ამ კლინიკების თანასწორუფლებიან წევრად და მადლობის წერილები იგზავნება თბილისში, ქირურგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის სახელზე. მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესზე - ავსტრიაში, საბერძნეთში, ისრაელში, რუსეთში, იტალიაში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი გამოსვლა ყველაგან დიდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მისი ოთხთვიანი მოღვაწეობა ამერიკაში მონტეფიორეს სამედიცინო ცენტრში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში, აქ იღრმავებენ თავიანთ გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნის უკვე ცნობილი სპეციალისტები. იგი 150 შენობაშია განლაგებული, უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი და 3 ათას საწოლზეა გაშლილი. მის პერსპექტიულობაზე მეტყველებს ცენტრის წლიური კაპიტალბრუნვა, რომელიც 5 მილიარდი დოლარია. 1999 წლის ოქტომბერში, ცენტრის პრეზიდენტის, სპენსერ ფორმანის, პერსონალური მოწვევით გ. წიწუაშვილი მიემგზავრება 4 თვით მიყლინებაში აღნიშნულ ცენტრში, იგი ოჯახთან ერთად უზრუნველყოფილია 2-ოთახიანი საცხოვრებელი ბინით, მანქანით და საკმაოდ კარგი ხელფასით. სისხლძარღვთა დიეზიონს, სადაც გ. წიწუაშვილი მუშაობდა, ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი ფრანკ ვეისი. მასთან ერთად გ. წიწუაშვილი რთულ ოპერაციებს აკეთებდა, როგორც საოპერაციო ბრიგადის წევრი. გ. წიწუაშვილის, სპენსერ ფორმანისა და ფრანკ ვეისის ოჯახებს შორის თბილი, მეგობრული

ურთიერთობა მყარდება, რასაც ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ მათ შორის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. იმავე წლის დეკემბერში, ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ბაადურ მოსიძის სახელზე მონტეფიორეს ცენტრიდან წერილი მივიდა, სადაც სისხლძარღვთა დივიზიონის ხელმძღვანელი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა პროფესორ გივი წიწუაშვილის, როგორც კლინიკის ქირურგიული ჯგუფის საპატიო წევრის მუშაობით. იზიარებდა მის წინადადებებს ბევრ საკითხში. აშშ-ს სისხლძარღვთა საზოგადოების პრეზიდენტი ფრანკ ვეისი კი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ მათ ერთნაირი ხედვა აქვთ სისხლძარღვთა ქირურგიის განვითარების შესახებ და რომ მას დიდი სურვილი აქვს გ. წიწუაშვილთან უფრო ხანგრძლივი თანამშრომლობისა. ცენტრი ყოველწლიურად ნოემბერში მართავს საერთაშორისო სიმპოზიუმს. ამჯერადაც 1999 წლის 18-21 ნოემბერს მანჰეტენზე მედისონ-ავენიუსზე მდებარე ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმრო „უოლდორფ ასტორიის“ სამეჯლისო დარბაზში გაიმართა ოცდამეექვსე სიმპოზიუმი, რომელშიც 1000-ზე მეტი სისხლძარღვთა ქირურგი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის იყო პროფესორი გ. წიწუაშვილი. სიმპოზიუმი ეძღვნებოდა სისხლძარღვთა ქირურგიის განვითარების გლობალურ საკითხებს. სიმპოზიუმის მსვლელობისას საძილე არტერიების ქირურგიული მკურნალობის საკითხების განხილვისას, სიმპოზიუმის თავმჯდომარემ, პროფესორმა ფრანკ ვეისმა ათასი დელეგატის თანდასწრებით განაცხადა, რომ დარბაზში იმყოფება პიროვნება, რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ტაკაიასუს დაავადებების დიაგნოსტიკასა და ქირურგიული მკურნალობის საკითხებში. ის პროფესორ გივი წიწუაშვილს გულისხმობდა და სთხოვდა მისი გამოცდილება მოეხსენებინა დელეგატებისათვის. გ. წიწუაშვილის გამოსვლა დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი, რაც გამოიხატა აქტიური დისკუსიით. ბატონი ვეისი წერდა: „თქვენმა მონაწილეობამ და წინადადებებმა წინა სიმ-

პოზიციაში, ხელი შეუწყო, რომ ეს შეხვედრები გადაზრდილიყო მსოფლიო კლასის სიმპოზიუმად და განემტკიცებინა სისხლძარღვთა ქირურგიის თემა".

მონტეფიორეს ცენტრიდან გამომგზავრების წინ გივი წიწუაშვილს და მის ოჯახს საზეიმო შეხვედრაც გაუმართეს და გამოსამშვიდობებელი საღამოც მოუწყვეს, რაც თავშეკავებული ამერიკელების მხრიდან დიდი პატივისცემისა და მოწონების გამომხატველი იყო. ამერიკაში ხანგრძლივი ვადით მოწვევის მიუხედავად გ. წიწუაშვილმა გადაწყვიტა ეშრომა საქართველოში, დასაფასებელია ის ფაქტი, რომ გივი წიწუაშვილი, დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, აქტიურად ღებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის უმწეო თანამემამულეთა უანგარო სამსახურშია, მის მიერ დაარსებულმა ფონდმა „სინაი" საშუალება მისცა ბევრი ავადმყოფისათვის უფასოდ გაეკეთებინა ძვირადღირებული, რთული ოპერაცია. წლების მანძილზე შეთავსებით ხელმძღვანელობდა ებრაელ სათემო სახლს თბილისში. ივი ამ სახლის პირველი დირექტორი იყო და ბევრი სასიკეთო სათემო საქმეც გააკეთა.

გ. წიწუაშვილის პროფესიულ და პიროვნულ მახასიათებლად გამოდგება ავრეთვე მისი გულმოდგინე დამოკიდებულება ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში, რისთვისაც ის არ იშურებს ცოდნას, დროსა და ენერგიას. მისი მოწაფეები წარმატებულად მოღვაწეობენ სხვადასხვა ქვეყანაში: ისრაელი, ამერიკა, გერმანია და სხვა. ბატონი გივის ორგანიზაციული ნიჭის კიდევ ერთი ნაყოფია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება. 2006 წლის ოქტომბერში მისი თაოსნობით წარმატებით ჩატარდა ისრაელ-საქართველოს I საეროაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც დასაწყისი დაუდო ამგვარ კონფერენციების ყოველწლიურად ჩატარების ტრადიციას.

გივი წიწუაშვილს თავის ნაყოფიერ და შრომატევად საქმიანობაში უზომო დახმარებას უწევს მეუღლის, ქალბატონ

ლიას თანადგომა, ის ინგლისური ენის სპეციალისტია, მის პიროვნებაში აშკარადაა გამოკვეთილი ებრაელი ინტელიგენციის დახვეწილი თვისებები და ტრადიცია. ოჯახურ იდილიას ავსებენ შვილები, 3 შათგანი — ლიკა, დეკი და უჩა ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკაში, უმცროსი 19 წლის სოლომონი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია და ეუფლება ბიზნესის მართვის საფუძვლებს.

ბევრი შეიძლება კიდევ დაიწეროს გივი წიწუაშვილზე, მაგრამ გვინდა ეს წერილი დავამთავროთ ერთ-ერთი გაზეთის ფრაგმენტით, სადაც მას განიხილავენ, „როგორც ქართული ცისარტყელის ერთ-ერთ მკაფიო ფერად“.



ისრაელის ყოფილი ელჩი საქართველოში, შაბთაი ცური, ქირურგიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ბაადურ მოსიძე, პროფესორი გივი წიწუაშვილი

შალვა აბრამის ძე წიწუაშვილი

ძმები: შალვა, გერცენ და გივი წიწუაშვილები

1932 წელს დაბადებულს სკოლაში სწავლა მოუწია მე-2 მსოფლიო ომის მძიმე წლებში, თუ ამას დავუმატებთ, რომ 1937 წლამდე ახალგაზრდა ოჯახს კიდევ ორი ვაჟიშვილი შეეძინა და 5 სული ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ როგორ როულ ეკონომიურ-სოციალურ პირობებში უხდებოდა მას სწავლა-განათლების მიღება. მაგრამ, თანდაყოლილი ნიჭთან ერთად, შალვა ბავშვობიდან დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა და სწავლაში რაიმე პრობლემები არ პქონდა. შალვა გარეგნულად ძალიან ლამაზი ბავშვი ყოფილა, რაც დიდ სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებდა, პირველ რიგში, შშობლებს და ირგვლივ მყოფ ხალხს. სკოლა წარჩინებით, ვერცხლის მედალზე დაამთავრა და იმთავითვე იცოდა, რომ ექიმი იქნებოდა. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებულად სწავლობდა, აქტიურად იყო ჩაბმული სტუდენტურ და სამეცნიერო საქმიანობაში, ისე რომ, ინსტიტუტის დამთავრების მომენტში გარკვეულ პრაქტიკულ-მეცნიერულ დონეს მიაღწია და მზად იყო ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისათვის, რასაც მან შემდგომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, შალვა მუშაობას იწყებს ქ. სოჭში, ქალაქის I საავადმყოფოში, ინტერნისტად, მაგრამ მომიჯნავე სამედიცინო პროფილითაც უწევს მუშაობა. ამ საკურორტო ქალაქში, ძირითადი მოსახლეობის გარდა, მრავალი დამსვენებელი ჩამოდიოდა. ბუნებრივია, რომ მათ შორის გარკვეულ ნაწილს ექმნებოდა ჯანმრთელობის პრობლემები და ისინი ხვდებოდნენ შალვასთან საავადმყოფოში სხვადასხვა დაავადებით. ამგვარად, მას შესაძლებლობა ჰქონდა კარგი სამედიცინო პრაქტიკა მიეღო. ის სულ ახლის ძიებაში იყო და როგორც უმცროსი ძმები და შალვას ოჯახის წევრები იხსენებენ, არ ყოფილა არც ერთი დღე, ვიდრე ის ჯანმრთელი იყო, რომ მას წიგნი არ წაეკითხოს თავისი ისედაც მდიდარი, სამედიცინო ერუდიციის გაღრმავების მიზნით. ის იგივეს ითხოვდა უმცროსი ძმებისაგან და შემდგომ შვილებისგანაც. უმცროს ძმებს, გივის და გერას, მოთხოვნილება ჰქონდათ, რომ ყოველ კვირას რაიმე ახალი უნდა ესწავლათ, როგორც მუსიკაში (ისინი საკმაოდ კარგად უკრავდნენ ფორტეპიანოზე), ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში. ისე რომ, თუ მათ ცხოვრებაში წარმატებებს მიაღწიეს, უფროსი ძმის, შალვას დიდი დამსახურება და წვლილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში სხვაობა ასაკში თითქმის იშლება (ან არ იგრძნობა), შალვას სუბორდინაციული ურთიერთობა ძმებისთვის ულაპარაკო და უპირობო იყო, რამეთუ ის თავისი ცხოვრებით, ქცევითა და ვაჟკაცობით ამის მაგალითს იძლეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოჭში მას ფრიად წარმატებული ცხოვრება ჰქონდა როგორც სამედიცინო დარგში (იმ დროისთვის იგი სოჭში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექიმი გახლდათ), ასევე პირად საყოფაცხოვრებო სფეროში, მისი სული და გული საქართველოსკენ იყო მიმართული. ამის გამო, მალე ბრუნდება თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მას ბევრი კლინიკიდან ჰქონდა შემოთავაზება, გადაწყვიტა გარკვეუ-

ლი პერიოდი ემუშავა ინფექციურ საავადმყოფოში და გამოეყენებინა დაგროვილი გამოცდილება ამ დარგში, რომელიც მან სოჭში შეიძინა. შალვამ გადაწყვიტა ეს გამოცდილება თავის მშობლიური ხალხისათვის მოეხმარა. შალვა სწრაფად იმკვიდრებს იქ ადგილს, წარმატებით კურნავს ბევრ მძიმე ავადმყოფსა და კლინიკის ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი კვიტაშვილის და საავადმყოფოს ყველა კოლეგის საყვარელი თანამშრომელი ხდება. ამ დროისათვის ის უკვე მრავალპროფილური ექიმი გახლდათ, რომელიც წარმატებით კურნავდა შინაგან სნეულებებით და ინფექციური დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფებს. შემდგომ ეროვნული თერაპიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნოდარ ყიფშიძე, სთავაზობს მას მუშაობა გააგრძელოს თერაპიის ინსტიტუტში და პრაქტიკული მოღვაწეობის პარალელურად, წარმართოს სამეცნიერო კვლევა, რაზეც შალვა თანხმდება. აქედან იწყება მისი ახალი ეტაპი სამედიცინო ცხოვრებაში. ის ძალიან ფართო პროფილის ექიმი ხდება - კარდიოლოგი, ზოგადი ინტერნისტი, გასტროენტეროლოგი, პეპატოლოგი და სხვა. შეიძლება ითქვას ის თავის სამედიცინო ცოდნით, გამოცდილებითა და პოტენციალით უნიკალური ექიმი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მას მეცნიერებაშიც უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. პროფესორი გრიგოლ გვეშიანი სთავაზობს სადისერტაციო თემას, რომელიც ითვალისწინებდა ზოგიერთი პრეპარატის გავლენას სისხლის შემადედებელ სისტემაზე, რადგან ეს უკანასკნელი დიდ, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობს გულის იშემიის პრევენციასა და მკურნალობაში. შალვა იწყებს მუშაობას თემაზე: „ქლორკობალტდიგუანიდინის გავლენა სისხლის შედედების სისტემაზე", რომელიც იყო საკმაოდ რთული და ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა: რთული იმიტომ, რომ ის მოიცავდა მრავალმხრივ პროფილს კარდიოლოგიის, ბიოქიმიის, კოაგულოლოგიისა და ფარმაკოლოგიის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ კვლევის შედე-

გებს გარკვეული რეკომენდაციები უნდა გაეწია ექიმებისათვის გულის იშემიური დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის საკითხებში. მას შეეძლო ეს შრომა ერთ წელიწადში დაეთავრებინა, მაგრამ ამას მხოლოდ წოდებისათვის არ აკეთებდა და ზერელედ არაფერს ასრულებდა. შალვა წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა — ლექციებს უკითხავდა სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებს; დისერტაციაც წარმატებულად დაასრულა, ბრწყინვალედ დაიცვა და მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ამის შემდეგ, წლების განმავლობაში, ის თერაპიის ინსტიტუტის გასტროენტეროლოგიისა და ჰეპატოლოგიის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, არაჩვეულებრივი დიაგნოსტიკი და წარმატებული მკურნალი იყო. აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მრავალი ნიჭიერი მოწაფეც გამოზარდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გორი და მისი რაიონი მთავარი თერაპევტის გარეშე დარჩა. ჯანდაცვის სამინისტრომ სთხოვა მას სათავეში ჩასდგომოდა რაიონის თერაპიულ სამსახურს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ, მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, ის ნამდვილი პატრიოტიც იყო და ამიტომ, ბევრი ფიქრის გარშე, მან დატოვა ინსტიტუტში პრესტიჟული ადგილი და წავიდა, რათა დახმარებოდა იმ რაიონის ხალხს, სადაც მან ბავშვობა და სკოლის წლები გაატარა. მისი ხელმძღვანელობით, ძალიან მალე, გორის რაიონში თერაპიული სამსახური საგრძნობლად გაუმჯობესდა. იმ პერიოდში არც ერთი თერაპიული ავადმყოფი სამკურნალოდ გორიდან სხვაგან არ მიდიოდა, უფრო მეტიც, თბილისიდან და მრავალი რაიონიდან მასთან ჩადიოდნენ სამკურნალოდ. აღნიშნულ სამსახურის მაღალმა დონემ განაპირობა ის ფაქტი, რომ, როგორც გამონაკლისი, ჯანდაცვის სამინიტრომ დაუშვა ინტერნატურის გავლა გორის რაიონულ საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში, რომელსაც შალვა წიწუაშვილი ხელმძღვანელობდა. ბევრი მოწაფე გამოზარდა

ბატონმა შალვამ. ისინი დღესაც წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: გერმანიაში, ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამგვარად, ბატონი შალვა აღიარებულია, როგორც საერთაშორისო დონის ექიმი, მან ათასობით ავადმყოფი განკურნა, მის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი. მთელი ცხოვრების განმავლობაში მის გვერდით ერთგულად ედგა შესანიშნავი მეუღლე ალა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ოჯახის ჩამოყალიბებაში.

90-იანი წლების დასაწყისში შალვას ვაჟიშვილები ისრაელში წავიდნენ საცხოვრებლად, რის გამოც ისიც თან გაჰყვა მათ თავის ისტორიულ სამშობლოში. იშვიათი შემთხვევაა ისრაელში არსებული სპეციფიკისათვის, რომ ახლად ჩასულ ექიმს, საბუთების მიხედვით, ანიჭებენ „მუმხის" (უმაღლესი სპეციალისტის) სტატუსს, რაც ექიმს დიდ პერსპექტივას უშლის: საკუთარი კერძო კლინიკა, უამრავი პაციენტი და ცხოვრების მაღალი ეკონომიკური დონე. შალვას თავისი დამსახურებისათვის ეს სტატუსი მაშინვე მიანიჭეს. უამრავი საშუალება და ჩანაფიქრი პქონდა მას ისტორიულ სამშობლოშიც — გამოეყენებინა თავისი დიდი გამოცდილება ხალხის საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ, ყურაგმა დაავადებამ მალე იჩინა თავი, არ მისცა მას ამის შესაძლებლობა.

ვაჟკაცურად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბატონი შალვა, ასევე ვაჟკაცურად შეხვდა სიცოცხლის დასასრულს, ისე, რომ ერთხელაც არ დაუწუწუნია და ოჯახის წევრებს დამატებითი ემოციური დატვირთვა არ განაცდევინა. მის წასვლას ამქვეყნიური ცხოვრებიდან, ოჯახთან ერთად, განიცდიდნენ გორში, თბილისში, უცხოეთსა და ყველა, ვისაც მასთან თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა პქონდა.

გვინდა ეს წერილი დავამთავროთ სიყრმის მეგობრის გივი გუგულაშვილის ლექსით, რომელიც მან შალვა წიწუაშვილის ხსოვნას მიუძღვნა:

ალბათ იცოდი!..

(შალვა წიწუაშვილის ხსოვნას)

როგორც შეგეძლო, სიკეთეს თესდი,
კაცი იყავ და ქუდი გეხურა,
გულით გიყვარდა პატარა გორი
და იუმორი გახლდა მეგზურად...
გაფრინდნენ წლები – დრო როგორ გარბის...
ერთმანეთს ისევ ღიმილით „ეხვდებით“,
ნაკურთხ ღვინოში გარეულ დარდით
ჭიქას ვავსებთ და ორივე ვთვრებით.
ვესაუბრები გზადაგზა აჩრდილს
და შენს წუთიერ განზრახვას ვხვდები,
ალბათ, იცოდი-ღვთისათვის გაჩნდი,
ზეცაში მიტომ გაშალე ფრთები!

დავით სიმონის ძე ბათოშვილი (ბატაშ)

საქართველოში, მესხეთის მიწაზე დაბადებულმა ახალგაზრდამ, ებრაული ადათ-წესებთან ერთად, ქართული სულიერება და კულტურა შეისისხლხორცა.

ოქროს მედალზე დამთავრა ახალციხის რუსული საშუალო სკოლა და უმაღლესი სამედიცინო განათლების მისაღებად კუიბიშევში (სამარა) გაემგზავრა.

სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსიდან დავითი წყვეტს სწავლას ქალაქ კუიბიშევში და 1978 წელს საცხოვრებლად ისრაელში მიემგზავრება.

იერიოთული ენის ათვისების შემდეგ, გამოცდებს აბარებს და თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ირიცხება. 1982 წელს, დავითი წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს, ღებულობს ექიმის დიპლომს და 1983-1986 წლებში იხდის საავალდებულო სამხედრო სამსახურს ისრაელის არმიაში, როგორც სამხედრო ექიმი.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, დავითი იმაღლებს პროფესიულ ცოდნას პედიატრიის დარგში „პასაფა როფეს" სახელობის საავადმყოფოში და ღებულობს სპეციალისტის წოდებას ზოგად პედიატრიაში.

დავითის სწრაფვა პროფესიული დახელოვნებისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან ხელმეორედ 1993-1996 წლებში ნეონატოლოგიაში გაიარა კვალიფიკაცია და პარალელურად

დაეუფლა ბავშვთა ნეკროლოგიის, ბავშვთა კარდიოლოგიის, ბავშვთა გასტროენტეროლოგიის, ორსულთა პათოლოგიის საკვანძო საკითხებს.

1996 წელს დავით ბატაში „პასიფა როფეს" სახელობის საავადმყოფოში იწყებს მუშაობას და მალე ხდება განყოფილების წამყვანი ნეონატოლოგი.

2001 წელს, უკვე აღიარებულ და გამოცდილ სპეციალისტს ირჩევენ თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ლექტორად, სადაც მომავალ კოლეგებს გადასცემს თავის ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს. ბატონი დავითი პედაგოგიურ საქმიანობას დღესაც წარმატებით უთავსებს საექიმო მოღვაწეობას.

ბატონი დავითის მრავალმხრივი კონტაქტები აქტიურადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროსთან. არის ისრაელის სამედიცინო ასოციაციის, კლინიკური პედიატრიის ასოციაციის, ნეონატოლოგთა ასოციაციის საპატიო წევრი, მრავალი საერთაშორისო კონგრესის დელეგატი და მონაწილე.

ისრაელის სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს კონსულტანტი პედიატრიის აქტუალურ საკითხებში.

არის მრავალი სამეცნიერო-პრაქტიკული შრომათა ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ისრაელისა და საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში. ბატონი დავითის კონსულტაციები იმდენად კვალიფიციურია, რომ მას ხშირად იწვევენ არა მარტო ისრაელის სამედიცინო დაწესებულებებში, არამედ ქვეყნის გარეთაც. დღეს, ბატონი დავითი მოქალაქეობრივი პოზიციითა და პროფესიული განსწავლულობით თავისი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელია. მან ცხოვრების დიდი ნაწილი შრომას, პროფესიაში დაოსტატებას მოახმარა. საშუალო ასაკის ადამიანის მიერ ასე სასახელოდ განვლილი გზა მისაბაძია. წინ, სამედიცინო აზროვნების ურთულესი პოზიციებია დასაძლევი, რომლის წარმატებით გადალახვას ბატონი დავითი უყოყმანოდ შეძლებს.

მოსე ბენციონის ძე ბინიურიშვილი

მოსე ბინიურიშვილი დაიბადა 1947 წელს, თბილისში, ქალაქის ერთ-ერთ ძველ და ულამაზეს უბანში. 1964 წელს დაამთავრა თბილისის 41-ე საშუალო სკოლა. ქალაქში გაზრდილ და დავაუკაცებულ ახალგაზრდა ადამიანში თავმოყრილი იყო ყველა ის ჩვევები და თვისებები, რომლებიც მკაფიოდ დამახასიათებელია ებრაელთა და ქართველთათვის.

როცა არჩევანი პროფესიაზე მიდგა უყოყმანოდ გადაწყვიტა ექიმი გამხდარიყო. 1965 წელს ჩაბარა მისაღები გამოცდები და 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ინტერნატურა გორის საქალაქო საავადმყოფოში გაიარა, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ექიმი კასპის რაიონის სოფელ დოესის ამბულატორიის გამგედ დაინიშნა. სასოფლო ქსელში საექიმო გამოცდილების მიღების შემდეგ მოსე ბინიურიშვილი თბილისის მე-10 პოლიკლინიკაში უბნის თერაპევტად იწყებს მუშაობას.

უბანზე საქმიანობამ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილებით გაამდიდრა მისი საექიმო ცოდნა.

უბნის ექიმის შვიდწლიანი გამოცდილების მიღების შემდეგ, უკვე კვალიფიციური თერაპევტი თბილისის ერთ-ერთი მედიკოსანიტარიული ნაწილის თერაპიული განყოფილების ორდინატორად ინიშნება. სტაციონარული მუშაობის პერიოდში ბატონი მოსე ყალიბდება როგორც გამოცდილი კლინიცის-

ტი, რადგან მას საექიმო უბანზე მიღებულმა პრაქტიკულმა უნარ-ჩვევებმა ხელი შეუწყო სტაციონარულ პირობებში საექიმო საქმიანობის წარმატებას.

1994 წელს მოსე ბინიურიშვილი, ოჯახთან ერთად, ისრაელში ამოვიდა. 1995 წელს მიიღო ექიმის დიპლომის დადასტურება და ისრაელში პროფესიული საქმიანობის ლიცენზია.

დღეს, ბატონი მოსე წარმატებით მოღვაწეობს ისრაელის სამკურნალო ქსელში თერაპევტად. მას სააშაყოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოში მიღებულმა საექიმო ცოდნამ და გამოცდილებამ დიდად შეუწყო ხელი ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში პროფესიულ საქმიანობაში ჭეშმარიტი გზის გაკვლევას, რაც უკიდურესად რთული და შრომატევადია.

მერაბ შალომის ძე ჩიკვაშვილი



დაიბადა 1951 წელს, ქუთაისში. 3 წლის ასაკიდან, მერაბი მშობლებთან ერთად, სოხუმში იზრდება და იქვე ამთავრებს მე-4 საშუალო სკოლის 8 კლასს. ოჯახური ტრაგედიის — მამის გარდაცვალების შემდეგ, მერაბი საცხოვრებლად თბილისში გადადის და ამთავრებს 56-ე რუსულ საშუალო სკოლას.

უმაღლესი სამედიცინო განათლების დაუფლების სურვილმა ახალგაზრდა შორეული ციმბირის ქალაქ ტომსკში ჩაიყვანა და 1968 წელს მერაბი ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მუყაითობამ, რუსული ენის საფუძვლიანმა ცოდნამ საექიმო პროფესიის დაუფლებისათვის მისწრაფებამ, კარგი შედეგი გამოიღო და 1974 წელს ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ექიმი სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ ბადრინსკის საავადმყოფოში ქირურგად გაანაწილეს.

რუსეთში მიღებული ორწლიანი გამოცდილების შემდეგ, მერაბი ცოლ-შვილთან ერთად სოხუმში ბრუნდება და ქალაქის II საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ცნობილი ქირურგის ემხუარის ხელმძღვანელობით განაგრძობს სამკურნალო საქმიანობას, პარალელურად კი ქალაქის I პოლიკლინიკის წარმყვანი ქირურგია.

1977 წელს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში იმაღლებს კვალიფიკაციას ქირურგიაში.

სპეციალობაში ათვისებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება დაეხმარა მას ჩამოყალიბებულიყო, როგორც მრავალი რთული ოპერაციის შემსრულებელი ქირურგი-ოპერატორი.

1979 წელს მერაბ ჩიკვაშვილი, ოჯახთან ერთად, ისრაელში ამოვიდა და საკვალიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მუშაობას იწყებს ასაფ არიფეს საავადმყოფოში.

1982 წლიდან 2000 წლამდე მერაბი ისრაელის სამხედრო უწყებაში მოღვაწეობს, როგორც წამყვანი ქირურგი. 18 წლის განმავლობაში ჯარში საშსახური უდიდესი სკოლა და პასუხისმგებლობაა. მან ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ ამ ურთულეს მოვალეობას და პოლკოვნიკის წოდებით დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას.

სადღეისოდ, ბატონი მერაბი ცხოვრობს ბათ-იამში, მუშაობს თელ-ჰაშომერის საავადმყოფოში. მეტ დროს ანდომებს ოჯახსა და შვილიშვილების აღზრდას. თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა კოლეგებს და იმედის რწმენით გამსჭვალულია თავისი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთო მომავლისადმი.

ნონა ეფრემის ასული ჩიკვაშვილი

ქალბატონი ნონა დაიბადა 1958 წელს ქუთაისში, ქართველი ებრაელის ინტელიგენტურ ოჯახში.

1965 წელს, ქუთაისის მე-9 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე გახდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1975 წელს. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულმა მოზარდმა ასევე წარმატებით დაამთავრა ქუთაისის მუსიკალური ათწლედი ფორტეპიანოს განხრით.

1975 წელს, ქუთაისელი გოგონა ქალაქ იაროსლავლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საპკურნალო ფაკულტეტზე აბარებს მისაღებ გამოცდებს, რომლის წარმატებით დაძლევის შემდეგ ხდება ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

განსაკუთრებულად გამორჩეული და სიცოცხლით აღსავსე იყო ნონას სტუდენტური პერიოდი. 6 წლის განმავლობაში ის იყო ჩინებული მოწაფე, ცხოვრობდა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით, მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. მის მიერ შესრულებული შრომები იმსახურებდა მოწონებასა და აღიარებას. იყო ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის წამყვანი სოლისტი, შემსრულებელი პიანისტი და სხვა.

სწავლის მიწურულს, უკვე ინსტიტუტში სახელმოხვეჭილ ახალგაზრდას შესთავაზეს ასპირანტურაში სწავლის გაგრ-

ძელება, მაგრამ ნონას შემდგომი ცხოვრებისა და საექიმო საქმიანობის მთავარ მიზანს მშობლიურ ქუთაისში დაბრუნება შეადგენდა.

1981 წელს, ნონა ჩიკვაშვილი ინტერნატურას თერაპიის ციკლით ქუთაისის ავტოქარხნის საავადმყოფოში გადის, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქალაქის მე-3 პოლიკლინიკაში და პარალელურად №1 საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსად ინიშნება.

ქალაქის მე-3 პოლიკლინიკა ძირითადად ქუთაისის ავტოქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს წარმოადგენდა. აქ გაიარა ნონამ საექიმო გზა და შეიძინა მეტად საჭირო პროფესიული გამოცდილება ჯანდაცვის პირველადი რგოლის სპეციალისტისა.

1987 წლიდან ქალბატონი ნონა ქალაქის №1 საავადმყოფოს ორდინატორია და დიდი მონდომებით ეუფლება პულმონოლოგიური პათოლოგიის თანამედროვე მეთოდების ათვისებას, მალე მას აწინაურებენ საავადმყოფოს პულმონოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად.

ქალბატონი ნონა, როგორც უკვე მაღალკვალიფიციური პულმონოლოგი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში პულმონოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურალობის, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვის საქმეში. პერმანენტულად ხელოვნდება ლენინგრადის პულმონოლოგიურ ინსტიტუტში, ენიჭება უმაღლესი კატეგორიის ექიმ-პულმონოლოგის კვალიფიკაცია.

15 წლის განმავლობაში ქალბატონმა ნონა ჩიკვაშვილმა შეუბღალავად ატარა პროფესიული ღირსება, რასაც პაციენტებისა და ქუთათურთა სამედიცინო საზოგადოების ფართო აღიარება მოჰყვა.

1995 წელს ის ისტორიულ სამშობლოში ამოდის და ისრაელის მოქალაქე ხდება, იცვლის გვარს და ქვეყნის საზოგადოებაში ის ცნობილია როგორც ნონა რაფაელი.

2000 წელი მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია მის ცხოვრებაში. ქალბატონი ნონა წარმატებით აბარებს საკონკურსო გამოცდებს და უმაღლესი საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკის მთავარ თერაპევტად ინიშნება. მას ენიჭება საშხედრო სამსახურის კაპიტნის წოდება, ხოლო ნ თვის გავლის შემდეგ ხდება იმავე სამსახურის მაიორი.

ქალბატონი ნონა პარალელურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას და იკვლევს იმ პრობლემატურ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია შიდსის დაავადებასთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალბატონ ნონას მშობლების შესახებ. დედა — სიმა თავდიდიშვილი, გერმანისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა კათედრის ყოფილი გამგე. ღირსების ორდენისა და მედლის კავალერი, გერმანულ ენაზე თარგმნის წიგნებს „ბაგრატი“ და „გელათი“.

მამა — ეფრემ ჩიკვაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის ყოფილი გამგე, ღირსების ორდენის კავალერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ქუთაისის ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარე. რამდენიმე წიგნის ავტორი.

2003 წლიდან, ქალბატონი სიმა და ბატონი ეფრემი საცხოვრებლად ისრაელში ჩავიდნენ.

ასეთი ადამიანებით არის მდიდარი და ძლიერი ჩვენი ურთიერთობა, ასეთი ადამიანებით ვამაყობთ ჩვენ — ქართველები და ებრაელები.

პროფესორი დან მიხაელი (მიხელაშვილი)

ისრაელის სახელმწიფოს გამოჩენილი სამედიცინო და საზოგადო მოღვაწის, ბატონ დან მიხაელის (მიხელაშვილი) ისტორიული წარსული, მისი გენეტიკური ფესვები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ მიწა-წყალთან. დღესაც კვლავ ცოცხლობს და მოქმედებს ამ გვარის წარმომადგენელთა შორის საქართველოსთან წლების მიღმა არსებული სიახლოვე.

დან მიხაელი დაიბადა 1933 წელს იერუსალიმში საქართველოდან გადმოსახლებული ქართველი ებრაელის ოჯახში.

მამა, სამეგრელოში აღზრდილი და დავაჟკაცებული პიროვნება იყო, რომელიც იერუსალიმში დიდ საადვოკატო კანტორას ფლობდა, ხოლო დედა, აშქენაზების განთქმული გვარის ულამაზესი მანდილოსანი იყო.

დან მიხაელის და — ქალბატონი რიბკა მიხაელი ისრაელის სახელგანთქმული მსახიობი, ტელე- და რადიომაუწყებლობის მეტად პოპულარული დიქტორია.

მიხელაშვილების მთელი ოჯახი მაღალი ადამიანური გრძნობებით იყვნენ დაკავშირებული ისრაელში არსებულ ქართულ-ებრაულ თემთან, დიდად ამაყობდნენ თავიანთი წარმომავლობითი ფესვებით.

რამდენიმე ხნის წინათ, საქართველოში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, დან მიხაელი და მისი ოჯახის წევრები

აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ქართული სტუმართმოყვარეობით, ქართველი ხალხის დიდბუნებოვნებით, ქართული მიწის სიმშვენიერით, ისტორიული წარსულითა და დღევანდელობით.

დან მიხაელიმ სამედიცინო განათლება ისრაელში მიიღო. თელ-ავივის საავადმყოფოში თერაპიის დარგში დახელოვნების შემდეგ ისრაელის არმიის სამედიცინო სამსახურში იწყებს პროფესიულ საქმიანობას.

სწრაფად გამოვლინდა დან მიხაელის ნიჭიერება, ორგანიზატორული აღღო, სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობის უმალ ათვისება, სამხედრო პირთა შორის არსებული სუბორდინაცია და სხვა. არმიაში იერარქიულ საფეხურზე უნარიანი სამსახური უყურადღებოდ არ დარჩენიათ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას და უკვე სახელმოხვეჭილი სამხედრო ექიმი დან მიხაელი ინიშნება ისრაელის არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსად.

წარმატებული იყო მისი მონაწილეობა ისრაელის სამხედრო ნაწილების მიერ უგანდაში განხორციელებულ „იონათანის ოპერაციაში". ლიბანონის ომის დროს, ასევე, აქტიურად იყო ჩართული „ლიტანის" საომარ მოქმედებაში. ამ ექსტრემალურ საბრძოლო ვითარებაში განსაკუთრებით გამოვლინდა დან მიხაელის საექიმო ერუდიცია, ორგანიზაციული ნიჭი და გამოცდილება.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ დან მიხაელი არჩეულ იქნა თელ-ავივის გაერთიანებული საავადმყოფოს გენერალურ დირექტორად. მისი დიდი მონდომებითა და შემართებით აღნიშნული საავადმყოფო გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ აღიარებულ სამკურნალო დაწესებულებად.

1984 წელს, პროფესორი დან მიხაელი დაინიშნა ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უწყების გენერალურ დირექტორად. ამ პოსტზე ყოფნის პერიოდში მან შეძლო ქვეყნის სამედიცინო დარგის პროფილაქტიკის, კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დან-

ერგვა, ჯანმრთელობის დაცვის ქსელის კვალიფიციური კადრებით, უახლესი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით დაკომპლექტება და სხვა.

მასშტაბური ორგანიზატორული მუშაობის პარალელურად, დან მიხაელი შემოქმედებითად უთავსებდა საექიმო, სამეცნიერო, პედაგოგიურ საქმიანობას. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეცნიერო კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში. მისი გამოსვლები ყოველთვის გამორჩეული იყო მეცნიერული სიახლით, პრაქტიკული ღირებულებით. სტუდენტები, კოლეგები დიდი გულისყურითა და ინტერესით ისმენდნენ ყოველ მის საჯარო ლექციასა თუ ინფორმაციული ხასიათის გამოსვლას. მის ყოველ პუბლიკაციას, მონოგრაფიას, მეცნიერულ თუ პრაქტიკული ხასიათის შრომებს მონდომებითა და ინტერესით ეცნობოდა სამედიცინო საზოგადოება.

განსაკუთრებით ყურადღებიანი და თანამდგომი იყო პაციენტების, კოლეგების, ახალგაზრდების მიმართ. მისი მზრუნველობა და დახმარება არ მოჰკლებია საქართველოდან ამოსულ ქართველ ებრაელ ექიმებს.

ბატონი დან მიხაელი გარდაიცვალა 2006 წელს, 73 წლის ასაკში. ის ჭეშმარიტად სასიქადულო წარმომადგენელი იყო თავისი ერის. მეტად ფართო იყო მისი ასპარეზი და პორიზონტი ადამიანური თვისებების, პროფესიონალისა და საზოგადო მოღვაწეობისა. მთელი ცხოვრების მანძილზე მან ღირსეულად ატარა ქვეყნის პატრიოტისა და სასიქადულო მამულიშვილის სახელი.

ბატონი დან მიხაელის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა მსოფლიო ჰეპატოლოგ ქირურგთა ასოციაციის ნამდვილი წევრის, თელ-ჰაშომერის სამედიცინო ცენტრის ქირურგიული განყოფილების უფროსის, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მედიცინის კომისიის თავმჯდომარის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მერაბ სარელის (იზრაელაშვილის) წერილი სათაურით „გამორჩეული ექიმი", რომელიც გაზეთ „მენორაში" გამოქვეყნდა 2006 წლის ოქტომბერში. ამ თვალსაჩინო პროფესიონალისა და საზოგადო მოღვაწისადმი მიძღვნილი მასალა კიდევ უფრო სრულყოფს მკითხველის წარმოდგენას მისი პიროვნების შესახებ. მკითხველს ვთავაზობთ ამ წერილის სრულ ტექსტს.

გამორჩეული ექიმი

(ეძღვნება პროფესორ დან მიხაელის ნათელ ხსოვნას)

ნებისმიერ თემს, მისი ყოფნის სხვადასხვა ეტაპზე ლიდერი ჰყავს, ლიდერი ის პიროვნებაა, რომელიც გზას უკვლევს და გეზს აძლევს მომდევნოთ, თავის თავზე იღებს პირველ დაბრკოლებებს და სირთულეებს.

ასეთი პიროვნება გახლდათ პროფესორი დან მიხაელი. ქართველ ებრაელ ექიმთა პროფესიულ მოღვაწეობაში მისი სახელი მუდამ იქნება დაკავშირებული სიტყვასთან - „პირველი".

ბატონი დანი ძირძველი (მესამე თაობის) ისრაელელი გახლდათ. მისი წინაპრები დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულან და აქტიურად მონაწილეობდნენ ისრაელის სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში. დღეს მისი ოჯახის წევრები და დედ-მამიშვილები ჩვენი ქვეყნის ისრაელის ელიტარული საზოგადოების გამორჩეული პირები გახლავან.

სამედიცინო დარგის განვითარებაში შეტანილი ფასდაუდებელ წვლილზე ბატონი დანის სამეცნიერო მოღვაწეობა, ეროვნული, თუ საერთაშორისო წოდებები და ჯილდოები მეტყველებენ. იგი წლების მანძილზე მსახურობდა ისრაელის არმიის მთავარ ექიმად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გენერალურ დირექტორად, ისრაელის ერთ-ერთი უდიდესი საავადმყოფოს ხელმძღვანელად, „კუფათ ხოლიმ ქლალითის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ბატონი დანი სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო, პრაქტიკულ, თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი ხელმძღვანელობით სრულდებოდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები შინაგან სნეულებათა და ინფექციურ დაავადებათა დარგში. არაერთხელ ყოფილა არჩეული საერთაშორისო ფორუმების თავმჯდომარედ. იყო რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მათ შორის საქართველოდან ამოსულთა და გამოსულთა ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტი, რითაც ძალზედ ამაყობდა.

ბატონ დან მიხაელთან ჩემი ურთიერთობა 1990 წლიდან დაიწყო, როდესაც თელ-ავივის უნივერსიტეტმა უცხოელი პროფესორის სტატუსით, ერთი თვით მომიწვია თელ-ჰაშომერის საავადმყოფოს ონკოლოგიური ქირურგიის განყოფილებაში. მაშინ ის ისრაელის ერთ-ერთი პრესტიჟული საავადმყოფოს „იხილოვის" ხელმძღვანელი გახლდათ, მე კი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიური ქირურგიის კათედრის გამგე. ამ ხნიდან მოყოლებული მასთან მუდმივი ურთიერთობა მიწევდა. მხიბლავდა მისი სხარტი ანალიტიკური აზროვნება და მრავალმხრივი განათლება, პუნქტუალობა, რაც ზოგჯერ პედანტიზმამდეც კი დადიოდა, საოცრად მოკრძალებული მიმართვა ასაკითა თუ რანგით უმცროსი კოლეგის მიმართაც, სამაგალითო მეხსიერება.

ბატონ დან მიხაელთან ჩემი ურთიერთობის მეორე ეტაპი დაკავშირებულია ბოლო 13 წელთან, როდესაც, ჩემს ოჯახთან

ერთად, საცხოვრებლად აქოვედი ისრაელში და ჩვეულ პრაქ-
ტიკულ-სამეცნიერო მოღვაწეობას შეეუდექი ჩვენს ქვეყანაში.
ამ წლებში წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე, მე პროფესი-
ით ქირურგი ვარ, მაგრამ ბატონ დანის მივისნეე ჩემს მასწავ-
ლებლად — დიდი ორგანიზატორის ეტალონად, რომელსაც
ყოველთვის სწრაფად, ობიექტურად და პროფესიულად შეეძ-
ლო გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი, ცალკე საუბრის თემაა
მისი დამოკიდებულება საქართველოსთან, ქართველ ებრაელებთ-
ან და განსაკუთრებით საქართველოდან ამოსულ ექიმებთან.

რამდენიმე წლის წინათ, „კუფათ ხოლიმ ქლალით მუშ-
ლამმა" შექმნა ისრაელის წამყვან ქირურგთა საკონსულტა-
ციო სამსახური, რომლის ფინანსური ანაზღაურება გაცილებით
აღემატებოდა ქვეყნის დანარჩენი „კუფათ ხოლიმთა" ექიმთა
შრომის ანაზღაურებას. ამის გამო ქირურგთა კონტინგენტი
მეტად შეზღუდული გახლდათ - მასში მონაწილეობის მიღება
შეეძლო მხოლოდ ქირურგიული განყოფილების გამგეებს ან
პროფესორის სტატუსის მქონე ექიმებს. ბუნებრივია, მე ამ
პირობას ვაკმაყოფილებდი და სათანადო საბუთები წარეადგ-
ინე საკონკურსო კომისიაში. კონკურსი შედგა, დან მიხაელმა
პირველმა მომილოცა გამარჯვება და დასძინა, „მოხარული
ვარ ქართველი ქირურგი ვიხილო ქვეყნის სხვა წამყვან ქირუ-
რგთა სიაშიო". ეს დაუვიწყარი ფაქტი, რაღა თქმა უნდა, უდიდეს
სტიმულად იქცა ჩემი შემდგომი საქმიანობისთვის.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: რამდენიმე წლის წინათ
ისრაელში სტუმრად იმყოფებოდა ჩემი მეგობარი, ცნობილი
მეცნიერი და სისხლძარღვთა ბრწყინვალე ქირურგი, პროფე-
სორი გივი წიწუაშვილი. მან მთხოვა საქმიანი შეხვედრა მო-
მეწყო პროფესორ დან მიხაელთან, მე არ დავაყოვნე და ბ-ნ
დან მიხაელს გადავურეკე. მან მკითხა შეხვედრის მიზეზი და
სტუმართა რაოდენობა. პირველ კითხვაზე ამომწურავად ვუ-
პასუხე, ხოლო იმის გამო, რომ ბ-ნ გიეისთან სტუმართა რაოდე-
ნობა არ დამიზუსტებია, სავარაუდოდ ნ კაცი ვუთხარი. ზუს-

ტად დანიშნულ დროს აუდიენცია შეიდგა „კუფათ ხოლიმ ქლალითის“ სადირექტორო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ დან მიხაელის კაბინეტში. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ პქონდა, როდესაც დან მიხაელმა „ქართული სუფრასთან“ მოგვიწვია და ჩემდა სავალალოდ, აღმოვაჩინე, რომ მაგიდა ზუსტად 7 კაცზე იყო გაშლილი. სტუმრებიდან მხოლოდ მე და ბ-ნი გიეი გახლდით. ამ გარემოებამ მე გარკვეულ უხერხულობაში ჩამაყენა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ჩემს მასპინძელს. აი, რა მითხრა მან.

მერამ, ჩვენ ყველანი სანახევროდ ქართველები ვართ, ქართული სუფრა კი ყოველთვის მზად უნდა იყოს შემოსწრებულის მისაღებად. იმ დღეს ბევრი ვსვით, ერთმანეთს კაცურად მოვეფერეთ და ამასთან საქმეც არ დაგივიწყეთ. სწორედ ასეთ კაცზე, როგორიც გახლდათ დანი მიხაელი, ნათქვამია: „მას სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი აქვსო“.

ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ, რაღა თქმა უნდა, ბუნების კანონის შეცვლა არავის ძალუძს, მაგრამ ზოგ გამორჩეულ ადამიანს საკუთარი სახელის უკვდავყოფა სიცოცხლეშივე შეუძლია კეთილი საქმით. ამის ბრწყინვალე მაგალითია პროფესორ დან მიხაელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ბენ-დავიდ მალქა

დაიბადა 1958 წელს ქალაქ ცხინვალში, ცნობილი ინჟინერ-მშენებლის ისაკ ჯანაშვილისა და ცხინვალის საოლქო საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექთანის მარი მაღალაშვილის ოჯახში. ქველმოქმედება ოჯახის ტრადიცია იყო. ამის მაგალითია ბატონი ისაკის თაოსნობით ცხინვალში დაარსებული ებრაელთა სინაგოგა. ეს ფაქტი, იმ პერიოდის საქართველოში გამეფებული იდეოლოგიური ზეწოლის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და ქართველ ებრაელთა სარწმუნოებრივი, სულიერი ამაღლებისა და სიძლიერის გამოხატვა იყო.

საოჯახო სიტუაცია, იქ დამკვიდრებული ჩვეულები და ადათ-წესები დიდ გავლენას ახდენდა მოზარდის სამომავლო პროფესიულ ორიენტაციაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დედისა და მამიდის — საქართველოში პედიატრთა პირველი თაობის ერთ-ერთი ცნობილი და აღიარებული წარმომადგენლის ლიუბოვ ჯანაშვილის მთავრობებას საექიმო პროფესიის არჩევანში.

1976 წელს რუსული საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ბენ დავიდ მალქა სტავროპოლის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

სტუდენტობის პერიოდი ერთ-ერთი საუკეთესო წლებია მის ცხოვრებაში. ინსტიტუტის კედლებში იხვეწება მომავალი ექიმის პროფესიული და ინტელექტუალური დონე. ცხოვრობს აქტიური, შემოქმედებითი ენთუზიაზმით, ირჩევენ ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი კომისიის თავმჯდომარედ, როგორც მოწინავე სტუდენტი გამორჩეულია თანატოლებს შორს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საექიმო მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი საკურორტო ქალაქის, მინერალური წყლების სამკურნალო დაწესებულებაში იწყებს. 9 წელი ეწეოდა საექიმო საქმიანობას სტავროპოლის მხარეში. ცხოვრების ეს მონაკვეთი ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდია მის ბიოგრაფიაში. აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც კვალიფიციური პროფესიონალი. ძლიერი ნებისყოფით, საქმისადმი ერთგულებით, კოლეგებისა და მეგობრების თანადგომით, ქალბატონი მალქა, ყოველმხრივ აღიარებული იყო როგორც მკურნალი და ნიჭიერი ორგანიზატორი. მალე მას მინერალური წყლების რკინიგზის საავადმყოფოს ბავშვთა ინფექციური განყოფილების ხელმძღვანელობა მოუწია. თითქოსდა ჩინებული საექიმო კარიერა მისთვის გარანტირებული იყო, მაგრამ ოჯახურმა ტრადიციამ და მშობლიურმა კერამ აიძულა ის დაბრუნებულიყო ცხინვალში.

მოკლე დროში ქალბატონი მალქა, ინჟინერ დავით შათაშვილთან ერთად ქმნის ოჯახს და 1992 წლის მიწურულში ბავშვებთან ერთად ტოვებს საქართველოს და საცხოვრებლად ისრაელში ამოდის.

იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი. ისტორიულ სამშობლოში ქალბატონ მალქას მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. ივრითული ენის ათვისება, სამედიცინო ტერმინოლოგიაში გარკვევა. ყოველივე ამის მოგვარებისათვის საჭირო იყო თელ—ავივის იხოლოვის საავადმყოფოში არსებული მოსამზადებელი კურსების გავლა. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიენიჭა ისრაელის სპეციალისტის წოდება და ვოლფ-

სონის საავადმყოფოში „მაკაბის“ ბაზზე მოქმედ ცენტრში იწყებს მუშაობას.

ოჯახის ექიმის პროფესიაში დახელოვნების მიზნით, ქალბატონი მალქა თელ-ავივის უნივერსიტეტში გადის საექიმო გადამზადების ციკლს, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მას მიენიჭა კერძო პრაქტიკის წარმართვის უფლება.

დღეს, ქალბატონი მალქა კვლავ მაკაბის სისტემაში მოღვაწეობს, მუდმივად იმაღლებს პროფესიულ დონეს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმების მუშაობაში.

მისასალმებელია, რომ ოჯახის ახალგაზრდა თაობა კვლავ აგრძელებს დედის პროფესიულ მემკვიდრეობას, მისი გოგონა ლიბი სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის სტუდენტია, ხოლო ვაჟი — რუბენი ჯერ სამხედრო სამსახურს ეწევა ისრაელის არმიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იქნებ ისურვოს და დედის პროფესიას ეზიაროს.

ისრაელიდან თბილისს ოჯახით ესტუმრა
ცნობილი ექიმი, ჩვენი ყოფილი თანამემამულე,
ბატონი მიხეილ მიხელაშვილი.
მას შეხვდა გაზეთ „მედიცინის“ საკუთარი კორესპონდენტი
თიესა ლესელიძე, მათ შორის გაიმართა საუბარი.
ამ შეხვედრის მასალა გამოქვეყნდა
გაზეთ „მედიცინის“ 2006 წლის 22 ივლისის ნომერში.
მკითხველს ვაწვდით ამ წერილის შინაარსს.

ახალ ბედუკის ცხოვრებით ვცხოვრობ

ისტორიისოვის 33 წელი ერთი ამოსუნთქვაა. ამ ადამიანის ცხოვრებისათვის კი ის მთელი ეპოქა გამოდგა ახალი ცხოვრების დასაწყისი, თავაუღებელი შრომის, დაძაბულობის, წინააღმდეგობების გადალახვის, შესისხლხორცებული სამშობლოს ძნელად დათმობისა და ჯიშით და გენით საკუთართან განუზომელი სიყვარულით შეხვედრის, იქ დამკვიდრების წლები.

მანმადე კი მუდმივად აწყალებდა ილიასეული ფიქრი: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე...“

მოლოდინი გაუმართლდა. სამშობლომ გულში ჩაიკრა მისი სისხლი და ხორცი, მისი ღვიძლი შვილი, ხარბად დაუგდო ყური, მისი სიტყვა და ენაც გაიგო, რადგან „შვილის

სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის". შვილმაც მალე აუღო ალღო მშობლის ენას და სიტყვას საქმე მოაყოლა.

მაგრამ დღემდე არ ასვენებს საქართველოზე ფიქრი, მუდმივად ახსოვს მისი აღმზრდელი ქვეყნის ყველა სიკეთე, ბავშვობისა და ახალგაზრდობის სიყვარული. ამბობს, რომ ასეთი ქვეყანა არსად არის, რომ ისრაელშიც „ბათუმის ცხოვრებით ცხოვრობს".

ეს ცნობილი ექიმი, ჩვენი თანამემამულე, ამჟამად ისრაელის მოქალაქე, სახიფათულო მოღვაწე და მოსიყვარულე პიროვნება, ბატონი **მიხეილ მიხელაშვილი** გახლავთ.

- ბატონო მიხეილ, მოგესალმებით. გთხოვთ, გვიამბოთ თქვენი წარსული ცხოვრების შესახებ.

წარმოშობით იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხიდან, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშიდან ბრძანდებით, სადაც ქართველ ებრაელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ცხოვრობდა. როგორ გაიხსენებთ იქ ცხოვრების წლებს?

- დიდი მადლობა ამ წლების შეხსენებისთვის. დავიბადე და საშუალო სკოლაც კულაშში დავამთავრე ვერცხლის მედალზე.

ეს ჩემი ცხოვრების ერთი ლამაზი ფურცელია.

იერუსალიმი, ჯვრის მონასტერში

იმ პერიოდში მოდაში იყო სამედიცინო განათლების მიღება და მეც განცხადება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში შევიტანე. როგორც მედალოსანი, ერთ გაძოცდას ვაბარებდი ფიზიკაში. დამიწერეს

ოთხიანი. ნიშანი გავასაჩიკრე და კომისიაზე გაძიყვანეს, სადაც ეს ოთხიანი ისევ დაადასტურეს. თან გაზეთ „სახალხო განათლებაში“ ჩემს შესახებ დიდი სტატია გამოქვეყნდა, სადაც ჩემი „ვერცხლის მედალი“ ეჭვის ქვეშ დააყენეს და ინსტიტუტშიც, თითქოს ძალით მოხვედრის სურვილზე მიანიშნეს.

ამ ხმაურიანი პერიოდის შემდეგ კიდევ უფრო კარგად ვიმეცადინე. გაორმაგებით მოვემზადე და მიზანს მაინც მივაღწიე ცოდნის მაქსიმალური გამომჟღავნებით დამატებით შეკითხვებზეც კი, ხუთიანი დამიწერეს და ინსტიტუტში ჩაბრიცხეს.

თუ რომელიმე ჩემი მეგობარი საქართველოში ამ ჩანაწერს ნახავს, დამემოწმება, რომ ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი ვიყავი, განსაკუთრებით, პრაქტიკული მედიცინის საკითხებში. არაერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც ჩემი არაჩვეულებრივი გამომცდელები, ბატონები ირაკლი ფაღავა, ევნატე ფიფია, და სხვები აღფრთოვანებულები იყვნენ ჩემი პასუხებით.

- ინსტიტუტის შემდეგ?

- გავემგზავრე ახალქალაქის სამხედრო ჰოსპიტალში სამხედრო ვალდებულების მოსახდელად. იქ სამი წელი დავყავი, ვიმუშავე ლარინგოლოგად, როგორც ოპერატორმა. ახალქალაქში დამოუკიდებლად მუშაობისთვის მომამზადეს პოლკოვნიკებმა ფიჩენკომ და დიდენკომ, რომლებთანაც ერთად ვმუშაობდი თბილისის საოლქო სამხედრო ჰოსპიტალში.

3 წლის შემდეგ დავბრუნდი თბილისში, 1965 წლიდან კი მუშაობა დავიწყე აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს ოტოლარინგოლოგად.

- ბატონო მიხეილ, ბათუმში ყველა პატივისცემით მოგიხსენიებთ, ახსოვხართ და მადლიერია თქვენი. თავად თქვენ როგორ აფასებთ ამ პერიოდს?

აჭარა დიდებული კუთხეა საქართველოსი. სხვა რომ არაფერი ვთქვა, იქ მეწვია ნამდვილი სიყვარული. ქალბატონი ციალა, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა, ბათუმში დაიბადა, გაიზარდა და იქ შევირთე ცოლად. ორი შვილიც ბათუმში შეგვეძინა.

ბათუმში ცხოვრებიდან ბევრია გასახსენებელი. სააკად-მეოფოში, სადაც მე დავიწყე საქმიანობა, დიდებული კონტინ-გენტი მუშაობდა. ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგე გახლდათ შესანიშნავი პიროვნება, ბრწყინვალე ექიმი და ხელმძღვანელი, ბატონი დურსუნ დიასამიძე. იგი გამოირჩეოდა თავისი გულისხმიერებით, ოსტატობით, ადამიანობითა და არაჩვეულებრივი დასტაქრობით.

ამ განყოფილებას ამშვენებდნენ: აწ განსვენებული ქალ-ბატონი ნერიმან ჭიჭინაძე, ასევე ქალბატონი მანანა შანიძე, ბატონები — რეზო პერტია და აბირან გეგენავა — ჩემი საუკეთესო მეგობრები. მათი თანადგომითა და დახმარებით აჭარის რეს-პუბლიკურ სააკადმეოფოში ერთ-ერთი წამყვანი ექიმი ვიყავი და, ვფიქრობ, იქ მოღვაწეობის პერიოდში სირცხვილი არ მიჭა-მია არა მარტო როგორც ექიმ-სპეციალისტს, არამედ როგორც კარგ მეგობარს.

დღემდე მათ ტელეფონით თუ წერილებით ვუკავშირდები. სახლში მაქვს ანტენა, რომელიც 24 საათის განმავლობაში აჩვენებს აჭარის ტელევიზიას და ბევრი ჩემი მეგობრის ცქერით ეტკბები.

ამას წინათ ჩემს სიხარულს საზღვარი არ პქონდა. როდე-საც აჭარის ტელევზიით ვიხილე ბატონი დურსუნ დიასამიძის დაბადების 80 წლისთავის აღნიშვნა. მაშინვე გადავურეკე და მივულოცე. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა მგრძნობიარე იქნე-ბოდა ჩვენი საუბარი.

- ამის წარმოდგენა, ბუნებრივია, ჩვენთვის ძნელი არ არის, რადგან ჩვენი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვანი მეგობრობა უამრავი ამგვარი ნიმუშითაა დამშვენებული.

- ასეთივე მეგობრობა მაკავშირებს ხელვაჩაურის რაიონ-ულ სააკადმეოფოსთან, სადაც ბათუმის რესპუბლიკური სააკად-მეოფოს პარალელურად ვმუშაობდი. ჩვენი ხელმძღვანელი ქემილ დიასამიძე გახლდათ, რომელთანაც ასეთივე დიდი სიყვარული მაკავშირებს. ვმეგობრობდი ბატონ მინდია უჩანეიშვილთან და სხვებთან.

- ახლა თბილისში გადმოვინაცვლოთ, სადაც თქვენ ასევე კარგად გიცნობენ და პატივს გცემენ. ვიცი, არც თუ იშვიათად, სტუმრობთ კიდევაც თბილისს.

- დიდი მადლობა იმ შესანიშნავი მოგონებების შეხსენებისთვის, რაც თბილისთან მაკავშირებს. აქაურ მეგობრებთანაც მჭიდრო ურთიერთობა მაქვს. ხანდახან ისინიც ჩამოდიან ისრაელში. ხშირია ჩვენი ურთიერთობა ჭირსა და ლხინში. სამწუხაროა, რომ ბევრი ჩემი მეგობარი გარდაიცვალა. ცოცხლად დარჩენილებმა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ შეხვედრები და ურთიერთკავშირები მათ მოსაგონებლად.

- დღეს თქვენ ისრაელის მოქალაქე ბრძანდებით. ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით ადევნებს თვალს ისრაელის წარმატებებს, როგორ შენდება და ყვავდება ეს საინტერესო ქვეყანა. თქვენ შეძელით წარმატებით გაგეგრძელებინათ ის გზა, რომელიც საქართველოში დაიწყეთ და მრავალი ახალგაზრდა აღიზარდა თქვენს ხელში.

ქართველი მკითხველისთვის საინტერესოა ის კანონები, რომლებმაც სახელი და ძლიერება მოუტანა ისრაელის სამედიცინო დარგს. მნიშვნელოვანია ის სოციალური დაცვის ფენომენი, რომელიც ასე დიდებულად იცავს თქვენს მოქალაქეებს.

- ეს შეკითხვა ბევრ საკითხს მოიცავს. შევეცდები თანმიმდევრობით, შეძლებისდაგვარად, გიპასუხოთ. ისრაელში 1973 წელს ჩამოვედი. მიმიღეს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი მანი. მისი მოადგილეა დოქტორი სეგალი. ჯერ მიმიღეს ე.წ. სახელმწიფო ხელფასზე. როდესაც დაინახეს ჩემი გამოცდილება და ჩემს ცოდნაში ეჭვი აღარ შეეპარათ, გადამიყვანეს დამოუკიდებელ საშტატო ერთეულზე.

ამის შემდეგ მოვდივართ ერთად მე და ჩემი კოლეგები, ვმუშაობთ და ვცხოვრობთ ურთიერთთანადგომით. ვერ დავიმალავთ, რომ მიუხედავად იმ გამოცდილებისა, რაც საქართველოში დაყაგროვე, აქ ბევრი შრომა დამჭირდა, დღეყანდელი დღისთვის რომ მიმეღწია. აქ ჩემი მუშაობა გაცილებით

გაძლიერდა და დაიხვეწა, რაც ძალიან დიდი ოპერაციების დაუფლებაში გამოიხატა.

მინდა ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, ვუთხრა, რომ ეს უბრალოდ არ მოდის. პირველ რიგში, ძალიან ბევრი ვიმუშავე, რომ ამეთვისებინა აქაური ენა, შემდეგ ჩვეულებანი, კანონები, აპარატურა, საშედიცინო დაზღვევის წეს-ჩვეულებანი, რომლისგანაც ძალიან შორს ვიყავი.

ჩემი ქვეყანა — ისრაელი დიდებული მხარეა თავისი განათლებული, შრომისმოყვარე ხალხით, დიდი მიღწევებით როგორც მრეწველობაში საშხედრო თვალსაზრისით, ისე მედიცინაში.

საქართველოში კარგად იციან, რომ ისრაელი დღეს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში მედიცინის სფეროში. აქ სიცოცხლის ხანგრძლივობა ძომატებულია. ყველა ადამიანი დაზღვეულია. ამისთვის ის იხდის გარკვეულ საფასურს თავისი შემოსავლებიდან, სამაგიეროდ, ღებულობს მისთვის აუცილებელ საშედიცინო დახმარებას, რომელიც ეძლევა მას დაავადების დასრულებამდე.

1990 წლიდან ისრაელის მედიცინაში დაიწყო ახალი ერა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითქმის ორი-სამი წლის განმავლობაში ისრაელში ერთდროულად მილიონ 200 ათასზე მეტი ადამიანი ჩამოვიდა, ძირითადად, რუსეთიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან და სხვ. მათ შორის, 40 ათასზე მეტი სამედიცინო დარგის მუშაკია. ბევრი ექიმი ჩვენი სპეციალობითაც არის. ისინი ჩვენს განყოფილებაშიც იყვნენ მოვლინებული. ჩემთვის დიდი პატივია, რომ დამევალა სათავეში ჩაყდგომოდი მათთვის ებრაული სამედიცინო ტერმინოლოგიის, ოპერაციების ტექნიკის, გამოკვლევების ჩატარების შესწავლას, და საერთოდ, მათთვის ცოდნის დონის ამაღლებას.

ძალიან შეამაყება, რომ ისრაელმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ექიმთა მიღების, მომზადებისა და დასაქმების საქმეს. მათი უმრავლესობა დღეს ისრაელის სააგადმყოფოებში მუშაობს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მათ შორის არიან ქართველებიც. ნაწილმა ჩვენთან გაიარა სკოლა, შესანიშნავად დაეუფლა სპეციალობას, ჩააბარა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე გამოცდა და დაიწყო მუშაობა. დღეს, როცა შევდიეარ საავადმყოფოებში, თვალებში შემოგანათებს ქართული იერი, ქართული სილამაზე, მესმის ქართული საუბარი, რაც მაშინვე ღიმილით დიდ შეგობრობაში გადაიზრდება ხოლმე.

- ეს კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია ჩვენი ხალხების ურთიერთთანადგომისა. თქვენი აზრით, თუ შეიძლება, ისეთმა პოტენციურმა ქვეყანამ, როგორიც ისრაელია, მომავალში უფრო ინტენსიურად გაუზიაროს თავისი გამოცდილება ქართველ მედიკოსებს?

- ძალიან დაინტერესებული ვიქნები, თუ შეეძლებ ქართულ სამედიცინო წრეებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ჩვენმა კოლეგებმა ბევრი რამ შეიძლება აიღონ ისრაელიდან, რაც საჭიროა დღეს ქართველი ხალხისთვის. ჩვენ შეგვიძლია გავუზიაროთ ქართველ ექიმებს ჩვენი გამოცდილება მკურნალობის, ოპერაციული მეთოდების, აპარატურის გაცნობის თვალსაზრისით და ა.შ.

მიმაჩნია, საქართველოში მეტი კერძო კლინიკა უნდა შეიქმნას, სადაც ავადმყოფის მიღება, მკურნალობა, ოპერაციების ჩათვლით, მაღალ დონეზე განხორციელდება. ამის თაობაზეც გარკვეული სასარგებლო რჩევების მიცემა შეგვიძლია ქართველი კოლეგებისათვის.

- ბატონო მიხეილ, მოგეხსენებათ, ქართული სამედიცინო დარგი, სამედიცინო აზროვნება ავტორიტეტულია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. დღეს საქართველოში მიმდინარეობს სამედიცინო რეფორმები. ჩვენ გვინდა დავუახლოვდეთ ცივილიზებული სამყაროს მედიცინის მიღწევებს, თუმცა ამისთვის საამისო პირობებია შესაქმნელი. ამდენად, თქვენი და თქვენი კოლეგების, როგორც დარგის წამყვანი სპეციალისტის დახმარება, თქვენი მუშაობის გაცნობა ჩვენთვის ძალიან

მნიშვნელოვანია, რისთვისაც შესაძლოა მოეწყოს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვ.

- ასეთ ღონისძიებებს მივესალმები. საქართველოს, უდავოდ, ძლიერი მედიკი სპეციალისტები პყავდა და პყავს. ისინი მსოფლიოში აღიარებული, სახელგანთქმული ექიმებია. როგორც გითხარით, მე თვალყურს ვადევნებ თქვენს სატელევიზიო გადაცემებს და, მინდა გითხრათ, თქვენი მიზნების მისაღწევად მეტი ყურადღება ესაჭიროება ახალგაზრდა კადრებს, მეტი მივლინებები დასავლეთის ქვეყნებში, რომ კარგად გაეცნონ სამედიცინო დარგის მიღწევებს. თუკი ისინი ჩვენთან იქნებიან მოვლინებული, რაც შემძლია, სიამოვნებით დავეხმარები. დაეხმარებიან მათ სხვა კლინიკებშიც. მე თვითონ დავუკავშირდები მათ და არც ერთი მათგანი აქაზე უარს არ მეტყვის.

ჩვენგანაც შეიძლება ზოგიერთი სპეციალისტის მივლინება თქვენთან ლექციების წასაკითხად, სარჩევნებელი ოპერაციების ჩასატარებლად.

- დიდი მადლობა ასეთი თანადგომისთვის.

ბატონო მიხეილ, დაგეგმილია გამოიცეს წიგნი, სადაც ქართველი და ებრაელი საზოგადოება გაეცნობა საქართველოდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ებრაელებს, რომელთაც სამედიცინო განათლება საქართველოში მიიღეს და დღეს წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე.

- ამ საქმეშიც იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერის.

- ეს ძალიან კარგი წამოწყებაა. პირველად რომ ჩამოვედით ისრაელში, აწ განსვენებული რუბენ ბოთერაშვილი, იაკობ ბოთერაშვილი, პირადად მე და იასახარ იაკობაშვილი (ღმერთმა გვიცოცხლოს) სათავეში ჩავუდექით საქართველოდან ჩამოსულ ებრაელთა თავშეყრას. ყოველ წელს, ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც აპრილში აღინიშნება და ერთი-ორი დღე გრძელდება, ერთ-ერთ სასტუმროში თავს ვიყრიდით სამედ-

იცინო დარგის მუშაკები, ვეცნობოდით ერთმანეთს, ვაცნობდით ჩვენს მიღწევებს. შემდეგ კი დიდი ზეიმით და პურმარილით თავდებოდა ყველაფერი. ეს შეხვედრები 20 წლის მანძილზე გრძელდებოდა და მისი ხილვა ძალიან სასიამოვნო იყო.

ბევრი მათგანი მოხვდება, ალბათ, ამ წიგნის ფურცლებზე და არა მარტო საქართველოდან ისრაელში წამოსული ებრაელები. მთელ მსოფლიოში გაფანტული ებრაელების შესახებაც შეკავროვებთ ინფორმაციას და მაქსიმალურად დაგეხმარებით, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

- იმედი გვაქვს, ერთობლივად მოვაგვარებთ ამ საქმეს. ეს იქნება მომავლის წიგნი, რომელიც ერთნაირად საინტერესო იქნება ძველი და ახალი თაობებისათვის.

ბატონო მიხეილ, რას უსურვებდით ქართველ ხალხს, თქვენს მეგობრებს, რომლებსაც ასე უყვარხართ და ახსოვხართ?

- დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს მეგობრებს, აგრეთვე, ერთმანეთთან ხშირად შეხვედრას.

საქართველო მინდა ვიხილო მოწინავე ქვეყნების რიგში. ქართველი ხალხი სიკეთის ღირსია. მათ წინ უნდა წაიწიონ, რომ მათმა ნაშრომმა კარგად იცხოვროს. ქვეყანაში სიმდიდრე უნდა დაგროვდეს, მით უფრო, რომ საქართველო გამოირჩევა ბუნებრივი სიმდიდრით, ყველა სიკეთით.

ჩვენ, ამ ქვეყანაში გაზრდილმა და მისგან დაფრთიანებულმა შვილებმა, ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, ყველგან გავუწიოთ საქართველოს აგიტაცია, ავწიოთ მისი ავტორიტეტი, შევიტანოთ ის ტურისტთა საშოძრაო სიაში, რაც საქართველოს ეკონომიკას წაადგება.

კიდევ ერთხელ სიკეთე, ბედნიერება და ღღეგრძელობა ქართველ ხალხს!

ასეთი გახლავთ აზრი შესანიშნავი ყოფილი თანამშემამულის, ჩვენი ხალხის დიდი მეგობრის, წარმატებული ექიმისა და პიროვნების, ბატონი მიხეილ მიხელაშვილისა. მადლობას

ვუხდით მას და სასაუბროდ მის ქალიშვილთან, მამის ტრადიციების გაგრძელებელთან, შესანიშნავ ქალბატონთან *ელზა ლევონთან* გადავდიეართ.

იგი ამჟამად სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს, ერთ-ერთი სკოლის დირექტორის მოადგილეა და გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებს შორის.



ქალბატონო ელზა, თქვენ ბრძანდებით ისრაელში ცნობილი, აღიარებული და განთქმული ექიმის მიხეილ მიხელაშვილის ქალიშვილი. რა თქმა უნდა, გეამაყებათ, ალბათ, მამის ასეთი ავტორიტეტი. თავად რას საქმიანობთ?

- მე ეოლეფსონის საექთნო სკოლაში ვმუშაობ. ეს აკადემიური სკოლაა. ჩვენ ტერიტორიულად ყიმყოფებით ხულონში, ვზივართ ეოლეფსონის პოსპიტალთან ახლოს.

მე დირექტორის მოადგილე ვარ ადმინისტრაციულ დარგში, რის გამოც პასუხისმგებელი ვარ ყველაფერზე, რაც სკოლაში ხდება.

- მოგვიყევით, თუ შეიძლება, ამ სკოლის შესახებ.

- ჩვენი სკოლა 30 წლისაა. აქ 1500 სტუდენტი სწავლობს საექთნოს დაბალ და მაღალ დარგებზე.

- რას ნიშნავს დაბალი და მაღალი დარგი?

- ისრაელში ექთნის სპეციალობაში რამდენიმე დარგია. პირველი არის დაბალი რანგის ექთანი, რომელიც, ალბათ, მომავალში აღარ იქნება უქმდება.

მეორე, უფრო მაღალი რანგის ექთანი-სპეციალისტია. მას მეტი ცენზი აქვს და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება განყოფილებაში.

ადამიანმა რომ მიიღოს ექთნის დიპლომი, 4 წელი უნდა ისწავლოს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის მიდის ჯერ სამხედრო სამსახურში, შემდეგ ხდება სტუდენტი და 4 წელი სწავლობს. 4 წლის შემდეგ ის მიდის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გამოცდაზე და თუ ჩააბარებს, იწყებს ექთნად მუშაობას. ამას მოყვება შემდეგ პირველი დარგის აკადემიური ხარისხი.

ვინც კარგად სწავლობს, მას სტიპენდიაც ენიშნება.

- სტუდენტები ცხოვრობენ კიდეც თქვენს სასწავლებელში?

- ჩვენ დიდი შენობა გვაქვს, ვისაც სჭირდება აქ ცხოვრობს კიდეც, მაგრამ ეს ფასიანია.

- რა პროგრამებით მუშაობენ სტუდენტები?

- ჩვენი სტუდენტები 25 სხვადასხვა პროგრამით სწავლობენ. ზოგი მათგანი მარტო საექთნოზე სწავლობს და გამოდის ექთანი. არიან ჩამოსული ექიმები, რომლებმაც ვერ ნახეს ექიმის ადგილი და მოდიან ჩვენთან, ორ წელიწადნახევარს სწავლობენ, შემდეგ აბარებენ გამოცდას ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში და იღებენ ექთნის კვალიფიკაციას.

ექთნები ჩვენთან კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოდიან ისრაელის ყველა კუთხიდან საუკეთესო სააკადემიოფოებიდან, იმდენად დიდია ჩვენი ავტორიტეტი.

- თქვენი სტუდენტები მხოლოდ სამედიცინო დარგიდან არიან მოსულები?

- არა მხოლოდ. სწავლობენ ჩვენთან საექთნოზე ინჟინრები, მუსიკოსები, მსახიობები და ა. შ. თუ ისინი თავიანთი სპეციალობით ადგილს ვერ იპოვიან, ჩვენთან იღებენ ექთნის კვალიფიკაციას. მე პირადად მათთან არ ვმუშაობ, მე ვმუშაობ ექთნებთან, რომლებიც მუშაობენ ისრაელის სახელმწიფოს სააკად-

მეოფოებში და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოდიან ჩვენთან. მათ უნდა მიიღონ უფრო მაღალი დონის ექთნის ანუ სპეციალური ექთანი — სპეციალისტის კვალიფიკაცია სხვადასხვა განხრით. კერძოდ, კარდიოლოგიაში, ნეფროლოგიაში, ონკოლოგიაში და ა. შ. ზოგადი კურსის გავლის შემდეგ ისინი ერთწლიან კურსს გადიან თავიანთ სპეციალობაში.

ამრიგად, ჩვენ გვყავს ორი დონის ექთნები 4-წლიანი სწავლებით, ერთნი, რომლებიც მუშაობენ ექთნებად საავადმყოფოებში და მეორენი, ვისაც უნდა დახელოვნება რომელიმე განხრით. ისინი დამატებით კიდევ ერთწლიანი სწავლების კურსს გადიან. აქ ვასწავლით, რა უნდა იცოდეს ექთანმა, რომელი ტექნოლოგია, წამლები და ა.შ. თავ-თავიანთ სპეციალობაში. ეს ძალიან ძნელი და ინტენსიური შრომაა.

- სწავლება თქვენთან ფასიანია?

- ჩვენთან სწავლა ძვირადღირებულია. ძირითადს იხდის სტუდენტი, ცოტას სახელმწიფო ეხმარება. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან კვალიფიციური პედაგოგები გვყავს მოწვეული. პროგრამები კი ნახევრად თეორიულია, ნახევრად — პრაქტიკული.

- თქვენს სტუდენტებში ქართველები თუ არიან?

- არიან სტუდენტებიც და ერთი-ორი პედაგოგიც.

- როცა ამთავრებენ სკოლას შემდეგ რა ხდება?

- ჩვენი სკოლადამთავრებული ისეთ დონეზეა, მათ ყველგან იღებენ საამსახურში. უმეტესობას ისედაც შენარჩუნებული აქვს ნახევარი შტატი თავიანთ საავადმყოფოებში (ამით მათ ხელს უწყობენ) და ბრუნდებიან თავ-თავიანთ ადგილებზე. ჩვენს კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა არის არა მარტო ისრაელში, მათ ეძებენ ამერიკაში, ავსტრალიაში, კანადაში, ევროპაში და სხვაგან, რადგან მათი მომზადების დონე ძალიან მაღალია. ამიტომ, მათ ხელფასებიც მაღალი აქვთ.

კლინიკური კურსების გარდა, ჩვენთან მოქმედებს, ასევე, მესამეჯერთა ერთწლიანი კურსებიც, სადაც სწავლობენ, როგორი უნდა იყვნენ კარგი ხელმძღვანელები.

ისრაელში, ისე როგორც მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში, ფიქრობენ, რომ ექთანი იმდენად ჭკვიანი, მცოდნე და პროფესიონალი უნდა იყოს, რომ მან ხანდახან ექიმიც უნდა შეცვალოს. ჩვენ ვასწავლით მათ, როგორ იმოქმედონ დამოუკიდებლად, თუ ექიმი იქ არ არის. მათ შეუძლიათ პაციენტს დაუსვან დიაგნოზიც, გამოუწერონ წამალიც და უმკურნალონ. ეს საკითხი მომზადებულია განსახილველად ქნესეთისათვის, რომლის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ექთანს ლეგალურად შეეძლება ექიმის შეცვლა კანონიერად.

- როგორ დგება თქვენთან პროგრამები?

- ეს საინტერესო პროცესია. ჯერ ვსწავლობთ, მთელ მსოფლიოში რა მდგომარეობაა ამ მხრივ. შემდეგ ვზიართ ჯანმრთელობის დაცვის საქმისტროს წარმომადგენლებთან, ცნობილ პროფესორებთან ერთად და ვამუშავებთ პროგრამებს.

- როგორ ხდება უცხოელთა მიღება თქვენს სკოლაში. ჩვენთან, მაგალითად, ვინმემ რომ მოინდომოს თქვენს სკოლაში სწავლა, რა ესაჭიროება ამისათვის?

- პირველ რიგში, ივრითისა და ინგლისურის ცოდნა, ამასთან, უნდა იყოს გარკვეული, ვინ გადაიხდის სწავლების საფასურს.

შემდეგ ისინი ჩაირიცხებიან სპეციალურად მათთვის გახსნილ კურსებზე. თუკი ვინმე საქართველოდან მოისურვებს ამას, ჩვენ მას დიდი სიამოვნებით დავეხმარებით და ყველანაირად შევუწყობთ ხელს.

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
სოსო (თენგიზ) დავარაშვილი და
მედიცინის დოქტორი დავით დავარაშვილი ცნობილი
იურისტისა და საზოგადო მოღვაწის,
ბატონ ილია დავარაშვილის ოჯახში აღიზარდნენ,
ოჯახურ გარემოში დამკვიდრებულმა ტრადიციამ
სასურველი გავლენა იქონია ახალგაზრდების აღზრდასა და
პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. ამ
წარმატებული ფაქტორის შედეგად მიღებულმა განათლებამ
სამაგალითო ასპარეზი შეუქმნა მათ, რამაც განაპირობა
საქიმო, მეცნიერული საქმიანობაში წინსვლა.

სოსო (თენგიზ) ილიას ძე დავარაშვილი

დაიბადა ქ. თბილისში 1955 წლის 24 ივლისს.

მისი მშობლები — მამა — ილია დავარაშვილი პროფესიით იურისტი, ხოლო დედა — ანა თეთრუაშვილი — ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

სოსო დავარაშვილმა 1972 წელს ოქროს medalზე დაამთავრა ქ. თბილისის 43-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საშკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1978 წელს დაამთავრა წითელი დიპლომზე, ექიმ-თერაპევტის სპეციალობით.

ინსტიტუტში წარჩინებული სწავლისა და კარგი ყოფაქცევისათვის არაერთხელ იქნა დაჯილდოებული სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინსტიტუტის დეკანატის მედლებით — „ფრიადზე სწავლისა და კარგი ყოფაქცევისათვის“.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში. ამ პერიოდში მის მიერ შესრულებულ იქნა 15 სამეცნიერო შრომა, რომელთაგანაც 5 დაიბეჭდა.

აღნიშნული შრომები დაჯილდოებულ იქნა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონფერენციებზე პირველი ხარისხის დიპლომებითა და წამახალისებელი სიგელებით.

ეს შრომები ძირითადად ეხებოდა გულის სხვადასხვა სახის დაავადებათა გამოკვლევასა და მათი მკურნალობის მეთოდებს.

ამ პერიოდში ის არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა საკონსტრუქტორო სამეცნიერო-კვლევითი ბიუროს წევრად და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელად.

იოსებ დავარაშვილს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, სამეცნიერო საბჭომ და ექვსმა კათედრამ, რეკომენდაცია მისცა კლინიკურ ორდინატურასა და ასპირანტურაში ჩასარიცხად.

1978 წელს ის ჩარიცხულ იქნა თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ორდინატორად კარდიოლოგის სპეციალობით, რომელიც წარჩატებით დაამთავრა.

ორდინატურის გავლის დროს მან შეისწავლა გულის გამოკვლევისა და მკურნალობის მრავალი მეთოდი, რომელთა საფუძველზე შეასრულა ათამდე სამეცნიერო-კვლევითი შრომა.

არჩეული იყო საქართველოს ახალგაზრდა ექიმ-მეცნიერთა საბჭოს წევრად, თერაპიის ინსტიტუტის მეცნიერთა საბჭოს წევრად, ახალგაზრდა მეცნიერ ექიმთა კონფერენციის მდივნად, კარდიოლოგთა სექციის კურატორად და საორგანიზაციო კომიტეტის წევრად.

იოსებ დავარაშვილი ულტრაბგერითი გამოკვლევების რესპუბლიკურ ცენტრში როგორც უფროსი მეცნიერ-მუშაკი აწარმოებს გამოკვლევებს დოპლერ-ექოკარდიოგრაფიის შესაძლებლობებზე. შეასრულა 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა აღნიშნულ თემაზე. მათ შორის ორი მონოგრაფიაა.

პირველი მონოგრაფიაში, რომელიც გამოიცა 1985 წელს *Пролапс митрального клапана*" მას მიეკუთვნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერთა აკადემიის ა.მიასნიკოვის სახელობის პრემია (თანაავტორებთან — თერაპიის ინსტიტუტის დირექტორ, პროფესორ ნ. ყიფშიძესა და ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგის დ.ცისკარიშვილთან ერთად). ეს პრემია ხუთ წელიწადში ერთხელ მიეკუთვნება კარდიოლოგიაში ყველაზე გამორჩეულ ნაშრომებს.

მეორე მონოგრაფია "*Атлас по эхокардиографии*" პირველი ნაშრომია სსრ კავშირსა და საქართველოს ისტორიაში (1988 წ).

ბატონი იოსებ დავარაშვილი ულტრაბგერითი მეთოდით გულის გამოკვლევებს აწარმოებდა მოსკოვში, კარდიოლოგიის ცენტრებში, რომლებიც შედიოდა მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში, ლიტვის რესპუბლიკის კარდიოქირურგიის ცენტრში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა აკადემიის გულ-სისხლძარღვთა ცენტრალურ ინსტიტუტში, გერმანიის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კვლევით ინსტიტუტში.

ამ საკითხის გამოკვლევების გასაგრძელებლად ის 1992 წ. მივლინებულ იქნა დიდ ბრიტანეთში.

ბატონმა იოსებმა 1983 წელს წარმატებით დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი თემაზე: "*Сравнительная оценка диангостических критериев, клинической картины и функционального состояния левого желудочка сердца при пролабировании митрального клапана у детей и взрослых*", ხოლო1991 წლის 11 სექტემბერს, თბილისში დისერტაცია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კარდიოლოგიაში თემაზე: "*Внутрисердечный кровоток в норме и при некотроых заболеваниях сердца (по данным доплерэхокардиографии)*".

ბატონ იოსებ დავარაშვილს ყველაზე ახალგაზრდას კარდიოლოგიის დარგში მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი იოსებ დავარაშვილი 1993 წლიდან, ცოლ-შვილთან ერთად, ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში.

ის, პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ეწევა სამეცნიერო მუშაობასაც და მოხსენებებით გამოდის მრავალი ქვეყნის სიმპოზიუმსა და კონფერენციაზე კარდიოლოგიის დარგში. ამჟამად მისი საქმიანობა ლონდონში მოიცავს: *Consultant Cardiologist, Head of Non Invasive Cardiology at The Royal Free Hospital. Elected Honorary Member of the Royal College of Physicians (London).*

აგრეთვე არის წევრი:

British Society of Cardiology

British Society of Heart Failure

British Society of Echocardiography

European Society of Cardiology

American Society of Valvular Heart Disease

Working Group in Echocardiography of European Society of Cardiology

Task Force in Heart Failure (North Thames), London

Chair-Heart Failure Group-Royal Free Hospital, London

ბატონი იოსებ დავარაშვილის მეუღლეც — ნონა ოზერიანსკაია, პროფესიით ექიმია. მან დააქთაყრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ ლონდონში დიეტოლოგიის სამედიცინო ინსტიტუტი და ამჟამად მუშაობს სპეციალობის მიხედვით.

მათ ერთად ცხოვრების განმავლობაში თბილისში შეეძინათ ორი ვაჟი, ხოლო მესამე — ქალიშვილი კი ლონდონში.

მისასალმებელია ბატონი იოსების ასეთი პროფესიული წინსვლა. ის დღეს აღიარებული მკვლევარი და კლინიცისტია საერთაშორისო მასშტაბით.

დავით ილიას ძე დავარაშვილი

დაიბადა 1958 წლის 25 ნოემბერს თბილისში 1975 წელს წარჩინებით დააmთავრა თბილისის 43-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელmწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის რუსულ სექტორზე, რომელიც 1981 წელს, მეანგინეკოლოგის სპეციალობით, წითელი დიპლომით დააmთავრა.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის დროს აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას სამედიცინო-კვლევით და საზოგადოებრივ საქmიანობაში. ამ პერიოდში დ.დავარაშვილmა შეასრულა 17 სამეცნიერო-კვლევითი შრომა, რომელთაგანაც 7 დაიბეჭდა.

მის mიერ შესრულებული შრომები წაკითხულ და mოხსენებულ იქნა ინსტიტუტის საერთო და სტუდენტთა საკავშირო, აგრეთვე, ახალგაზრდა სპეციალისტთა რესpუბლიკურ კონფერენციებზე.

ცალკეული შრომისათვის mიღებული pქონდა წამახალისებელი სიგელები და დიpლომები. mათ შორის: pირველი ხარისხის დიpლომი და სიგელები. კიევის სახელmწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაჯილდოებულ იქნა საpატიო სიგელით.

mისmა ნაშრომmა *"Дерматоглифический анализ больных эндокринногинекологической патологией"* გაიmარჯვა 1980 წელს სტუდენტთა სრულიად საკავშირო შრომების კონკურსში, რის-

ოვისაც დაჯილდოვდა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საკავშირო ალკკ–ს დიპლომით „სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომებისათვის“, რომელიც პირველად იყო მიღებული საქართველოს წარმომადგენლის მიერ.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში არჩეული იყო სტუდენტთა კვლევით–საკონსტრუქტორო ბიუროში და არაერთხელ იყო დაჯილდოებული მედლით „ფრიადზე სწავლისათვის“. ბატონი დავითი არჩეული იყო ავრეთვე სამკურნალო ფაკულტეტის ბიუროს წევრად. სამეცნიერო–კვლევითი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მეანობა-გინეკოლოგიის კათედრასთან არსებული სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1981 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, სამეცნიერო საკონსტრუქტორო ბიუროს და ექვსი კათედრის რეკომენდაციით ის ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატურაში გინეკოლოგიის კათედრაზე ლენინგრადის კიროვის სახელობის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში (კათედრის გამგე პროფესორი მ. რეპინა). 1983 წელს მან წარმატებით დააამთავრა კლინიკური ორდინატურა. კათედრის მიერ გაცემულ დახასიათებაში აღნიშნულია მისი მიღწევები და ნათქვამი, რომ იგი „ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოს მის ფარგლებს გარეთ“.

ოპერაციაზე

1983 წელს ის მუშაობას იწყებს თბილისის აკადემიკოს კ.ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ ექიმ-გინეკოლოგად, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ-მუშაკად. ერთ-ერთ

კონფერენციაზე მისმა სამეცნიერო ნაშრომმა პირველი ადგილი დაიკავა. ამის გამო იგი (პირველად საქართველოდან) მიწვეულ იყო მეანობა-გინეკოლოგიის საკავშირო პლენუმის მუშაობაში ტაშკენტში, როგორც საპატიო სტუმარი.

1988 წლის 14 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი თემაზე: "*Антенатальная оценка кровотока в сосудах системы мать –плацента- плод в процессе нормальной и осложненной беременности с использованием ультразвукового Доплер-метода*".

დ.დავარაშვილის სადისერტაციო შრომა იმ დროინდელ საბჭოთა კავშირის სივრცეში იყო სრულიად ახალი მიმართულება — არაინვაზიური ულტრაბგერითი დოპლერმეთოდით სისხლის მიმოქცევის შესწავლა ნაყოფის, ჭიპლარისა და საშვილოსნოს სისხლძარღვებში.

დ.დავარაშვილის გამოყენებული მეთოდი საქართველოს სივრცეში პიონერულ ნაშრომად არის მიჩნეული, მას დიდი პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მეანობაში, როგორც ერთ—ერთ ყველაზე ინფორმაციულ გამოკვლევის მეთოდს პრაქტიკულ საქმიანობაში.

1993, 1998, 2000 წ.წ. ბატონმა დავითმა სტაჟირება გაიარა ლონდონის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში პროფესორ *„ენდრიუს ნიკოლაიდის* ხელმძღვანელობით.

დ. დავარაშვილი არის პიონერი საქართველოში ისეთი მეთოდების დანერგვისა, როგორიც არის გენეტიკური და სამკურნალო ამნიოცენტეზი, ტრანსაბდომინური ქორიონის ბიოპსია, ტრანსაბდომინური კორდოცენტეზი (ჭიპლარიდან სისხლის აღება და გამოკვლევა), რეზუს—კონფლიქტის დროს სისხლის გადასხმა ჭიპლარში ორსულობის დროს, ამნიოდრენირება სხვადასხვა გენეზის მრავალწლიანობის დროს და სხვა. ამ მეთოდების გამოყენების მეშვეობით მრავალი ახალშობილი მოევლინა ამ ქვეყანას.

ბატონი დავითი მრავალი აქტუალური სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელსაც წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაშიც. ამასთან, ბრწყინვალე ქირურგია და საკმაოდ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც სპეციალისტებში, ისე პაციენტებში.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში ჩატარებული კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში. უკანასკნელ პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო ესპანეთში, იაპონიაში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში გამართულ შეკრებებზე.

ბატონი დავითი 1998 წლიდან მუშაობს თბილისში, გინეკოლოგიურ კლინიკა „ბიბიდაში", სამეანო–გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ, რომელიც ერთ–ერთი რეიტინგულია საქართველოში.

ბატონ დავით დავარაშვილს პყავს მეუღლე – ლელა წიწუაშვილი – ხელოვნებათმცოდნე, მუშაობს ხელოვნების მუზეუმში და საში შვილი.

მერაბ იოსების ძე ჯანაშვილი

ქართული პედიატრიული სკოლის აღზრდილის, მერაბ ჯანაშვილის საექიმო საქმიანობაში მიღწევები, შემოქმედებითი ურთიერთობის, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოღვაწე ცნობილ ქართველ სპეციალისტებთან, რამაც განაპირობა ბატონი მერაბის ახალგაზრდა ასაკში პედიატრიულ პრაქტიკაში დახელოვნება და პროფესიული აღიარება.

დაიბადა 1952 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. 1975 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. არჩეულ იქნა კურსის ნაკადხელად. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სამტრედიის ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში ექიმ-პედიატრად.

საქართველოში, 19 წლის საექიმო საქმიანობის პერიოდში, ბატონი მერაბი ჩამოყალიბდა როგორც გამოცდილი სპეციალისტი.

პედიატრიული სამყარო მას ერთხმად აღიარებდა როგორც ერუდირებულ, დაკვირვებულ და საექიმო ინტუიციის მქონე სპეციალისტს.

ახალგაზრდა ექიმის პროფესიულ წარმატებას ხელი შეუწყო იმხანად სამტრედიაში მოღვაწე ცნობილი ექიმების: ვახტანგ დუნდუას, ირინა მიქაშავიძის, ნაზი ქაჯაიას და სხვათა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ და კოლეგიალურმა მხარდაჭერამ ახალგაზრდა ექიმისადმი.

ბატონი მერაბის კომუნიკაბელურმა ბუნებამ და აქტიური მოქმედების ნიჭმა განაპირობა მისი მზადყოფნა სისტემატური თანამშრომლობისა ისეთ აღიარებულ პედაგოგებთან, როგორებიც იყვნენ პროფესორები: მერი გელოვანი, იოსებ კვაჭაძე, გივი ჟვანია და სხვები.

მუდმივი პროფესიული და მეგობრული კონტაქტები მათთან, ბუნებრივია, პროფესიული მომწიფებისა და სრულყოფის საფუძველს უქმნიდა პერიფერიაზე მომუშავე ექიმს.

ისრაელში ამოსვლამდე, რამდენიმე ხნით ადრე, ბატონი მერაბი დასავლეთ საქართველოში უკვე აღიარებული იყო როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

პროფესორ იოსებ კვაჭაძის ხელმძღვანელობით ბატონი მერაბი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული კათედრის წევრებთან და ერთობლივად შესრულებული შრომები პერმანენტულად ქვეყნდება სამედიცინო პერიოდული პრესაში.

გასული საუკუნის მიწურულში, 1994 წელს, მერაბ ჯანაშვილი საცხოვრებლად ჩადის ისრაელის სახელმწიფოში. იწყება მისი ცხოვრების ახალი ეტაპი. 10 თვის განმავლობაში გაიარა სრული კურსი საექიმო დიპლომის მისაღებად. ეს მონაკვეთი დაძაბული შრომისა და მომავლის რწმენით დამუხტული პერიოდია მერაბისათვის. გამოცდების წარმატებით

ჩაბარების შემდეგ შეუდგა საექიმო საქმიანობას. ამჟამად, ბატონი მერაბი ალიარებული პედიატრია და მიღებული აქვს სახელმწიფო სპეციალისტის უფლება.

დღეს, ბატონი მერაბი სიყვარულითა და მოწიწებით იგონებს ქართულ მიწაზე გატარებულ დროს, მის სათაყვანებელ მასწავლებლებს, თანამოაზრე მეგობრებსა და ახლობლებს — ყველას, ვინც განსაკუთრებული წვლილი გაიღო მისი ცხოვრების დიდ გზაზე და აზიარა გამარჯვების რწმენას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენი ქართული ენით, ყველა ასაკში შეიძლება წინ წახვიდე და მიაღწიო სასურველ მიზანს, მოთმინება გამარჯვების წინამძღოლია“. მერაბ ჯანაშვილის ეს სენტენცია ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია და აპრობირებულია პრაქტიკაში.

ბატონ ზაზა იაკობიშვილის წერილის გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ მისი შინაარსის უცვლელად მიწოდება მკითხველისათვის, რადგან მიგვაჩნია, რომ ავტორისეული თხრობის უშუალობა და გულწრფელობა მეტად სარწმუნოა.

ზაზა იაკობიშვილი

1996 წლის 12 თებერვალს ჩამოვედი ისრაელში ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად.

ამ გადაწყვეტილებას დიდი ხნის ყოყმანი და არცთუ იოლად გადასალახი ფსიქოლოგიური დაძაბულობის ხანა უძღოდა. ერთი მხრივ სამშობლო — საქართველო — უსაზღვრო, თითქმის ტკივილამდე მისული სიყვარული, ჩემი ბავშვობა, მეგობრები — დები და ძმები, საყვარელი პროფესია, პრესტიჟული სამსახურისაკენ — უცნობი ქვეყნისაკენ, სადაც თორის მიხედვით, ,,რძის მდინარეები თაფლის ნაპირები" გველოდებიან ებრაელებს და სინამდვილე გაცილებით, გაცილებით მკაცრია. თავიდან დაწყება ცხოვრებისა 32 წლის ასაკში, უცხო ენაზე, უცხო მენტალიტეტში და უცხო კულტურაში. შემაზრზენია ამაზე ფიქრი, არა?

როგორც ხშირად ხდება ცხოვრებაში, გადაწყვეტილებისაკენ წლობით მიეშართები, გიჭირს ნაბიჯის გადადგმა და უეცრად ბედის ბორბალი ისე მოგიბრუნდება, რომ ბევრ ასარჩევს აღარ გიტოვებს.

9 ოებერვალს დილას საკუთარ საძინებელში 5-მა შეიარაღებულმა ნიღბოსანმა გამაღვიძა. მას შემდეგ, რაც ცოლშვილი მშვიდობით გადამირჩა, ერთი წუთითაც აღარ მიკითხავს საკუთარი თავისთვის — სად გავაგრძელებთ ცხოვრებას — რა თქმა უნდა, ისრაელში. იქ, სადაც ტერორისტული აქტები მშვიდობიან მოსახლეობას გულციოად ანადგურებს და მოსახლეობა პერმანენტულ საბრძოლო მზადყოფნაშია, მაგრამ კანონი კანონობს და რა დასამალია, მედიცინის, კერძოდ — კარდიოლოგიის, დონე ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში. ჩვენ ცხოვრება ერთხელ გვიწერია და იქნება მართალია, ვინც ამბობს, რომ კარგად უნდა იცხოვრო? რა არის „კარგად"? აქ ყველას თავისი განმარტება უნდა ჰქონდეს. მიღებული გადაწყვეტილება სწორია თუ არა, ამას დრო აჩვენებს — დრო, რომელიც ყველაფრის მკურნალობაზე სდებს თავს.

როცა ბატონმა გივი წიწუაშვილმა შემომთავაზა მონაწილეობა მიმეღო მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ექიმების თაობაზე მის მიერ წამოწყებულ პროექტში, ცოტა არ იყოს მეუცხოვა. მეუცხოვა იმიტომ, რომ ჩემი აზრით, განსაკუთრებული ჩემ მიერ განვლილ გზაში არაფერი არის. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ აღვიქვი, რომ მეძლეოა შესანიშნავი საშუალება გარკვეულად შეეავჯამო აქამდე განვლილი გზა და გარკვეული დასკვნებიც გამოვიტანო — ნუთუ ასე უნდა წარმართულიყო ჩემი ცხოვრება?

ბავშვობა ქუთაისში გავატარე — კიროვის ქუჩაზე და მესამე საშუალო სკოლაში. ჩინებული დრო იყო — წითელი ყელსახვევებითა და თეთრი პერანგებით სკოლაში მივვიხაროდა და რაც უფრო ვიზრდებოდით, ვგრძნობდით, რომ სიცოცხლის საუკეთესო წლები წინ გველოდებოდა — სტუდენტობა. ქუთაისზე, ჩემს მეგობრებზე და სკოლის წლებზე სხვა დროს და სხვა ადგილას განვავრცობ.

იმ დროს ექიმობა პრესტიჟულ, მაგრამ საკმაოდ ღირსებაშელახულ პროფესიად ითვლებოდა. საოცარია არა, თან პრესტიჟული და თან ღირსებაშელახული. საქმე იმაშია, რომ აწ განსვენებულ „ოქროპირის"* მორიგ გამოშვებაში საუბარი

იყო „შავ ლაქებზე თეთრ ხალათზე“ და კორუფციის უამრავი შეშფოთებული განიხილებოდა (როგორც წესი, ბევრი სიცრუე მცირეოდენი სიმართლით იყო შეზავებული). მეათე კლასის წარჩინებულ მოსწავლეს, ოქროს მედლის კანდიდატს, შეეძლო ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში შეეტანა საბუთები. ჩემი ოცნება იყო ჟურნალისტიკა, რადგანაც ახალგაზრდული მიამიტობით მჯეროდა, რომ სიმართლის წერით და სარკეში მოყვანის ჩახედებით ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლო.

მაშა — ამირან იაკობიშვილი — „საქსოფელექტრომშენის“ მთავარი ინჟინერი იყო. ცხოვრებაში ბევრი რამ გამოიარა, სანამ ამ თანამდებობას მიაღწია და გამოცდილებიდან გამომდინარე უბრალოდ მითხრა: შვილო, კარგად აწონ-დაწონე — შეეფერება თუ არა ჟურნალისტობა შენს ხასიათს, ოჯახს, შეიძლება თუ არა მიაღწიო დღევანდელ სინამდვილეში უმაღლეს მწვერვალებს? აქ უნდა შეეგნიშნო, რომ მაშა ძალიან ბრძენი ადამიანი იყო და მის რჩევას განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებოდი. ცოტა არ იყოს, გავიოცე — აბა რას მირჩევ-შეთქი? მოდი, ექიმობაზე იფიქრეო — იყო მისი პასუხი.

არასოდეს არ გამივლია გულში — მე და ექიმი? მეორე მხრივ, ვიგრძენი, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობის აღება მომიხდებოდა საკუთარ თავზე. თუმცა პასუხისმგებლობის არასოდეს შემშინებია, მაგრამ ადამიანის სიკვდილ—სიცოცხლის გზა-გასაყარზე დგომა და სიცოცხლის გამარჯვებისათვის ბრძოლა უაღრესად მიმზიდველად მომეჩვენა.

სამედიცინო ინსტიტუტში ჩავბარე 1981 წელს — პირველი ცდით. ოთხივე გამოცდაში „ფრიადი“ დავიმსახურე და სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ნაკადის მესამე ჯგუფში შევუდექი სწავლას.

ალბათ ერთი წიგნი არ ეყოფა ჩვენი საკუთარ სტუდენტური ცხოვრების აღწერას. სტუდენტობის მოლოდინი ამაო არ ყოფილა — თბილისის ჯადომ, ახალმა მეგობრებმა და განცდებმა

„ოქროპირი“ — ქართული სატელევიზიო, სატირული ჟურნალი.

მოლიანად დამიპყრო და ახლაც, როცა ვიგონებ იმ ლამაზ დღეებს, ფრუანტელი მიეკვლის.

ჩვენი ჯგუფი „განსაკუთრებული“ იყო იმით, რომ ყველას ძალიან გვიყვარდა ქეიფი და დროსტარება და ამასთან ერთად არც სწავლას ვაკლებდით ხელს. პირველი კურსის გაზაფხულზე ჩემი თანაკურსელები ქუთაისში მივიწვიე — საფეხბურთო, გელათი, ფოწამეია და ბაგრატი ვაჩვენე ჩემი შობლების ხელშეწყობით. მაისში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში — თელავში — მოვიყარეთ თავი დათო ბატიაშვილის დაბადების დღეზე. შემდეგ წლებში აბასთუმანში ნაირა ქუთათელაძის, თიანეთში ნატო ხეჩუაშვილის, ბორჯომში შალვა ჩადუნელის, ყანში ბესო შენგელიას, ზესტაფონში ზურა ჩხეიძის ოჯახებში ავვიხდია ჭერი. აღარაფერს ვამბობ სოლოლაკში ბოლო აღმართზე 8 ნომერ სახლში რა ხდებოდა — მედიკო და ელიპზარ ჯავაშვილების სახლის კარი მუდამ ღია იყო გიეის და გელას მეგობრებისათვის, ისევე როგორც თათია რუსიეშვილის და გვანცა ფირალიშვილის ოჯახებში. ალიკო ღეფაკა? არა, არ დამფიწყებია, არც ზაზა ბერძენიშვილი და არც ზალიკო საძხარაძე. ჩვენი ანიკო ჩხეიძე თუ ანიკო ახმეტელი.

სტუდენტობის მეორე ნაწილი — მეოთხე კურსიდან უკვე გარკვეული მიმართულების შერჩევას მივუძღვენი — აქაც შემოხვევამ ითამაშა დიდი როლი. რკინიგზის საავადმყოფოში ექონის ადგილი არ იყო რეანიმაციის განყოფილებაში და შემომთავაზეს დამეწყო სამსახური კარდიოლოგიური ინტენსიური თერაპიის ბლოკში. იქ „დავაადდი“ კარდიოლოგიით, მას შემდეგ, რაც გავიცანი, ჩემი აზრით, ერთ—ერთი საუკეთესო ექიმი და ადამიანი — მერაბ მამაცაშვილი, რომელიც მაშინ ახალგაზრდა ასისტენტი იყო ფაკულტატური თერაპიის კათედრაზე.

3 წლის განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პარალელურად ვმუშაობდი ინტენსიური თერაპიის ბლოკში და შევიძინე ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც აქამდეც მადგება ყოველდღიურ საქმიანობაში.

მაშინვე დავიწყე მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე — ო�ა დაკავშირებული გახლდათ წინაგულოვანი ნატრიურეზული პეპტიდის როლთან გულის უკმარისობით შეპყრო-

ბილ ავადმყოფთა მკურნალობაში. დისერტაციას ხელმძღვანელობდა მერაბ მამაცაშვილი.

საკმაო იქნება გავიხსენოთ, რომ ჩვენ უკვე 80-იანი წლების მიწურულში ვართ, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა საკმაოდ მომძლავრებულია და თბილისში 10 ათასკაციანი დემონსტრაციის შეკრებას რამდენიმე საათიც კი არ სჭირდება. ძლევამოსილ სსრ კავშირს უფრო და უფრო ხშირად უხდება ძალადობის გამოყენება, რათა დათრგუნოს დაპყრობილი ხალხების გამოღვიძება, მაგრამ რისხვა უკვე კრიტიკულ ზღვარს აღწევს და 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ცხადდება, ხოლო ზვიად გამსახურდია ხდება პირველი პრეზიდენტი. დამოუკიდებლობის საყოველთაო ეიფორიაში, სულ რამდენიმე თვეში ქვეყანას ქაოსი ეპატრონება — რიგრიგობით იწყება კონფლიქტები აფხაზეთში, სამაჩაბლოში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში და ომის ტალღა მალე რუსთაველ'ზეც მოვიდა — დიდი აბსურდის თეატრი, მაგრამ საბრძოლო ტყვიებით და ჯავშან-მანქანებით ძმათა ხოცვა დაიწყო და სასტუმრო „თბილისის" ლადო გუდიაშვილის მიერ მოხატული კაფე სამუდამო ისტორიას ჩაბარდა.

1989 წელს მე და ლია პაპისმედოვა დავქორწინდით და ორ წელიწადში ორი შვილის მამა გავხდი.

რა ხდება მედიცინაში? შუქი, წყალი და წამალი რიგრიგობით გაქრა. ამასთან ერთად ჩემი კოლეგების ნაწილმა პროფესია შეიცვალა და ბიზნესს მიპყო ხელი.

მეორე ნაწილმა კერძო მედიცინის შექმნა დაიწყო — ჩვენც გავხსენით შპს — „დიაგნოსტიკური სერვისი" თბილისში, ქავთარაძის 16-ში დათო სარიშვილთან, თამაზ შაბურიშვილთან და გიგი ხაბეიშვილთან ერთად. სამეცნიერო მოღვაწეობამ უკანა პლანზე გადაინაცვლა, რა თქმა უნდა და 1989 წელს დაწყებული დისერტაცია 1995 წელს დავასრულე. დიდი წვლილი ამ საქმის დასრულებაში შეიტანეს ჩემმა მეუღლემ და მერაბ მამაცაშვილმა.

იმ დროს საქართველოში ამღვრეულ წყალში ზოგი ღლაპებს იჭერს და ზოგს ნიანგი ახრამუნებს.

ჩვენ გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართ და ნათელი მომავლის მოლოდინში დელისის ბაზრობაზე კერძო აფთიაქებსა და პროდუქტებით მოვაჭრეებს შორის ვიკვლევთ გზას, რომ თბილისის ერთადერთ საიმედო ტრანსპორტში — მეტროში შევაღწიოთ. იქ უკვე მათხოვარი ბავშვები და ლტოლვილები სიცილ-ტირილით, „დარი-დარის" პანგებით გვეგებებიან.

კიდევ ერთი ციკი ზამთარი გადავიარეთ. უფრო და უფრო ხშირად ისმის ჩუმი შეკითხვა — ჩემი შვილებისათვის დღევანდელი საქართველო საიმედო სამყოფელია? ნათელია, რომ არა, მაგრამ ალბათ რამდენიმე თვეში ყველაფერი გამოსწორდება — თუმცა საქართველოს მომავლის იმედი — ახალგაზრდობა — უკვე იხიზნება — ზოგი ლეგალური და ზოგი არალეგალური გზით ამერიკის და ევროპის ქვეყნებში ცდილობს დამკვიდრებას.

სად გველოდებიან? ალბათ არსად, თუმცა ისრაელში არსებობს გარკვეული შანსი იმისა, რომ მიგვიღონ. მაგრამ რა გვინდა ისრაელში? ჩვენ ხომ სულით და ხორცით ქართველები ვართ, თუმცა უძველეს და უმკაცრეს იაპეტს ვცემთ თაყვანს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნიღბოსნებმა მიბიძგეს გადაწყვეტილების მიღებისკენ. ებრაული სოხნუტის წარმომადგენლის იაკობ ეფრემაშვილის უშუალო ზრუნვით და დახმარებით 1996 წლის 12 თებერვლის ადრე დილით თელ-ავივის ბენგურიონის აეროპორტში ჩავფრინდით.

ჩვენი პირველი ბინა ჩემი მეუღლის მშობლების — ლალი და მიხეილ პაპისმედოვების — სტუმართმოყვარე ჭერქვეშ ვპოვეთ. მე და დათო სარიშვილი ორიოდე დღეში ივრითული ენის სასწავლო კურსებზე ჩაეწერეთ და დღის მეორე ნახევარში საექიმო ლიცენზიის მისაღები გამოცდის საშზადისს შევუდექით.

1996 წლის აგვისტოში დიდმა სიხარულმა შემოაღო ჩვენი კარი — 6 თვის განმავლობაში საყვარელი საქმიანობისგან იძულებული შესვენების შემდეგ მოვიპოვე უფლება საექიმო პრაქტიკას დავბრუნებოდი. ჩემი საკანდიდატო დისერტაციის საფასურად მივიღე *PhD (philosophy doctor)* წოდება. იმისათვის, რომ

კარდიოლოგიას დაებრუნებოდი, აუცილებელი იყო გამეკლო სპეციალიზაცია შინაგან სნეულებებსა და კარდიოლოგიაში.

ძალიან გაძალიზიანებელია, როცა 8 წლის საექიმო სტაჟის შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. მაგრამ დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება ჩვენში მიღებული არ არის.

შინაგან სნეულებების განყოფილება ერთ-ერთი ის საფეხურია რომელიც წარმოაჩენს ექიმის ნიჭსა და უნარს და ამავე დროს შეიძლება გახდეს ის დაბრკოლება, რომელმაც გატეხოს ყველაზე მომთმენი და ამტანი ექიმის სულიც. ატმოსფერო თერაპიულ განყოფილებაში „დალეთში“ პაშარონის საავადმყოფოში ფეთახ-თიკვაში უაღრესად კეთილმოსურნე იყო. განყოფილების გამგე, დოქტორ კარლოს რუდნიკი, არგენტინული წარმოშობის უაღრესად ინტელიგენტი ადამიანი ცდილობდა, რომ მძიმე ყოველდღიური რუტინა შეემსუბუქებინა თავისი მრავალწლოვანი დაგროვილი გამოცდილებით და ავადმყოფთან უშუალო კონტაქტის საოცარი ხელოვნების დემონსტრირებით. შეძიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ ამ განყოფილებაში გატარებული ორი წელია ის ბაზა, რაზეც განვაგრძე წინსვლა — დასახული მიზნისაკენ — კარდიოლოგია.

1997 წელს მოულოდნელი მწუხარება დაატყდა ჩვენს ოჯახს — უეცრად დავკარგე მამა.

1998 წელს ჩავაბარე ორი უმძიმესი გამოცდა თერაპიაში — I და II საფეხური („შალავ ალეფ და შალავ ბეთ“). ამ გამოცდების შემდეგ მივიღე სპეციალისტის წოდება თერაპიაში და გზა კარდიოლოგიისაკენ უკვე ხსნილია.

1999 წლის აპრილში დავიწყე მუშაობა რაბინის სახელობის სამედიცინო ცენტრის კარდიოლოგიურ განყოფილებაში. განყოფილებას მსოფლიოში აღიარებული პროფესორი ალექს ბატლერი ხელმძღვანელობს. 3 წლის განმავლობაში გავიარე ურთულესი გზა კარდიოლოგიის სპეციალიზაციისა — 8-10 სადღეღამისო მორიგეობა, როცა მორიგეობის შემდეგ კიდევ გრძელდება სამუშაო 12-1 საათამდე. დამატებით უამრავი დატვირთვა სამეცნიერო სფერო-

ში, დამატებითი სამსახურები, რათა ოჯახს არაფერი მოაკლდეს და ყოველდღიური სამზადისი გამოცდისათვის კარდიოლოგიაში.

2001 წელს ჩავაბარე ორივე გამოცდა კარდიოლოგიაში და იმავე წლიდან ვმუშაობ კარდიოლოგიური ინტენსიური თერაპიის განყოფილების უფროს ექიმად.

ამ წლების მანძილზე განვაახლე სამეცნიერო კვლევა — ულტრაბგერის გამოყენება კორონარული სისხლძარღვების თრომბოზის მკურნალობაში, ელექტროკარდიოგრაფია და ექოკარდიოგრაფია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს, კარდიოგენული შოკის მკურნალობა. გამოვაქვეყნე რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა მოწინავე კარდიოლოგიურ ჟურნალებში.

აქტიურ მონაწილეობას ვიღებ სამეცნიერო კონფერენციებში — 2003, 2004 და 2005 წლებში წარმოვადგინე სამეცნიერო ნაშრომები ევროპული კარდიოლოგიური ასოციაციის ყოველწლიურ კონგრესზე.

ისრაელში ექიმები პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევიან — ვკითხულობ ლექციებს თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის კარდიოლოგიაში, აგრეთვე, ხაიფის ტექნიონის ექიმთა დახელოვნების კურსებზე, ვხელმძღვანელობ ექიმთა დახელოვნების კურსს კარდიოლოგიაში ნეგევის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში და თელ-ავივის უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე.

ვხელმძღვანელობ ისრაელის ფარგლებში რამდენიმე ინტერნაციონალური კვლევითი პროგრამის წარმართვას — ძირითადად გულის მწვავე იშემიური დაავადების და გულის უკმარისობის სფეროში.

აი, მოკლედ ის მცირედი, რისი გაკეთებაც მოვასწარი ამ ათი წლის განმავლობაში ისრაელში.

დღეს მე შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ არ შემირცხვენია ჩემი სამშობლოს, მასწავლებლების და მეგობრების სახელი. როცა მეკითხებიან, სად დავასრულე სამედიცინო განათლება — გაოცებას ვერ ფარავენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გავლენებზე. ძალიან მიხარია საქართველოს რესპუბლიკის ბოლოდროინ-

დელი წარმატებები, ვიცი, რომ ბევრი ჩემი კოლეგა დღეს ცდილობს მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების დონეზე უმკურნალოს თავის პაციენტებს მაუხედავად არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა.

სწორი იყო თუ არა საქართველოს დატოვება?

მე მხოლოდ ვიცი, რომ სადღეისოდ პროფესიული თვალსაზრისით, გაცილებით მაღალ დონეზე ვარ, ვინემ საქართველოში ვიქნებოდი — რიგი მიზეზების გამო.

პირადულად — ბედნიერი ვარ ჩემს საყვარელ მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

რა მაკლია? ჩემი მეგობრები, რომლებიც საქართველოში დამრჩნენ და ერთმანეთს ვეხმიანებით დღესასწაულებზე და ღირსშესანიშნავ თარიღებზე.

აქ მინდა, კიდევ ერთხელ გამოვთქვა მადლობა ამ შესანიშნავი პროექტის ინიციატორთა მიმართ, რამეთუ მომეცა საშუალება გარკვეულად შემეჯამებინა ჩემი პროფესიული მოღვაწეობა და დავიხახო ახალი განსახორციელებელი მიზნები.



თბილისი, ძველი უბანი

ირაკლი დავარაშვილი

ქართული ქირურგიული სკოლის აღზრდილმა ირაკლი მიხეილის ძე დავარაშვილმა საექიმო-პრაქტიკული საქმიანობის საინტერესო გზა განვლო. დაიბადა 1924 წელს თბილისში, გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. რამდენიმე წელი იმსახურა სამხედრო ნაწილებში წამყვან ქირურგად.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ბატონი ირაკლი ბრუნდება მშობლიურ თბილისში და მუშაობას იწყებს ქალაქის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. აღნიშნული განყოფილება ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კლინიკურ ბაზას წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში ედგა თვალსაჩინო ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი დავით მაჩამთავრიშვილი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ირაკლი დავარაშვილის პროფესიული დახელოვნების საქმეში.

კათედრის ბაზაზე მოღვაწეობის პერიოდში მისთვის შესაძლებელი გახდა წარმატებით ეწარმოებინა ურთულესი ქირურგიული ოპერაციები, რამაც განაპირობა ირაკლი დავარაშვილის ავტორიტეტის ზრდა კოლეგებსა და პაციენტებს შორის.

ბატონი ირაკლის კომუნიკაბელური, კეთილგანწყობილი თვისებები ხიბლავდა და იზიდავდა ყველას. მასთან ურთიერთობას ცდილობდა ადამიანთა დიდი უმეტესობა. ამიტომ იყო, რომ მას მეგობრების, კეთილისმყოფელთა და თანამოაზრეთა გარემოცვაში გამორჩეული ადგილი პქონდა მიჩნეული.

59 წლის ასაკში წავიდა ის ამქვეყნიდან. 1983 წლის დეკემბერში მიაბარეს ირაკლი დავარაშვილი მშობლიური თბილისის მიწას. მიუხედავად შედარებით ახალგაზრდა ასაკისა, მან შეძლო მიეღწია აღიარებას როგორც ქირურგმა, ქვეყნის ჭეშმარიტმა მოქალაქემ და პატრიოტმა, მეგობარმა და შესანიშნავი ოჯახის თაყვანცემა.

ვალმოხდილი წავიდა ბატონი ირაკლი ამქვეყნიური ცხოვრებიდან.

დღეს მისი შვილები ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ. ვაჟი — ვალერი დავარაშვილი ნიუ—იორკის ერთ—ერთი ცნობილი კლინიკის წამყვანი ანესთეზიოლოგია. ხოლო ქალიშვილი მედეა, როგორც ბიოლოგი, სამედიცინო დაწესებულებაში საქმიანობს.

ასეთია ადამიანთა ხვედრი. ირაკლი დავარაშვილი საქართველოს, ქართველი ხალხს, ეროვნულ მედიცინას ერთგულად ემსახურა და დღეს ის ქართულ მიწაზე განისვენებს. პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

ნანა (თამარ) იოსებაშვილი

ნანა (თამარ) იოსებაშვილი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ორი უძველესი ერის შვილის დიდი სიყვარულის შედეგად მოევლინა ქვეყანას 1951 წლის 13 თებერვალს. მისი მშობლები — ცისანა თოფურია და სიმონ იოსებაშვილი, ქართველი და ებრაელი ერების სახელოვანი წარმომადგენლები არიან.

ხუთი წლის ასაკში, საბავშვო ბაღის დირექტორის დაჟინებული რჩევით, გადაწყდა ნანას სკოლაში მიყვანა. ასეთი ბატარა ასაკის ბავშვის სკოლაში მიღება განათლების სამინისტროს მიერ სასტიკად იყო აკრძალული. არც ერთი სკოლა არ თანხმდებოდა მის მიღებას. მხოლოდ 71—ე საშუალო სკოლის დირექტორმა ლევან წივწივაძემ გაბედა ამ ნაბიჯის გადადგმა. ნანა იხსენებს იმ დღეებს, როდესაც ჩინოვნიკების მიერ სკოლის შემოწმებისას მას მალავდნენ. დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებს თავის საყვარელ მასწავლებლებს და სკოლაში გატარებულ წლებს. სკოლაში გამორჩეული მოსწავლე იყო, ერთნაირად სწავლობდა ყველა საგანს და ყველას ფრიადზე. არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა მისი მონაწილეობის გარეშე, იქმნებოდა ეს საგნობრივი, ცეკვის, მუსიკალური თუ სპორტული ოლიმპიადა. ნანა პარალელურად სწავლობდა ქორეოგრაფიულ სტუდიაში და მუსიკალურ სასწავლებლებში, რომლებიც წარმატებით დააამთავრა.

ნანა სულ პატარა მიიყვანა დედამ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ქართული ცეკვის ანსამბლში. საქართველოში თუ კი რამ მნიშვნელოვან თარიღს ზეიმობდნენ, ამ ანსამბლს იწვევდნენ. „მეგობრობა მე სწორედ ამ ანსამბლში ვისწავლე — იგონებს ის. ვამაყობ, რომ ცეკვის ხელოვნებას მახიარეს ისეთმა ქორეოგრაფებმა, როგორებიც იყვნენ: რომან ჭოხონელიძე, ბუხუტი დარახველიძე, რობერტ დარახველიძე. ჩვენი ანსამბლის კონსულტანტები ოვით ნინო რამიშვილი და იღიკო სუხიშვილი გახლდნენ. ჩემი უსაყვარლესი ცეკვა სინდია, რომლის შესრულების დროს შემიძლია ამ ცეკვის ღირსების გარეთ გამოტანა. თამამად შემიძლია ვთქვა — როცა ადამიანი ცეკვავს მისი სული ან ხარობს ან ტირის. ამიტომ სანამ ძალა მერჩის ვიცეკვებ.“

თამარ იოსებაშვილი სტუდენტებთან

ნანამ თხუთმეტი წლის ასაკში, თითქმის პარალელურად, წარჩინებით დაამთავრა სკოლა, ქორეოგრაფიული სტუდია და მუსიკალური სასწავლებელი. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

მესამე კურსზე გათხოვდა. სულ მალე მის მეუღლეს გიორი რიბაშვილისა და ნანას სამი შვილი შეეძინათ.

1977 წელს გარდაეცვალა მეუღლე. მშობლების, ქმრის ახლობლებისა და დის ოჯახის თანადგომას ნანა განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავს.

იმავე წელს, ნანა იოსებაშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტში მისვლას ნანა ასე იხსენებს: „მუშაობის დაწყებამდე აუცილებელი იყო ინსტიტუტის რექტორთან გასაუბრება. გასაუბრების შემდეგ, ბატონმა კოტე ყირსალაძემ მკითხა — რომელი კუთხიდან ყიყავი. მე რომ ყუთხარი ებრაელი ვარ, გაიხსენა ებრაელი მეგობრები და მითხრა — ჩემი აზრით, თქვენ სამი დიდი პლუსი უნდა გქონდეთ — ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და საქმის ერთგულებაო. ამან ძალიან გამამხნევა. შემდეგ ოჯახურ მდგომარეობაზე დამიწყო საუბარი. როცა გაიგო სამი მცირეწლოვანი შვილი მყავდა, ცოტა არ იყოს შეწუხდა — ვინ მიგიღებთ კათედრაზე სამი შვილითო. მეც შეეწუხდი და ვუპასუხე — ბატონო კოტე, მე მგონია სამშვილიანი დედის მიღება ჯობს იმ ახლად დაქორწინებულის ან გასათხოვარის მიღებას, ვინც შეიძლება სამჯერ გაყიდეს დეკრეტულში-მეთქი. ამაზე ძალიან იხალისა და მითხრა: მე გულით მინდა, რომ თქვენ ჩვენს ინსტიტუტში იმუშაოთ და გამიშვა მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის კათედრაზე. კათედრას ჰქონდა უფროსი ლაბორანტის ვაკანსია. წამოსვლისას გამაფრთხილა — ვერ გეტყვეთ კათედრის გამგე, პროფესორი თამაზ კერესელიძე რა კრიტერიუმით არჩევს თანამშრომლებს, ვიცი, სამი კანდიდატურა უარით გამოისტუმრა. სცადეთ, იმედი მაქვს, თქვენზე აუცილებლად შეაჩერებს არჩევანს.

შიშით მივედი კათედრაზე. იმედი არ მქონდა, თან მეშინოდა ჩემი ცოდნა არ შეემოწმებინა მიკრობიოლოგიაში (მე გენეტიკის სპეციალობით დავამთავრე უნივერსიტეტი). ბატონმა თამაზმა სათვალეების ზემოდან შემომხედა და მხოლოდ ერთი შეკითხვა დამისვა — ჩემთან მოსვლამდე, მუშაობდით თუ არა

სადმეო. ვუპასუხე, რომ არა. არ ვუჯერებდი არც ყურებს და არც თვალებს, როცა ფურცელი და კალმისტარი მომაწოდა განცხადების დასაწერად. რამდენიმე წლის შემდეგ რომ ეკითხე ბატონ თამაზს, თუ რა იყო ჩემი მიღების მიზეზი, მან მიპასუხა: — პირველი — რომ შემოხვედი და შემოგხედე, მაშინვე მომეწონე, მეორე ის, რომ არსად არ გქონდა ნამუშევარი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მე გაგზრდიდი ისეთად, როგორიც მე მენდომებოდაო. მართლაც, ბატონმა თამაზმა მე აღმზარდა პატიოსან მეცნიერად, პედაგოგად. უდიდეს სიამაყეს მძენდა ის, რომ ის მენდობოდა და ჩემი სჯეროდა."

კათედრაზე მისვლიდან ორი წლის შემდეგ, ბატონმა თამაზ კერესელიძემ, ერთ-ერთმა უძლიერესმა მეცნიერმა და პედაგოგმა, შესთავაზა ნანას საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა. ნანამ კათედრაზე პედაგოგიური მოღვაწეობაც დაიწყო. გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. თემა რთული და ძალზედ აქტუალური იყო. ბატონი თამაზი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომელიც იყო. წლების მანძილზე ის ჟენევაში მოღვაწეობდა და უნივერსიტეტშიც ახალ—ახალი ინფორმაცია მოპქონდა. ახალი მეთოდიკების ასათვისებლად ნანა ხშირად იყო მიყლინებული მოსკოვსა და ლენინგრადის სამეცნიერო—კვლევით ინსტიტუტებში.

ნანას საკანდიდატო დისერტაციის პრაქტიკული ნაწილი თითქმის დამთავრებული ჰქონდა, როდესაც ინსტიტუტის II კორპუსში ხანძარი გაჩნდა და, კათედრასთან ერთად, ნანას შტამები და ჩანაწერები დაიწვა. ძველის აღდგენა შეუძლებელი იყო. ამასთან, ბატონი თამაზი სამი წლით ისევ ჟენევაში გაეშგზავრა და ნანა ამ პერიოდში ინსტიტუტის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება.

ბატონი თამაზის ჩამოსვლის შემდეგ, ნანას დაუმტკიცეს ახალი თემა. ამ დროს ის უკვე კათედრის ასისტენტია.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ნანა კათედრაზე დოცენტის თანამდებობას იკავებს და დოცენტის წოდებას ანიჭებენ.

დღეს ნანა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია. არის ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრის დირექტორი კავკასიის ქვეყნების ებრაული თემებისათვის, VII, VIII კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი.

შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, სტუდენტები — ეს არის ნანას ცხოვრების მიზანი.

შვილი დათო კალათბურთის მწვრთნელია, საქართველოს სამგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია. მისი მეუღლე — ლორა სტომატოლოგია. ქალიშვილი მაია ხელოვნებათმცოდნე. ყველაზე დიდი სიყვარული კი ანა და გივია. ანა მე-8 კლასის მოსწავლეა, გივი კი — მე-6 კლასის.

დღეს ნანა ასე აფასებს თავისი განვლილი ცხოვრების გზას — თუმცა არა ვარ ბედის ნებიერი, მაგრამ მადლობელი ვარ, რომ ღმერთმა ადამიანთა სიყვარული დამაბედა. ბედნიერი ვარ იმით, რომ ინსტიტუტში, ებრაულ სახლში, ახლობლებში თავაწეული დავდივარ, არ მრცხვენია თვალებში ყურება. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემით შეუძლია იმაყოს მამამ, ჩემმა შვილებმა შვილიშვილებმა, ახლობლებმა, მე ისინი არასოდეს შემირცხვენია.

საერთაშორისო მასშტაბით
აღიარებული ონკოლოგის, მკვლევარის, პედაგოგის,
პროფესორი მერაბ იზრაელაშვილის
პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ
საუბარი ვთხოვეთ, მის კოლეგებს:
პროფესორ ნინო ვეფხვაძეს,
პროფესორ ილია ბაქრაძესა და
პროფესორ რემა ღვამიჩავას.
მკითხველს ვთავაზობთ მათი წერილის შინაარსს.

პროფესორი მერაბ სარელი (იზრაელაშვილი)

„მიმაჩნია, რომ ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის მუდამ უნდა სუფევდეს ურთიერთმადლიერების გრძნობა. ჩვენი საერთო ტრადიციები, კაცთმოყვარეობა, რაინდობა, ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობა შეუბღალავად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამიტომ, ჩვენმა თემმა ქართველებთან მეგობრობის 26-საუკუნოვანი ისტორიული მეხსიერების სათუთი საგანძური რუდუნებით უნდა გადასცეს მომავალ თაობებს“.

ეს სიტყვები ბატონ მერაბ იზრაელაშვილს ეკუთვნის, რომელიც ჩინებულად განსაზღვრავს ორი მოძმე ერის საამოდაყლო ურთიერთპასუხისმგებლობასა და ურთიერთმოყალეობას.

ქართული მედიცინის უახლეს ისტორიაში ღირსეული ადგილი უკვე დაიმკვიდრა პროფესორმა მერაბ იზრაელაშვილმა, რომელიც, ეროვნებით ებრაელი, საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. აქ ჩამოყალიბდა იგი, როგორც პიროვნება, მეცნიერი და, რაც მთავარია, ქეშმარიტი მამულიშვილი – კაცური კაცი.

ბატონი მერაბის სახელს უკავშირდება საქართველოში ღვიძლის რეზექციული ქირურგიის საფუძვლის ჩაყრა. მისი, როგორც ექიმისა და მეცნიერის ფორმირებაზე წარუშლელი კვალი დატოვეს მისმა მასწავლებლებმა – პროფესორებმა შ. თოიძემ, ა.ბაკურაძემ, ა. ასათიანმა, თ. დეკანოსიძემ, ი. მგალობლიშვილმა, ლ. წაქაძემ, ე.ფიფიამ, მ. ჩაჩავამ, მ. კომახიძემ.

მერაბ იზრაელაშვილი ქართველ კოლეგებთან, თელ-ავივი, 2006 წელი

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მერაბ იზრაელაშვილი სრულად აღიქვამდა ქართული სამედიცინო სკოლის მაღალ ტრადიციებს და აქტიურად მონაწილეობდა სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში უახლოეს მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად, რომელთაგან ბევრი დღეს წარმატებულად საქმიანობს მედიცინის სხვადასხვა დარგში.

მერაბ იზრაელაშვილი განსაკუთრებული სიამაყით იგონებს სტუდენტობის წლებში თანაკურსელებთან ო. თოთაძესთან და ი.ცერცვაძესთან ერთად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომს — „ლეიძლის რეზექციის გავლენა კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე ექსპერიმენტში", რომელიც აკადემიკოს ა. ბაკურაძის წარდგინებით გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში. შეიძლება სწორედ ეს ფაქტი გახდა მომავალში პროფესორ მ. იზრაელაშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულების განმსაზღვრელი სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობისადმი. მისი ხელმძღვანელობით არაერთი სტუდენტი ეზიარა სამეცნიერო კვლევის ელემენტებს, რომლებიც ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ როგორც საქართველოში, ისე ისრაელში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და აშშ-ში.

ბატონი მერაბი 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის აუტორია. მისი, როგორც მეცნიერის, ეტაპური საკვალიფიკაციო ნაშრომებად უნდა ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და მოსკოვის ონკოლოგიური ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. პროფესორ მერაბ იზრაელაშვილის თანმიმდევრული და მიზანდასახული მუშაობა გახდა მისი მეცნიერული და თანამდებობრივი კარიერის საფუძველი. ის, მისი ასაკისათვის შესაშური აღმავლობით, იკავებდა ასპირანტის, ასისტენტის, დოცენტის, პროფესორისა და კათედრის გამგის თანამდებობებს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგის სტატუსს უთავსებდა საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ორი ქირურგიული განყოფილების — აბდომინური და პროქტოლოგიური ონკოლოგიის, კლინიკური ხელმძღვანელის თანამდებობას.

1990 წელს პროფესორი მ. იზრაელაშვილი თელ-ავივის უნივერსიტეტში კითხულობს საჩვენებელ ლექციას და თელ-პაშომერის საავადმყოფოში მაღალ დასტაქრულ დონეზე ას-

რულების ურთულეს ოპერაციას. ეს ორი ფაქტორი გახდა განმსაზღვრელი, რათა მას მიელო ოფიციალური საკონტრაქტო სერტიფიკატი ხანგრძლივი სამეცნიერო-პრაქტიკული მიელინებისათვის თელ-ავივის საუნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ცენტრში. ისრაელში რეპატრიაციის მთელი ისტორიის მანძილზე, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსულ მეცნიერთა დიდ არმიაში, ასეთი პატივი მხოლოდ 4 ექიმ-სპეციალისტს ხვდა წილად.

ისრაელის ფართო საზოგადოებისათვის მ.იზრაელაშვილი პროფესორ მ. სარელის სახელით არის ცნობილი. რომელიც გარდა პროფესიულისა, ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. ბატონი მერაბი არის ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის მეხოტბე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი აყვავების პროპაგანდისტი ისრაელში, ტრადიციული, ყოველწლიური, პოლიტიკური ღონისძიების — „საქართველოს დღეები ისრაელში" — ერთ-ერთი ორგანიზატორი. ამ მიმართებით მის ძალისხმევას სხვადასხვა დროს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ისრაელში ოფიციალურ სტუმრად მყოფი მაღალი რანგის ქართველი თანამოქალაქეები.

ბატონი მერაბი იზრაელაშვილი კვლავაც შემოქმედებითი აღმავლობის პროცესში იმყოფება. მოუცლელობის მიუხედავად, მაინც იცლის ახლობლებისა და მეგობრებისათვის და არა მარტო მათთვის; არავის და არაფერს ივიწყებს. სწორედ ამიტომ უყვართ, ახსოვთ ბატონი მერაბი და პატივს სცემენ მას — ადამიანს, რომელსაც ორი სამშობლო და ერთი უსაზღვროდ კეთილი გული აქვს.

პროფესორი შალვა მარდი (მარდახიაშვილი)

გამოჩენილი მეცნიერის პეტრე კაპიცას გამონათქვამის: „ტალანტის მთავარი ნიშანია ცოდნა იმისა, თუ რა გსურს“, ადრესატად ნამდვილი პირდაპირობით თუ ვიტყვით, შეხაძლებელია პროფესორი შალვა მარდი ჩაითვალოს, რადგან ამ პრინციპისადმი ერთგულებამ ღირსეული წარმატებები მოუტოვა მას როგორც სამეცნიერო-პრაქტიკულ, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის დიდ ასპარეზზე.

რაქის უღიამაზეს კუთხეში ლაილაში დაბადებულ და ქუთათურთა გარემოში აღზრდილ ახალგაზრდა ჭაბუკს კარგად ესმოდა, რომ მთავარი მიზანია, ცხოვრებაში მიაღწიო შენს საწადელს — შრომასთან ერთად აუცილებელია გამბედაობა იმისა, თუ როგორ გამოიყენებ ბუნებით მონიჭებულ თვისებებს.

წლების განმავლობაში მრავალი პრესტიჟული სამედიცინო სკოლის გამოცდილებას ეზიარა და მისი შემოქმედებითი გამბედაობის წყალობით მრავალგზის მიუღწევია წარმატებისათვის.

დღეს, ბატონი შალვა ისრაელისა და შვეიცარიის მოქალაქეა. მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ენერგიულად და შემოქმედებითად ებმება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და 29 წლის

ასაკში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ყველაზე ახალგაზრდა ასაკის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ხდება.

ბატონი შალვა მარდის სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა ძირითადად მიმართულია მის მიერ შემოთავაზებული პრეპარატების ავთვისებიანი წარმონაქმნების ეფექტური მკურნალობის მიზნით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პრეპარატები „სოლკოდერმი“ და „4-M“, რომელიც წარმატებით გამოიყენება ონკოლოგიურ კლინიკებში.

2001 წლის აპრილში ნიუ-იორკში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე ფარმაცევტული პრეპარატების გამოყენებას ონკოლოგიაში, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესორ შალვა მარდის მოხსენებამ: „კანისა და ლორწოვანი გარსის კეთილთვისებიან და ავთვისებიან წარმონაქმნთა მკურნალობა უახლესი ფარმაცევტული პრეპარატებით“. მასში შეჯერებულ იქნა მის მიერ 10 წლის მანძილზე გაწეული კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული შედეგები.

საზოგადოებრივი და სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობით არის მუდამ შემართული ბატონი შალვას ყოველდღიური ცხოვრება. მიუხედავად ასაკისა დღესაც ის ახლის ძიებაშია. ამას წინათ დერმატო-ონკოლოგიის დარგში მიღწეული წარმატებული მკურნალობისათვის, საფრანგეთში ჩატარებული XX მსოფლიო კონგრესზე პროფესორი შალვა მარდი მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტად საერთაშორისო მასშტაბით.

მეტად საგულისხმოა ბატონი შალვა მარდის კეთილდამოკიდებულება და განუსაზღვრელი გულისყური ქართველი კოლეგებისადმი. შეუნელებელი გულისხმიერებით ადევნებს ის თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ყველაფერს ახალს, რაც სამედიცინო დარგში ინერგება ჩვენს ქვეყანაში.

ბრძოლა თანამედროვე აზროვნებისათვის და მის მისაღწევად შემოქმედებითი ძალების გაერთიანება ყოველი წარ-

მატების საფუძველია. ამ პრინციპით ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენი ყოფილი თანამეშამულე, პროფესორი შალვა მარდი.

პროფესორ შალვა მარდის მიეძღვნა
ჯ.ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის
სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელის,
ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრის, პროფესორ
გივი წიწუაშვილის წერილი, რომელიც გაზეთ „მენორაში"
გამოქვეყნდა 2003 წლის მაისში.
გთავაზობთ მის შინაარსს.

შალვა მარდი ნოსტრადამუსის წინადადებებს ლეგენდა თუ რეალობა?

აგერ უკვე 20 წელიწადზე მეტია, რაც მსოფლიო პრესის როგორც პროფესიულ, ასევე პოპულარული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შალვა მარდის (მარდახიაშვილი) სახელმა. პუბლიკაციები იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ მკითხველს, რომელიც ახლოს არ არის მის პროფესიულ მოღვაწეობასთან, ზოგჯერ უჩნდება კითხვა, ხომ არ არის შერწყმული ერთმანეთთან ლეგენდა და რეალობა. შესაძლოა, ჟურნალისტები ერთგვარ ეგზოტიკურ ელფერს სძენენ მოვლენებს, მაგრამ ბატონი შალვა იმდენად მრავალფეროვანი ნიჭით არის დაჯილდოებული, რომ მე შეშიძლია თამამად ვთქვა: არაკითარ გადაჭარბებას ადგილი არა აქვს, მით უმეტეს, რომ პირადად ვარ მოწმე მრავალ საერთაშორისო კონგრესზე იმ დამსახურებული აღიარებისა, რომელიც პროფესორმა მარდიმ თავისი ნიჭით და ტიტანური შრომით მოიპოვა. მახსენდება ერთ-

ერთი ასეთი ბოლო კონგრესი, რომელიც 2002 წელს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში ჩატარდა. ეს კონგრესი, სხვათა შორის, ერთი გარემოებითაც იყო აღსანიშნავი: მასში სამი ქართველი ებრაელი ყმონაწილეობდით, აქედან ერთი იყო კონგრესის პრეზიდენტი — რევაზ სეფიაშვილი, ხოლო ორი შესაბამისად სიმპოზიუმებს ვთავმჯდომარეობდით — ბატონი შალვა ონკოლოგიისას, მე — ქირურგიისას, მაგრამ აქ მინდა აღვნიშნო ის ფურორი (სიტყვის სრული მნიშვნელობით), რომელიც გამოიწვია შ. მარდის მოხსენებამ. ცნობილია, რომ მოხსენებები რეგლამენტირებულია და შალვასაც გამოყოფილი ჰქონდა 20 წუთი. მისი მასალის ტელეპრეზენტაცია პროფესიონალური თვალსაზრისით იმდენად მიმზიდველი იყო მომხსენებლის გონებამახვილური კომენტარებით, რომ სხდომის თავმჯდომარემ რეგლამენტი არ შეახსენა — სავსე აუდიტორია სულგანაბული ერთ საათზე მეტს უსმენდა პროფესორს — ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. ის, რაც ხდებოდა შესვენების დროს, ყველაზე დიდი ფანტაზიის მქონე ჟურნალისტისათვისაც ძნელი აღსაწერი იქნებოდა — მრავალი ქვეყნის ცნობილი მეცნიერი იდგა, რომ ხელი ჩამოერთმია და აღფრთოვანება გამოეხატა მის მიმართ. მსგავსი სურათი იყო 1 წლით ადრე ნიუ-იორკში ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესზე, სადაც შ. მარდიმ წარმოადგინა ახალი პრეპარატი, რომელიც განკუთვნილია კანისა და ლორწოვანი გარსის ვირუსული, კეთილ- და ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ. პრეპარატი მარდების ოჯახური ნაყოფია და ეწოდება MMM — ოთხი მ-ოთხი მარდია: თვითონ, მეუღლე და ქალ-ვაჟი. კანის კიბომ სიკვდილიანობის მხრივ პირველ ადგილზე გადაინაცვლა — ეს არის მსოფლიოს უდიდესი ეპიდემია, მსოფლიო კატასტროფა, განსაკუთრებით მზის აქტივობის დღევანდელ პირობებში. სხვათა შორის, ეს ჯერ კიდევ ნოსტრადამუსმა იწინასწარმეტყველა: მან თქვა, რომ კაცობრიობის უმეტესობა XXI საუკუნეში დაიუღუპება კანის დაავადებით — წყლულოვანითა და კეთროვანითო. აღნიშნული

ბატონი შალვა მარდი
მეუღლესთან, ქალბატონ
როზმარისთან

პრეპარატით განკურნებულია უკვე 15 ათასზე მეტი პაციენტი. ამგვარად, შ. მარდი „ლაბორატორიული ავიცენა“ წინ აღუდგა მიშელ ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებას და გააქარწყლა ივი. 3333 გარანტირებულად (99%) კურნავს კანის და ლორწოვანის სიმსივნეებს, არატოქსიკურია და არ მოითხოვს ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციას. ამავე დროს ზოგავს მილიარდობით დოლარს, რომელიც დღეს ამ დაავადების სამკურნალოდ იხარჯება.

მარდი საფრანგეთში ჩატარებულ მე-20 მსოფლიო კონგრესზე დერმატო-ონკოლოგიის დარგში მსოფლიოში ნომერ პირველ მეცნიერად და ექიმად აღიარეს.

ამ წოდების მიკუთვნების დროს მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა ყეზრა ზოარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პროფესორმა შალვა მარდიმ დიდი ხანია დაიმსახურა მედიცინის დარგში ნობელის პრემია. შ. მარდი პირველი უცხოელი მეცნიერია, რომელიც რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა იური შევჩენკომ დააჯილდოვა მედლით „დამსახურებისათვის სამამულო ჯანდაცვის წინაშე“. შალვა მარდის მიერ შემუშავებული კანის კიბოს მკურნალობის გლობალური პროგრამა მიიღო მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) იგი გაეროშიც განიხილეს.

მარდიზე უსაზღვროდ შეიძლება წერა — ის ხომ ისრაელის მედიცინის სიამაყეა, ამიტომ მრავალი ქვეყნის პირველი პირი ეპატიჟება მას, თვით პრეზიდენტმა მოიწვია საქართველო-

ში ებრაელთა დაპკვიდრების 26-საუკუნოვან იუბილეზე. იმ დღეებ-
ში ივი ეწვია მშობლიურ ქუთაისს, მივიდა მშობლიურ სკოლაში,
რომელშიც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ვლადიმერ მაიაკ-
ოვსკი, გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი წერეთელი — როდესაც მან ეს
სკოლა ოქროს მედალზე დააბთავრა. შორეული ბავშვობის მოგ-
ონებებიდან გული სიყვარულით და მღელვარებით ევსებოდა
ახსენდებოდა მთებში ჩამალული მშობლიური სოფელი ღაილა-
ში და ლეგენდა მის დამაარსებლებზე, საქართველომ შალვას
ღვაწლის აღსანიშნავად მთის ერთ-ერთ მწვერვალს მისი სახე-
ლი მიანიჭა, აღელვებისა და სიამაყის გრძნობის გარეშე შეუ-
ძლებელია გაიხსენო ის ფაქტი, რომ ყირგიზეთის პრეზიდენტმა
ასკარ აკაევმა მას თვითმფრინავი გაუგზავნა, რათა ჩაეყვანა ყირ-
გიზეთში, მის პატივსაცემად საგანგებოდ მიიწვია მსოფლიოში
ცნობილი მევიოლინე ვლადიმირ სპივაკოვი თავისი „მოსკოვის
ვირტუოზებითურთ“. ა. აკაევს ამ შემთვევისათვის პერსონ-
ალურად ეწვევნენ ჩინეთის პრემიერ-მინისტრის სამი მოადგილე.

შეუძლებელია მოკლე საგაზეთო სტატიაში თქვა ყვე-
ლაფერი მის შესახებ — მისი ცხოვრება შეიძლება ნაწილო-
ბრივ აღწერო დიდ წიგნში და ფილმში, მაგრამ მე არ შეძ-
ლია არ აღვნიშნო შ. მარდის ორი თვისება, რომლითაც ის
გამოირჩევა: მან ბევრი ადამიანი დააკვალიანა, ბევრს მისცა
ცხოვრების საგზური, ზოგმა ეს ვერ დააფასა, მაგრამ შალვას
არასდროს არც ერთი სააუგო სიტყვა მათ მიმართ არ დას-
ცდენია და ყოველთვის ამბობს: „ღმერთმა მშვიდობა მისცეს“
- ეს მის დიდი კაცთმოყვარეობაზე მეტყველებს. მეორე მხრივ
შ. მარდის უხარია თავისი ხალხის წარმომადგენლების მცირე
წარმატებაც კი. ის აუცილებლად, აღნიშნავს ამას და ხმამა-
ღლა სიამოვნებით გამოხატავს თავის სიხარულს ამის გამო —
ეს მის დიდ ადამიანურ ღირსებად მიმაჩნია და უფრო მნიშ-
ვნელოვანს ხდის ამ პიროვნებას. ამ თვისებების გამო, ის საერთო
სიყვარულს იმსახურებს, მისი ოჯახის კარი ყველასათვის ღიაა
და იქ შესული ადამიანი დიდ სითბოს გრძნობს შესანიშნავი

მეუღლის — როზმარის და შვილების მხრიდან. მსოფლიოში ბევრი გამოჩენილი ადამიანია მათი მეგობარი, მათი ჩამოთვლა ცალკე საგაზეთო პუბლიკაციის საგანია.

პროფესორი მარდი ნობელის პრემიის ლაურეატ შიმონ პერესთან და ამერიკის ელჩთან ისრაელში

აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი

მსოფლიო იმუნოლოგთა მიერ აღიარებული მკვლევარი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი, საქართველოში აღზრდილი, ქართველი ხალხის ერთგული მეგობარი და პატრიოტი პიროვნებაა.

ბატონი რევაზის საერთაშორისო აღიარება განაპირობა თანამედროვე სამედიცინო აზროვნებაში მის მიერ შექმნილმა და განვითარებულმა ახალმა მიმართულებამ — იმუნორეაბილიტაციის სახით. 1992 წელს მისი თაოსნობით დაარსებულმა ამ საერთაშორისო საზოგადოებამ ერთხმად აღიარა ბატონი რევაზი მის თავმჯდომარედ.

ერთი წლის შემდეგ, 1993 წელს, მისივე თაოსნობით დაარსდა იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ჩამოყალიბებამ საფუძველი ჩაუყარა მოსკოვში იმუნორეაბილიტაციის მეცნიერული ძიების პრესტიჟული ინსტიტუტის შექმნას, რომელსაც ბატონი რევაზი უდგას სათავეში.

იმუნორეაბილიტაციის, როგორც თანამედროვე მეცნიერული მიმართულების კვლევა-ძიება წარმოუდგენელია მეცნიერებაში ახალ მიღწევათა ღრმად ათვისებისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გარეშე. სწორედ ეს ედო საფუძვლად მისი თაოსნობით იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო საზოგადოების შექმნას, სადაც გაერთიანდნენ ამ მიმართულებით მოღ-

ვაწე საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერები, პრაქტიკოსი ექიმები. შეიმუშავებულ იქნა იმუნორეაბილიტაციის თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული კონცეფციები, მეთოდური რეკომენდაციები, რომელმაც განაპირობა სამედიცინო მეცნიერების ამ დარგის აღიარება და წინსვლა.

ერთ ათეულ წელზე მეტია ბატონი რევაზ სეფიაშვილის თაოსნობით, ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში იმართება საერთაშორისო კონგრესი იმუნორეაბილიტაციის პრობლემებზე.

1998 წელს ბატონი რევაზის ინიციატივით მოსკოვის კრემლის ყრილობათა სახახლეში გაიმართა საერთაშორისო კონგრესი „ინტერასტმა-98“, რომლის მუშაობისა მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი იმუნოლოგები, ალერგოლოგები, ენდოკრინოლოგები და სამედიცინო-ბიოლოგიური დარგის სხვა მრავალი მოღვაწე.

2001 წლის აპრილში ნიუ-იორკში ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესის დელეგატებმა, რომლის მთავარი მიმართულება იყო: „ალერგია, იმუნოლოგია და გლობალიზაცია მომავალ ათწლეულებში“. სხდომის პრეზიდენტად კვლავ ბატონი რევაზი აირჩიეს.

უზომოდ საჭირო და ნაყოფიერი აღმოჩნდა ბატონი რევაზის მეცნიერული თანამშრომლობა ქართველ ექიმებთან, ნაყოფიერ ნიადაგზე ჩაეყარა საფუძველი მათ შემოქმედებით ურთიერთობებს, კერძოდ, წყალტუბოს სამკურნალო წყლების ეფექტურობას იმუნორეაბილიტაციის დროს, რომლის მეცნიერული იდეა და თემატური ხელმძღვანელობა მას ეკუთვნის, რამაც საერთაშორისო რეზონანსი გამოწვია.

საკმაოდ მასშტაბური და შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა ბატონ რევაზს, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილთან. ერთობლივმა კვლევითმა შედეგებმა ინტერფერონის ეფექტური სამკურნალო თვისებების მეცნიერულ შეფასებასა და მის პრაქტიკულ რეალიზაციაში ორივე მეცნიერის ურთიერთთანამშრომლობამ დაუდო სათავე.

მეგობრობის მაღალი ადამიანური გრძნობები აკავშირებს ბატონ რევაზს ქართველ კოლეგებთან. მისი თაოსნობით ჩატარებულ ყოველ სამეცნიერო შეკრებებისა თუ შეხვედრების ფართო აუდიტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველ მედიკოს-მეცნიერთა ნაფიქრალ-ნააზრევს, მათ დამოკიდებულებას თანამედროვე მედიცინის პრობლემებზე.

ბატონი რევაზი არჩეულია საქართველოს სამედიცინო და აშშ ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ავტორია 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. ბატონი რევაზის მეცნიერული კონტაქტები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ახალგაზრდა მედიკოსების პროფესიულ დახელოვნების, მეცნიერული კვლევის პროცესების გაღრმავებაში. მისი ხშირი თანამშრომლობა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობასთან ფართო ასახვას პოულობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი

ახალგაზრდა ექიმი თეა ჯავთიაშვილი, პროფესიული დახელოვნების მიზნით მივლინებულ იქნა მოსკოვში, ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრში, სადაც აკადემიკოს იური ბუზიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით აითვისა იშემიური დაავადების დროს ექოკარდიოგრაფიის გამოყენების თანამედროვე მეთოდები და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. *მისი პროფესიული დაოსტატებისა და მეცნიერული წარმატებების მთავარი შემომქმედი აკადემიკოსი იური ბუზიაშვილია, რომლის შესახებაც თავად მოგვითხრობს მადლიერი მონაფე.*

ბატონი იური ბუზიაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ა.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე და ამავე ცენტრის კლინიკურ-დიაგნოსტიკური განყოფილების ხელმძღვანელია.

ბატონი იური ასპირანტ თეა კავთიაშვილთან ერთად

ბატონი იური მეტად წარმატებული ექიმი და საზოგადო მოღვაწეა. იგი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1954 წლის 5 მაისს ცნობილი ნევროლოგის იოსებ ბუზიაშვილის ოჯახში. ქუთაისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან წარმატებით დაამთავრა მოსკოვის I სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რომლის

შემდგომ თავისი კარიერა ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში გააგრძელა თავისი დიდი მასწავლებლების გ. გელშტეინისა და ა. ბურაკოვსკის ხელმძღვანელობით და ძალიან მალე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის. ასევე მოკლე დროში ბატონმა იურიმ მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ნაციონალური ცენტრის შემდგომი განვითარებისა და წინსვლის საქმეში. დღეისათვის კლინიკურ- დიაგნოსტიკური განყოფილება, რომლის ხელმძღვანელიც აკადემიკოსი იური ბუზიაშვილია, ერთ-ერთი თანამედროვე და სრულყოფილი განყოფილებაა. რუსეთის ფედერაციის მასშტაბით მისი ხელმძღვანელობით განყოფილება აღიჭურვა მსოფლიოში აპრობირებული სადიაგნოსტიკო აპარატურით და გამოკვლევის უახლესი მეთოდებით. გარდა ამისა, ნოვატორი ხელმძღვანელის მიერ აღიზარდა და ჩამოყალიბდა საუკეთესო სპეციალისტების კოლექტივი, რომლებიც ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ მეცნიერულ შრომასა და პაციენტების ჯანმრთელობზე ზრუნვას.

ბატონ იურის, მიუხედავად მისი მსოფლიო აღიარებისა, არასოდეს განელებია სიყვარული მშობლიური საქართველოს და კერძოდ, ქუთაისის მიმართ, სადაც მან ბავშვობის და სიყმაწვილის წლები გაატარა. სწორედ ამ გრძნობით არის განპირობებული მისი თავგამოდებული ზრუნვა და ყურადღება მოსკოვში მცხოვრები და განსაკუთრებით, საქართველოდან ჩასული ახალგაზრდა კოლეგების მიმართ, ვისთვისაც აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი ერთ-ერთ ყველაზე ახლობელ და საიმედო ადამიანად ითვლება. უცხო ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდების გასაჭირი არასოდეს დარჩენია უყურადღებოდ ქართველების დიდ ქომაგს რუსეთში, სადაც სულ მცირე სითბოც კი ძალიან სანატრელი და დასაფასებელია, თუმცა ის არა მხოლოდ ქართველებისათვის არის საიმედო და ურყევი დასაყრდენი, ყველა თანამშრომლის, კოლეგის და ახლობელი ადამიანისთვისაც.

აღსანიშნავია ასევე მისი, როგორც ექიმის დამსახურება. ბატონი იური ბუზიაშვილის დიდი აუტორიტეტი და გამოცდილება პაციენტების ჯანმრთელობის უტყუარი დასაყრდენია. ნოვატორი ექიმისათვის მნიშვნელოვანია პაციენტებისათვის სრულყოფილი და კვალიფიციური დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფა ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ განყოფილებაში. მისი გამუდმებული ზრუნვა პაციენტის ჯანმრთელობაზე, ყოველი მათგანის ტკივილისა და პრობლემის გულთან მიტანა, გამხნევება, გვერდში დგომა და ხშირად ფინანსური დაბრკოლების გადალახვაში დახმარებაც პროფესორ ბუზიაშვილის ცხოვრების წესია.

დღევანდელ კარდიოლოგიასა და კარდიოქირურგიაში არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა თუ თემა არსებობს, რომელიც გადაჭრასა და შესწავლას მოითხოვს. პროფესორი ბუზიაშვილი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, თანაავტორი და უშუალო ხელმძღვანელია. ახალგაზრდა სპეციალისტების საყვარელი მასწავლებელი ცდილობს ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლოს მეცნიერების გზაზე მდგარ ექიმებს და დაეხმაროს მათ წინ მდგარი პრობლემური საკითხების გადაჭრაში.

სწორედ ბატონი იური ბუზიაშვილის მზრუნველობა, ყურადღება და მისაბაძი ექიმობა იყო, რამაც მოსკოვში, ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის ორდინატორს შემაძლებინა ესოდენ რთული გზის გავლა. სწორი გადაწყვეტილებების მიღება და მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება, რაც გამოიხატა ჩემი სადისერტაციო თემის „კონტრასტული სტრეს-ექოკარდიოგრაფიის გამოყენება იშემიური დაავადების დროს", რომელიც წარმატებით დავიცავი ა.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოზე, რისთვისაც მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები. როგორც მან მითხრა „ძე თუ არა, სხვას გადაუხადე სამაგიერო სიკე-

თეო, რადგან მადლიანი საქმე თავის გზას არასოდეს დაკარგავს და ყოველთვის მონახავს თავის ადრესატსო.“ ვფიქრობ, მარტო არ ვარ, ვისაც სურვილი აქვს დიდი სიყვარული და მადლიერება გამოხატოს ბატონი იურის მიმართ, მათი რიცხვი დიდია არა მარტო რუსეთსა და საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოიძებნება ისეთი ადამიანი, ვინც აკადემიკოს ბუზიაშვილს სითბოთი და მადლიერების გრძნობით ხშირად იხსენებს.

დღესაც სამაგალითოა მასწავლებლისა და მოსწავლის შემოქმედებითი ურთიერთთანამშრომლობა. ქალბატონი თეა სათანადოდ აფასებს სახელოვანი მასწავლებლის ღვაწლს და ცდილობს სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა წარმართოს ბატონი იურის მიერ გაკვალული გზით. მართლაც რომ, მათი პროფესიული ურთიერთკონტაქტები მისაბაძია.

წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ავტორი (გ. წიწუაშვილი) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ა. ბაკულეკის სახ. გულ-სისხლძარღვთა ინსტიტუტში ი. ბუზიაშვილთან ერთად და სიამაყით აღნიშნავს, რომ იგი ქეშმარიტად დიდი მეცნიერია, ამავე დროს ყველასათვის „ამოღებული ხმალია“ და ცენტრის თითოეული თანამშრომლის საყვარელი ადამიანია. იყვე მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელთა რიგში — ეს ნამდვილად რჩეულთა ხვედრია. განსაკუთრებით საამაყოა, რომ როგორც გენერალური დირექტორი (აკად. ლ. ბოკერია), ასევე მისი მოადგილე, საქართველოს ღირსეული შვილები არიან.

მარია ნამთალის ასული შიმშილაშვილი

ქართული უმაღლესი სამედიცინო სკოლის ცნობილი წარმომადგენელი მარია ნამთალის ასული შიმშილაშვილი დაიბადა 1920 წლის 11 იანვარს. ქ. თბილისში.

1942 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მუშაობდა № 1420 ევაკოჰოსპიტალში.

1944-1947 წლებში დაინიშნა თბილეანდაცვის განყოფილების სამედიცინო სექტორის უფროსად.

1947 წლიდან ქალბატონი მარია მუშაობდა რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, თავდაპირველად ელექტროკარდიოგრაფიული კაბინეტის გამგედ, ხოლო 1973 წლიდან ცენტრალურ რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში ახლად დაარსებული ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების გამგედ.

ორმოცდაოთხწლიანი საექიმო მოღვაწეობის განმავლობაში ქალბატონმა მარიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მიიღო I კატეგორიის ექიმის კვალიფიკაცია, ჯანდაცვის სფეროში წარჩინებული მოღვაწისა და შრომის ვეტერანის წოდება. კლინიკის მრავალრიცხოვან კოლექტივში ქალბატონი მარია სარგებლობდა მაღალი პროფესიული ავტორიტეტით, პატივისცემითა და სიყვარულით.

პროფესორები: მ. წინამძღვრიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. ვირსალაძე — მაღალ შეფასებას აძლევდნენ ექიმ მ. შიმშილაშვილის მიერ ჩატარებულ ელექტრო, ფონო ან ბალისტოკარდიოგრაფიულ გამოკვლევას.

კლინიკის თანამშრომლები და კოლეგები ყოველთვის მიმართავდნენ ქალბატონ მარიას კონსულტაციისთვის და დახმარებისათვის.

ქალბატონი მარია თავის გამოცდილებას გულითადად უზიარებდა ახალგაზრდა კოლეგებს, მან არაერთი თაობა აზიარა თავის პროფესიას, რისთვისაც მისი მოწაფეების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა..

მარია შიმშილაშვილი ავადმყოფის საწოლთან

ქალბატონი მარია აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროში. მას აქვს პუბლიკაციები სამედიცინო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში. არის პროფესორების: გ. ბახტაძის, ვ. ალადაშვილისა და კ. ვირსალაძის სტატიების თანაავტორი.

ქალბატონი მარია აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებში თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში,

კოეგში. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ელექ-ტრო-ფონო კარდიოლოგიაში ექიმთა კვალიფიკაციის ამაღ-ლების კურსებზე.

მისი მეუღლე — ხაიმ (მიშა) მამისთვალოვი (1922-1990 წ.წ.) სამხედრო ოფიცერი (ვიცე-პოლკოვნიკი), მფრინავი, ომის ვეტერანი, ორი „წითელი დროშის", „სამამულო ომის" I ხარისხის, „დიდების" II ხარისხის ორდენების კავალერი იყო. ყავს ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

ამჟამად, ქალბატონი მარია 90 წლისაა, ცხოვრობს თბი-ლისში. არის შრომისა და ომის ვეტერანი, დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენით (II ხარისხის) და მედლებით.

მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი კვლავ უზიარებს თავის გამოცდილებას ახალგაზრდა კოლეგებს, მონაწილეობას ღებ-ულობს ავადმყოფთა მკურნალობის პროცესში, აქვეყნებს სამეც-ნიერო—პოპულარულ შრომებს და მისთვის ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურება სამედიცინო დარგს.

დღეს, ქალბატონი მარია სიამოვნებით იგონებს მის მიერ განვლილ მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრების გზას, აღ-მზრდელ მედგოგებს, კოლეგებს, მოწაფეებს და იმედოვნებს, რომ სამომავლოდ გამოსცემს მოგონებებს და ჯეროვან პატივს მიაგებს მათ ღვაწლს ეროვნული მედიცინის სამსახურში.

დოქტორი რეუვენ ელიგერი
(რობერტ ელიგულაშვილი)

ქართველ ებრაელთა ტრადიციულ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი ახალგაზრდა, ქართველი ხალხისადმი სიყვარულსა და ერთგულებას ბავშვობის წლებიდანვე ეზიარა.

რობერტ ელიგულაშვილი დაიბადა ქუთაისში 1953 წელს, მისმა მამამ მიხეილ ელიგულაშვილმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, უმაღლესი საინჟინრო განათლება მიიღო და ავიაკონსტრუქტორად დაიწყო მუშაობა თბილისის ცნობილ ავიამშენებელ ქარხანაში. ამის გამო ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ბატონი მიხეილი მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო, მალე მან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეორე სპეციალობა აითვისა, ტექნოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და წლების განმავლობაში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქვეყნის სამრეწველო დაწესებულებებში.

რობერტ ელიგულაშვილმა თბილისის 44-ე რუსული საშუალო სკოლა 1970 წელს დაამთავრა. საშუალო სკოლაში

სწავლის წლები ულამაზესი პერიოდია მის ცხოვრებაში. დღეს ის დიდი სიყვარულით იგონებს სკოლის მეგობრებს, რომლებიც, მიუხედავად სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლობისა, მუდამ თან გაჰყვა საქართველოს და ქართველი ხალხისადმი ერთგულების ნაუქროებელ ლამპარად.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის საშკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტში გატარებული წლები ბევრ სასიკეთო მოგონებას აღუძრავს ბატონ რობერტს — საექიმო პროფესიისადმი დაუფლების წყურვილი, ახლო სამეგობრო წრე, შესანიშნავ ქალაქში გატარებული დღეები და სხვა მრავალი. მომავალი ექიმის ოცნება იყო გამხდარიყო ქირურგი. ამის მიღწევას თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ათვისება, პრაქტიკულ გამოცდილებათა გაღრმავება, პროფესიისათვის დამახასიათებელი ჩვევების ჩამოყალიბება ესაჭიროებოდა, რასაც დღენიადაგ მუყაითი გარჯა და სწავლა სჭირდებოდა. რობერტი თავდაუზოგავად იღვწოდა დასახული მიზნის მისაღწევად.

ბაქოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა კურსდამთავრებული ექიმი ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს ქალაქის მეორე კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, რომელიც სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ ბაზას წარმოადგენდა. იმ ხანად მას განაგებდა ცნობილი ქირურგი და პედაგოგი, პროფესორი გურამ ტატიშვილი.

ახალგაზრდა ექიმი, კათედრაზე დიდი მონდომებით დაეწაფა პროფესიულ საქმიანობას. პრაქტიკული ჩვევების ათვისების კვალდაკვალ იღრმავებდა თეორიულ ცოდნას, ეუფლებოდა ქირურგიული მანიპულაციების ხელოვნებას.

კათედრის თანამშრომლებს შორის რობერტის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა, ნიჭიერი და უკვე აღიარებული დასტაქარი, პროფესორი გურამ ტატიშვილი, რომლის წყალობით მომავალი სპეციალისტი ითვისებ-

და ყოველივე ახალის, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ავადმყოფთა კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის პროცესებში, კლინიკურ-ანატომიურ გარსკვევებში. ქართველი პროფესორის მიერ გაწეული ამაგი წარმატებული გამოდგა ახალგაზრდა ექიმისათვის, რამაც განაპირობა მისი შემდგომი პროფესიული კარიერის აღმასვლა. ბატონი რობერტი საჯაროდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პროფესორ გურამ ტატიშვილის პედაგოგიური მზრუნველობით გახდა ქირურგი. აი როგორ იგონებს რობერტ ელიგულაშვილთან კოლეგიალურ ურთიერთობას, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, პროფესორი გურამ ტატიშვილი:

„ჩემს მრავალრიცხოვან მოწაფეებს შორის რობერტ ელიგულაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით, მუყაითობით, მიზანდასახულობით, კეთილსინდისიერებითა და საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით. საკვლევით კანონზომიერია, რომ დღეს რობერტ ელიგულაშ-

საზეიმო შეხვედრაზე: მიხეილ ელიგულაშვილი, რობერტ ელიგულაშვილი, პროფესორი გურამ ტატიშვილი მეულლითურთ

ვილი სამართლიანად ითვლება ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთ წამყვან ქირურგად.

რობერტი გავიცანი როდესაც ჩემს კლინიკაში დაინიშნა ინტერნად. ის თბილისის მთელ დღეს სამსახურში ატარებდა, დაუზარებლად მონაწილეობდა ოპერაციებში. ინტერნატურის ერთწლიანი ვადის დამთავრების შემდეგ, მას მქონდა გაკეთებული 130-მდე ოპერაცია. იმ დროს ინტერნების გამოცდებს იბარებდა რესპუბლიკის მთავარი ქირურგი პროფ. ირ. მგალობლიშვილი. მან ეს ცოფრი არარეალურად ჩათვალა და გამოცდაზე არ დაუშვა. მე ბატონ ირაკლის ეუთხარი, რომ გასაუბრებოდა და შემდეგ მიელო გადაწყვეტილება. ასეც მოხდა და კმაყოფილმა ბატონმა ირაკლიმ ბოდიშიც კი მოიხადა.

ჩემთან რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ რობერტი, ღეიძლის ქირურგიაში დახელოვნების მიზნით, მოსკოვში მივავ-

რობერტ ელიგულაშვილი ქართველ კოლეგებთან – ვაჟა დობორჯგინიძესთან და თამაზ ჩხიკვაძესთან, თელ-ავივი, 2006 წელი

ლინე პროფ. ე. გალპერინთან. ამ პერიოდში მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ოთხმოციან წლებში დაბრუნდა საქართველოში. დაინიშნა ლანჩხუთის რაიონის წამყვან ქირურგად. ეს პერიოდი რობერტ ელიგულაშვილის კარიერაში მეტად საყურადღებოა, რადგან აქ მან გამოაჟღინა დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ქირურგის მაღალი კვალიფიკაცია და ისეთი პიროვნული თვისებები, რომ მალე გახდა ლანჩხუთის ღირსეული მოქალაქე. პირველად, რაიონის პირობებში, გააკეთა ურთულესი ოპერაციები, მასთან დახმარებისათვის პაციენტები მეზობელი რაიონებიდანაც მოდიოდნენ.

როდესაც თბილისის რესპუბლიკურ ცენტრალურ საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების გამგის ვაკანსია გამოჩნდა, თამამად გაეგზავნა რობერტ ელიგულაშვილის კანდიდატურას რეკომენდაცია და მან ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სრულიად გამოაჟღინა თავისი შესაძლებლობანი და გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ქირურგის და ხელმძღვანელის სახელი დაიმკვიდრა.

უკვე კარგი ავტორიტეტის, სოლიდური კლინიკური გამოცდილებისა და დახვეწილი ქირურგიული ტექნიკის მქონე სპეციალისტი, ოჯახით საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადის ისრაელის სახელმწიფოში. როგორც ყველას, მასაც დასჭირდა სხვა ქვეყანაში გარკვეული პერიოდი დამოუკიდებელი მუშაობისათვის სათანადო ნებართვის მოსაპოვებლად, რაც მან უმოკლეს დროში შეძლო. დღეს ის ფლობს იმ ქვეყნის ქირურგისათვის დაწესებულ უმაღლეს სერტიფიკატს და ეწევა აქტიურ ქირურგიულ საქმიანობას.

მე ორჯერ ვიყავი საქმიანი ვიზიტით ისრაელში და დავრწმუნდი, რომ ჩვენთან აღზრდილი და ქირურგად ჩამოყალიბებული სპეციალისტი, რობერტ ელიგულაშვილი დღეს ისრაელში ერთ-ერთი წამყვან ქირურგად არის აღიარებული

რობერტ ელიგულაშვილი აღიზარდა ტრადიციულ ქართულ-ებრაულ ოჯახში. მისი დედა, უკეთილშობილესი ქალბატონი ღირსეულად უძღვებოდა ოჯახს. მამა, ბატონი მიხ-

ეილი იყო განათლებული და ერუდირებული პიროვნება, გამოცდილი ეკონომისტი, საფეიქრო წარმოების ცნობილი სპეციალისტი. უაღრესად წესიერი და მოწესრიგებულ ოჯახში აღზრდილმა თვითონაც შექმნა ღირსეული ოჯახი. მისი მეუღლე ქალბატონი ლეილა გამოცდილი მეან-გინეკოლოგია, ხოლო ქალიშვილები ღირსეულად აგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს.

რაც მთავარია, მე განსაკუთრებით მხიბლავს რომ რობერტი, ლეილა და მათი შვილები არ ივიწყებენ იმას, თუ სად არიან დაბადებულნი და აღზრდილნი, სათუთად ინახავენ ქართულ ენას და ტრადიციებს.“

უფროსი მეგობრისა და პედაგოგის ესოდენ მაღალ შეფასებას გულწრფელად ვუერთდებით და გვეამაყება, რომ ბატონი რობერტი და მისი სახელოვანი ოჯახი ჩინებული განსახიერებაა ორი ერის სანიმუშო ურთიერთობისა, ერთგულებისა და სიყვარულის.

კონტაქტები

ისრაელ-საქართველოს
პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ისტორიული მოვლენა იყო ორი ერის
სამედიცინო საზოგადოების ცხოვრებაში.
ამ ფაქტთან დაკავშირებით კორესპონდენტ ნატო
ჰაქსაშვილის საინტერესო მასალა გამოქვეყნდა გაზეთ
"მენორას" 2006 წლის ნოემბრის ნომერში სათაურით:
„ისრაელ-საქართველოს მეცნიერული კავშირები
მედიცინაში", რასაც ვთავაზობთ მკითხველს.

16-23 ოქტომბერს ისრაელში, ქ. თელ-ავივში, ჩატარდა ისრაელ-საქართველოს პირველი ერთობლივი სამედიცინო სამეცნიერო კონფერენცია: „მეცნიერულ-პრაქტიკული კავშირები მედიცინაში-რეალობა და პერსპექტივები".

ამ კონფერენციის ჩატარების იდეა და ორგანიზება პროფესორს, საქართველოს ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლძარღვთა განყოფილების ხელმძღვანელს, ქირურგთა ასოციაციის ნამდვილ წევრს ბ-ნ გივი წიწუაშვილს ეკუთვნოდა.

მას ეს იდეა 2-3 წლის წინათ თბილისში ჩატარებული ერთ-ერთი სამეცნიერო სიმპოზიუმის შემდეგ გაუჩნდა. ამ სიმპოზიუმზე ქართველმა მედიკოსებმა და მეცნიერებმა საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს, ვინაიდან ისრაელი საქართველოს სამედიცინო სფეროს არც თუ ისე კარგად იცნობს, ბატონმა გივიმ გადაწყვიტა ჩაეტარებინა კონფერენცია, რომელშიც ისრაელი და საქართველო მიიღებდა მონაწილეობას.

კონფერენცია 15 სექტემბრისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ისრაელ-ლიბანის ომის გამო ორგანიზატორებს თარიღის შეცვლა მოუხდათ. ამან კი შეამცირა მონაწილეთა რაოდენობა. მიუხედავად ამისა, საქართველოდან ისრაელში ერთობ წარმომადგენლობითი დელეგაცია გაემგზავრა — 30 მეცნიერი.

ისრაელის საელჩომ საქართველოში და პირადად ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა შაბთაი ცურმა დიდი ინტერესი და მხარდაჭერა გამოხატა კონფერენციისადმი და ვიზების დროული გაცემით უზრუნველყო საქართველოს დელეგაციის გამგზავრება.

ამ საერთაშორისო კონფერენციას სიმბოლურად დატვირთვაც ჰქონდა, ანუ საქართველო ისრაელს მხარს უჭერს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. ის ფაქტი, რომ სწორედ ქართველი მეცნიერები ისრაელ-ლიბანის ომის შემდეგ ისრაელს ერთ-ერთი პირველთაგანნი ეწვივნენ, ხაზს უსვამს ისრაელისა და საქართველოს განსაკუთრებულ მეგობრობას.

ისრაელ-საქართველოს I საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ეგიდით მოეწყო. აქტიური მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს საელჩო ისრაელში, ისრაელის საელჩო საქართველოში, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ტელეკომპანია „იმედი", ისრაელის ქართულენოვანი ტელევიზია „GTV", კომპანია „თელიანი ველი".

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი

კონფერენციის თავმჯდომარე გახლდათ პროფესორი გიორგი წიწუაშვილი (საქართველო). საორგანიზაციო კომიტეტს წარმოადგენდნენ კონფერენციის თანათავმჯდომარეები: პროფესორი მ. სარელი (ისრაელი), პროფესორი დავით ბაიზოვი (ისრაელი) და ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უფროსი მამუკა ქაცარავა (საქართველო).

საერთაშორისო საპროგრამო კომიტეტს წარმოადგენდნენ: დ. ბიტრანი (ისრაელი); ბ.იაშვილი (საქართველო); შ. მარდი (ისრაელი); მ. თავართქილაძე (საქართველო); ჰ. კაშტანი (ისრაელი); მ. პაპა (ისრაელი); ჩხიკვაძე (საქართველო); რ.ელიეზერი (ისრაელი), ნ. ორენი (ისრაელი); ვ. რუხაძე (საქართველო) და ბ. ხიხარულიძე (საქართველო).

კონფერენციის მონაწილეთა ჯგუფი

17 ოქტომბერს სასტუმრო „იაბით პარკ პლაზაში" კონფერენციის გახსნის ცერემონიალი გაიმართა. მეცნიერებს მისასალმებელი სიტყვით კონფერენციის თავმჯდომარემ გიორგი წიწუაშვილმა მიმართა. შემდეგ კი სიტყვადოებას მიესალმნენ: საქართველოს ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია, ქ. თბილისის მერიის

კონფერენციის მონაწილეებს ესალმება საქართველოს ყოფილი ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მაშუკა ქაცარავა, საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი დავით ბააზოვი, ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე, პროფესორი შალვა მარდი, ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე პროფესორი მერაბ სარელი, იერუსალიმის „Shaarev Zedek"-ის კარდიოთორაკალური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი დანი ბიტრანი და თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დირექტორი, პროფესორი ბესიკ იაშვილი (თბილისი).

პირველი პლენარული სხდომის თავმჯდომარეები გახლდნენ: პროფესორები: მოშე პაპა, ბესიკ იაშვილი, პანოხ კაშტანი და მერაბ სარელი.

კონფერენციის წინაშე საინტერესო მოხსენებით წარსდგნენ:

მოშე პაპა, მერაბ სარელი, მოშე კოლერი (ისრაელი) „ახალი მიმართულებები ონკოლოგიაში", ბესიკ იაშვილი, იური ბე-

ლიკოვი (საქართველო) „ძიძე დამწვრობის მკურნალობის გადასაჭრელი საკითხები“. მორის ვენტურო, მოშე კოლერი, მერაბ სარელი (ისრაელი) „ლაპაროსკოპიული ტექნიკა კოლორექტალურ ქირურგიაში“. ჰანოხ კაშტანი (ისრაელი) „ქირურგიული მიდგომა საყლაპავი მილის კიბოს დროს“. ვენერა რუსიძე, მარინე დანელია (საქართველო) “ILIB და FN-ის შემცველობა მწვავე პრონქოლიტის დროს“. გივი წიწუაშვილი (საქართველო) „გულმკერდის გამოსვლის სინდრომის ქირურგიული მკურნალობა“.

მეორე პლენარული სხდომა იმავე დღეს გაიმართა. სხდომის თავმჯდომარეები იყვნენ პროფესორები: შალვა მარდი, დანი ბიტრანი, თამაზ ჩხიკვაძე და რეუვენ ელიგერი. აქ მოხსენებით გამოვიდნენ: დანი ბიტრანი (ისრაელი) „ბიტრალური სარქველის რეკონსტრუქცია გულის იშემიური დაავადების დროს“. შალვა მარდი (ისრაელი) „კანის კიბოს გლობალური ეპიდემიის პრობლემის გადაწყვეტა“. რეუვენ ელიგერი, ეფიმ იდილევიჩი, ბერნარდ დავიდოვიჩი (ისრაელი) „სწორი ნაწლავის კიბოს მკურნალობა“. ჯემალ ბენიაშვილი (ისრაელი) „კიბოს გამომწვევი მიზეზები და პროფილაქტიკა“. თამაზ ჩხიკვაძე (საქართველო) „რადიოსკალპელი Surgictrone „TM“-ის გამოყენება კლინიკურ ქირურგიაში“. მამუკა ქაცარავა (საქართველო) „ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვის სამსახურის როლი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში“. მარინა შიხაშვილი (საქართველო) „ადამიანური რესურსების მომზადება პირველად ჯანდაცვაში.“

პლენარული სხდომა საქართველოდან რეპატრირებულმა ახალგაზრდა ექიმმა ნოდარ ორენმა (წიწუაშვილი) ისრაელის ჯანდაცვის სისტემის გაცნობით დაასრულა. იგი ისრაელში ცხოვრების მცირე დროის მიუხედავად, ისრაელის ცნობილი ექიმია და თელ-ავივის ერთ-ერთი დიდი პოლიკლინიკის მთავარი ექიმი გახლავთ.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ისრაელს წარმოადგენდნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები, რომლებიც ისრაელში საქართველოდან არიან ამოსულები: მერაბ სარელი

(იზრაელაშვილი), შალვა მარდი (მარდახიაშვილი), რეუბენ ელიგერი (ელიგულაშვილი), ნოდარ ორენი (წიწუაშვილი), ჯემალ ბენიაშვილი და სხვები.

კონფერენციის დახურვის ცერემონიალზე საზოგადოების წინაშე პროფესორები გიორგი წიწუაშვილი, დავით ბააზოვი და დოქტორი მაშუკა ქაცარავა წარსდგნენ.

ცერემონიალზე აღინიშნა, რომ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის სამედიცინო წინსვლისთვის, ერთსულოვნად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ კონფერენციამ ტრადიციული და ყოველწლიური სახე უნდა მიიღოს და მონაცვლეობით ჩატარდეს სხვადასხვა ქვეყანაში. იმ ფაქტმა, რომ კონფერენციას ესწრებოდნენ მეცნიერები: შვეიცარიიდან, უნგრეთიდან და აშშ-დან კონფერენციის თავმჯდომარეს იმედი ჩაუსახა, რომ მომავალში მათ სხვა ქვეყნის მეცნიერებიც შეუერთდებიან და შემდეგი კონფერენციები უფრო ვრცელი, მასშტაბური და სასარგებლო იქნება.

მამუკა ქაცარავამ აღნიშნა, რომ თავის თავზე აიღებს ინიციატივას, რათა მოხდეს თბილისისა და თელ-ავივის დამობილება.

კონფერენციის მონაწილენი დაჯილდოვდნენ სპეციალური სერტიფიკატებით.

საქართველოს დელეგაციისთვის დაგეგმილი იყო კულტურული პროგრამები. სტუმრები მიიწვიეს ისრაელის წამყვან კლინიკებში: თელ-აშომერის სამედიცინო ცენტრსა და იხილოვის საავადმყოფოებში. მათ მასპინძლობას უწევდნენ: მოშე ბაბა და მერაბ სარელი. სტუმრებმა დაათვალიერეს ისრაელის წამყვანი კლინიკები, გაეცნენ ისრაელის მაღალ, სამედიცინო ტექნოლოგიებს, კვლევისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. კლინიკების მონახულებამ საქართველოს წარმომადგენლების აღფრთოვანება გამოიწვია, ვიანიდან ისრაელში მედიცინა უმაღლეს დონეზეა განვითარებული და აქ აკუმულირებულია მსოფლიოში დაგროვილი მოწინავე გამოცდილება. დელეგაციის წევრებისთვის ექსკურსიები მოეწყო თელ-

ავიყში, იერუსალიმსა და მკვდარ ზღვაზე. დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ მოენახულებინათ ჯვრის მონასტერი, გოლგოთა, გოდების კედელი, იად-ვაშემი და სხვა. მიწვეულნი იყვნენ მკვდარი ზღვის ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქციის ფაბრიკაში.

კონფერენციის მონაწილეებმა მრგვალი მაგიდის ჩარჩოებში განიხილეს სამომავლო ურთიერთობის საკითხები.

ნაყოფიერად ჩატარებულმა კონფერენციამ ორი ქვეყნის მეცნიერებს საშუალება მისცა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ ცოდნა, დაგროვილი გამოცდილება და აქტუალური გახადა მსგავსი კონფერენციების ჩატარების საკითხი.

სავარაუდოდ, შემდეგი კონფერენცია თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებში მოეწყობა.

2007 წლის მაისში, თბილისში,
გაიმართა საქართველო-ისრაელის უკვე ტრადიციული
საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი
ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე.
გაზეთმა „მენორამ" დაბეჭდა
კორესპონდენტ ნინო ლომიას ვრცელი მიმოხილვა
კონგრესის მუშაობის შესახებ.

მეცნიერულ-პრაქტიკული ურთიერთობის ახალი ჰორიზონტები

პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი ქირურგიის საკითხებზე

გუშინ, 21 მაისს, თბილისში დაიწყო საქართველო-ისრაელის I საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე: „მეცნიერული-პრაქტიკული ურთიერთობების ახალი ჰორიზონტები". კონგრესის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, ისრაელის საელჩო საქართველოში, ქირურგიის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ანგიოლოგთა და სისხლძარღვთა ქირურგების ასოციაცია. კონგრესის პრეზიდენტია სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი გივი წიწუაშვილი.

კონგრესში მონაწილეობდნენ საქართველოსა და ისრაელის წამყვანი ექიმები. ისრაელიდან საქართველოს 24-კაციანი ექიმთა დელეგაცია ეწვია. კონგრესი გაიმართება თბილისსა და ბათუმში.

კონფერენციის ჩარჩოებში შედის ექსკურსიები. სტუმრები გაეცნობიან საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მოინახულებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს.

კონგრესი 21 მაისს „ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნა. კონფერენციის გახსნამდე რამდენიმე მონაწილეს გაეესაუბრეთ:

გივი წიწუაშვილი, პროფესორი:

— დღეს ჩვენ ვიწყებთ ისრაელ-საქართველოს საერთაშორისო სამედიცინო კონგრესს. კონგრესზე წარმოდგენილია ქირურგიის აქტუალური საკითხები: ზოგადი ქირურგია, ონკოლოგია, რეკონსტრუქციული ქირურგია, ანუ წარმოდგენილია ქირურგიის ფართო სპექტრი. ეს კონგრესი ძალზე მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ისე ისრაელისთვის, რადგან ხდება გამოცდილებათა გაზიარება. მარტო ისრაელის მხარე არ გვიზიარებს თავის გამოცდილებას — ჩვენც ვუზიარებთ, ჩვენც გვაქვს გარკვეული მიღწევები. ისრაელიდან 24 მეცნიერი ჩამობრძანდა, მათგან სამი საქართველოდან გამოსული ებრაელია, დანარჩენი ისრაელის მკვიდრი. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ღებულობს დღეს მონაწილეობას ამ კონგრესში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

ფრანკლინ გრაიფი, პროფესორი:

— მე თელ-ავივიდან გახლავართ. საქართველოში სამეცნიერო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედი. კონგრესში მედიცინის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენცია მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ისე ისრაელისთვის.

შლომო აალონი, პროფესორი:

— ძალზე მნიშვნელოვანი კონფერენცია ტარდება, მოხარული ვარ, რომ მეც ვმონაწილეობ. კონფერენციაში მრავალი პროფილის ქირურგი მონაწილეობს, ისინი ისრაელის წამყვან კლინიკებში მოღვაწეობენ, მოხარული ვარ, რომ მათ შორის მეც გახლავართ.

ნიკა მენაშეროვი:

— ჩვენ ისრაელიდან ჩამოვედით, რაბინის სახ. სამედიცინო ცენტრს წარმოვადგენთ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ცენტრების არსებობა ხელს შეუწყობს საქართველო-ისრაელის ურთიერთკავშირის გაღრმავებას და ასევე კვალიფიციური კადრების მომზადებას, როგორც აქ, ისე ისრაელში.

რობერტ ელიგულაშვილი (ელიგერი):

— ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენციაა, პირველი კონფერენციაა ისრაელ-საქართველოს შორის. ეს ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია. ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება.

მერაბ სარელი (იზრაელაშვილი), პროფესორი:

— ჩამოვედით, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება, დავსახოთ მომავლის გეგმები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღონისძიება სასიკეთოდ წაადგება ორივე ქვეყნის ექიმებს და საერთოდ საექიმო მოღვაწეობას.

სამეცნიერო კონფერენციას ხსნის კონფერენციის პრეზიდენტი, პროფესორი გივი წიწუაშვილი:

— მოგესალმებით ყველას, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონფერენციის მხარდამჭერებს: მერიას, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატს, ქირურგიის ცენტრს, ისრაელის საელჩოს საქართველოში. მიხარია, რომ ჩემს თანამემამულეებს ვხედავ. ჩვენი კონფერენცია ისრაელშიც გაგრძელდება.

მნიშვნელოვანია ისრაელ-საქართველოს ურთიერთობა, აღსანიშნავია, რომ შარშან პეხბოლასთან ისრაელის ომის შემდეგ პირველი ჯგუფი, რომელიც ისრაელში ჩავიდა და არ შეუშინდა ომს, გახლდათ საქართველოდან, ჩვენ ისრაელში 30-კაციანი შემადგენლობით ჩავედით.

მადლობა მინდა გადავუხადო ბ-ნ მამუკა ქაცარავას დახმარებისთვის.

გივი წერეთელი, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

— დღეს აქ ბევრი ცნობილი ადამიანია ჯანდაცვის სფეროდან, არა მხოლოდ ქირურგიაში. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა, ჩვენი კოლეგების ხილვა, იმ კოლეგებისა და მეგობრებისა, ვინც დღეს ისრაელში მოღვაწეობს, და რომელთათვისაც საქართველო და საქართველოში მიმდინარე პროცეს-

ები არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ უნდა ვისაუბროთ ჩვენი ქვეყნების მართლაც უახლოეს ურთიერთობებზე, მაგრამ უნდა აღვნიშნო აუცილებლად სახელმწიფოებრივი კუთხით ზოგადად, რომ ისრაელი ჩვენი არა მხოლოდ მეგობარი, არამედ ჩვენი მთავარი პარტნიორია ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურასა და ჯანდაცვის სფეროში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ჯანდაცვას, მოსახლეობის დაცვის კუთხით. ისრაელი ამ სფეროში არის ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოში. მისი სისტემა არის ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ იმ პერიოდში, როცა საქართველოში მიმდინარეობს ძალიან დიდი კონცეპტუალური ცვლილებები. პრაქტიკული ნაბიჯები იდგმება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წამყვან სამეცნიერო წრეებთან, სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ექიმებთან პროფესორებთან აქტიურ თანამშრომლობას, იმისათვის, რომ იყოს დახმარება და ჩვენი ჯანდაცვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება წავიდეს სწორი გზით. ამ მხრივ ამ კონგრესის დაფუძნება, ეს შეხვედრა იქნება ძალიან კარგი სტიმული სხვა მიმართულებისთვისაც და, რაღა თქმა უნდა, ზოგადად ხელს შეუწყობს და კიდევ ერთი შტრიხი იქნება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებში, ურთიერთ სასარგებლო ქმედებებში, რაც ყოველდღეა ხელშესახები. კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას საქართველოს სახელით, ჩვენი კომიტეტის სახელით და დიდი მადლობა ორგანიზატორებს, სტუმრებს ჩამობრძანებისათვის და ჩვენ ერთად განვიხილავთ საინტერესო საკითხებს.

შაბთაი ცური, ***ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში:***

— ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ! ქალბატონებო და ბატონები!

ჩემთვის უდიდესი პატივია მივესალმო საქართველო-ისრაელის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის დელეგატებსა და საპატიო წევრებს.

ყველას კარგად გვესმის ასეთი წარმომადგენლობითი კონგრესის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის სამედიცინო სფეროში

ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აქვე აღვნიშნავ პროფესორ გიგა წიწუაშვილის დამსახურებას კონგრესის ორგანიზების საკითხში და მასთან ერთად ყველას უდიდეს მადლობას მოვახსენებ, ვინც ამ საქმეში წელიწადი შეიტანა. ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე საუბრისას ყოველთვის ბევრი პოზიტივია, როგორც მოვეხსენებათ, წელს ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 15 წელი აღინიშნება. თუმცა, სიამაყით შეიძლება აღვნიშნო, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე ურთიერთობა უფრო დინამიკური გახდა. ამის მაგალითია თუნდაც სამედიცინო სფერო.

საელჩო არსებული მაშაყის ცენტრის ეგიდით ყოველწლიურად ხდება ქართველი სპეციალისტების მიყვანება ისრაელში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ყოველწლიურად ხდება რამდენიმე ექიმის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ისრაელის წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებში.

ისრაელიდან ჩამოდიან ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები და სხვადასხვა სახის ტრეინინგებსა და სემინარებს უტარებენ ქართველ ექიმებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით მოწვეულები იყვნენ „მაგენ დავიდის" სასწრაფო დახმარების ექსპერტები. საქართველოს ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა თეორიული და პრაქტიკული შეცადინეობები და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ „დავიდის წითელმა ვარსკვლავმა ისრაელში" და „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ" ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს. მათ შორის თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. „დავიდის წითელი ვარსკვლავის" წარმომადგენლები ამჟამადაც საქართველოში იმყოფებიან.

ისრაელის საელჩოს ეგიდითა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ისრაელიდან ჩამოვიდნენ კატარაქტაზე სპეციალიზირებული ქირურგები.

პროექტის ფარგლებში გაკეთდა კატარაქტის უფასო ოპერაციები თბილისში, ქუთაისსა და ყანში, რის შედეგადაც მხედველობა დაუბრუნდა რამდენიმე ათეულ უსინათლო ადამიანს.

საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და ძირეულ ცვლილებებს ისრაელში ისეთი ინტერესით ადევნებენ თვალს, რომ ბევრ ისრაელელს გაუჩნდა საქართველოში მოგზაურობის სურვილი.

შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო სამ წელიწადში ერთი ათად იმატა ისრაელელი ტურისტების რიცხვმა საქართველოში.

დასასრულს, მსურს ხაზგასმით აღვნიშნო ამ სამედიცინო კონგრესის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და კავშირების განმტკიცების საქმეში.

მერაბ სარელი (იზრაელაშვილი), პროფესორი:

— უღრმესი მადლობა ბ-ნო გივი, ქართულენოვანი ებრაელობის წარმოჩინებისათვის! მინდა მოგახსენოთ, რომ ისრაელის დელეგაცია არც ისე მრავალრიცხოვნად არის წარმოჩენილი, მაგრამ მსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს აუდიტორაში იმყოფებიან ისეთი რანგის სპეციალისტები, რომელიც თავისუფლად დაამშვენებდნენ ევროპის წამყვან კლინიკებს. პირველ რიგში მინდა დავასახელო პროფესორი ქირურგი გრაიფი, რომელიც ისრაელის დიდ სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობს, მეტად წარმატებული ქირურგი, მაღალპროფესიონალი. მინდა მას მადლობა მოვახსენო, რომ ჩემს სამშობლოში ჩამოვიდა და მონაწილეობს ჩვენს ფორუმში. მინდა დავასახელო პროფესორი ბენ-დავიდი, რომელიც თელავივის უნივერსიტეტის ანატომიის კათედრას წარმოადგენს, მადლობა მას ჩამობრძანებისათვის. ასევე მინდა დავასახელო სარძევე ჯირკვლის სიმსიონეებისა და საერთოდ, ამ პათოლოგიის დიდი სპეციალისტი, დიდი მცოდნე ბატონი შლომო აალონი, რომელიც ჩვენთან არის, მე ამ გვარების დასახელებით არ მინდა მოგაბეზროთ თავი — თითოეულ მათგანს მინდა მადლობა გადავუხადო, ახლა კი საქმეზე: მიმაჩნია, რომ დღეგანდელი ჩვენი შეკრება, კერძოდ, საქართველოსა და ისრაელის დღეგანდელი ექვსდღიანი

ფორუმი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლავთ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსოფლიოს დღევანდელი ისტორიულ-პოლიტიკური, თუ გნებავთ, მეცნიერული სფერო განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ჩემს ორ სამშობლოს — ერთი მხრივ ისრაელს, მეორე მხრივ — საქართველოს ჩვენ დღეს უდიდესი მოვალეობა გვაწევს, დიდი ქართველი და დიდი ებრაელი ხალხი ძალაური ნაკადით უნდა შეუერთდეს მსოფლიოს მოწინავეთა კლანს, ხოლო ქართველები და ებრაელები ერთმანეთს უნდა დაუდგნენ მხარში ჭირშიც და ლხინშიც და ურღვევი კავშირი დაამყარონ. მე მინდა რამდენიმე წინადადება გავიხსენო. დიდი ილიას წერილიდან „ოსმალოს ქართველები", სადაც ის ხაზგასმით წერს — „არც ერთობა სარწმუნოებისა, არც ერთობა გვარ-ტომობისა, ისე არ აახლოებს ერებს, როგორც ერთობა ისტორიისა" და თუ ეს, მართლაც, ასეა, მაშინ იდუმალი მიმზიდველობა ქართველებსა და ებრაელებს შორის გასაგები უნდა გახდეს. არასოდეს მაქეოფოს ღმერთმა ჩემს ქვეყანაში, ჩემს საქართველოში სტუმარი, მაგრამ მაინც: საქართველოში იშვიათად ვარ, ვიდრე თქვენ. რა იპყრობს ჩემს ყურადღებას დღევანდელ საქართველოში? საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიოს მოწინავე სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის სფეროში ხდება სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ხარჯზე ერთი მხრივ და მეორე მხრივ უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვის გზით. ეს კი, რასაკვირველია, დიდ ცოდნას მოითხოვს. ჩვენთვის არცთუ ისე უცნობი პოლიტიკური მოღვაწე აბობდა: „რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო". ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოწინავე უნივერსიტეტებში ბევრი ახალგაზრდა ქართველი ექიმი ეწაფება ცოდნას იმისათვის, რომ თავისი ჭკუა, ისევ ილიას ვუბრუნდები: „ცოდნით მოიკაზმოს, ცოდნის ძუძუთი გამოზარდოს".

დასამალი არ არის, რომ დღეს მსოფლიოს საექიმო არენაზე მხოლოდ მცოდნე, განათლებული, უაღრესად პროფესიონალი ექიმები იღვწიან. უცოდინარ ექიმებს არასოდეს პქონიათ და არც არასოდეს ექნებათ ბურთი და მოედანი საასპარ-

ეზოდ. მიმაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი ფორუმი ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ ცოდნა გაეიღრმავოთ მედიცინის დარგში, რომელსაც ქირურგია ჰქვია.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს, აგრეთვე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა გია მენაბდემ და თბილისის მერის მოადგილემ მამუკა ახვლედიანმა.

შემდეგი, რიგით მე-4 კონფერენცია, ჩატარდა ისრაელში, ქ. იელ-ავივში 2008 წლის ივნისში. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მეცნიერები შვეიცარიიდან, უკრაინიდან, ჩინეთიდან და კანადიდან.



კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

მორიგი, საიუბილეო მე-5 კონფერენცია დაგეგმილია ჩატარდეს საქართველოში.

ბოლოთქმა

ერთ-ერთ ტელეინტერვიუში ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა ამ სიტყვებით მიმართა ტელეაუდიტორიას: „მე, ქართველი-ებრაული წარმომავლობის —“

ეს გამოთქმა სხვებს შესაძლოა კადნიერებად ჩამორთმეოდათ, მაგრამ ბატონმა ბადრიმ ამით გამოხატა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ახლობლური, გულითადი დამოკიდებულება, რაც შესანიშნავად ერწყმის ქართველი და ებრაელი ხალხის როგორც ისტორიულ წარსულს, ასევე დღევანდელობას.

დასასრულს გვინდა გამოვთქვათ ჩვენი სურვილი იმის თაობაზე, რომ საუბარი გამოჩენილ ქართველ-ებრაელ მედიკოსთა ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის მოგვეთხრო ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც ქართველმა ებრაელებმა გაიღეს თეორიული, კლინიკური, პროფილაქტიკური, სამედიცინო მენეჯმენტურ სამსახურში, მათი მოქალაქეობრივი პოზიცია, დამოკიდებულება და თანაცხოვრება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასთან, მათი ყოფისა და პროფესიული საქმიანობის საგულისხმო ეტაპები.

წარსული და დღევანდელობა ებრაელ ხალხთან ერთად – ასე შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი თხრობის მიზანს, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მის შინაარსს. მეგობრობის მაღალმა ადამიანურმა გრძნობებმა განაპირობა წიგნზე მუშაობა, რომელსაც ავტორები საპატიო და საამაყო მოვალეობად მივიჩნევთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბონ ციციაშვილი - „ებრაელები და საქართველო“, თბილისი, 2003 წ.
2. გურამ ბათიაშვილი - „მზე ღრუბლებში“, თბილისი, 1989 წ.
3. Голда Меир – «Моя жизнь», Библиотека – Алия, 1990 г.
4. Еврейская традиция, Иерусалим, 1998 г.
5. По трапам еврейской истории, Библиотека – Алия, 1993 г.
6. История еврейского народа, Библиотека – Алия, 1994 г.
7. Что значит быть евреем? Введение в еврейскую традицию.
8. Государство Израиль, Библиотека – Алия, 1990 г.
9. რ. ხეცურიანი, ვ. ყიფიანი, ქ. ქორჩილავა - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“, თბილისი, 1999 წ.
10. К. Зудгоф – «Медицина средних веков и эпоха возрождения», Москва, 1999г.
11. მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, ლ. ჭეიშვილი, ც. ჩხეიძე „საქართველოს მედიცინის ისტორია“, ტომი IV, თბილისი, 1960.
12. მიხეილ შენგელია – ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1980წ.
13. Т. Мейер-Штеннег – “Медицина XVII-XIX веков, Москва, 1999.
14. „დანატოვარი ფიქრები“ კრებულის შემდგენელი ნათელა პაჭარიქალიშვილი, 1995 წ.
15. „ერთობა“ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ჟურნალი, № 1, 2004 წ.
16. დავით გეგეშიძე – სამედიცინო დეონტოლოგია, ბიოეთიკა, თბილისი, 1996 წ.
17. Ученые, Тель-Авив, 1988 г.
18. ირაკლი აბაშიძე – პალესტინის ლღიერი, თბილისი, 1960 წ.
19. ლილი მაგალი – ოქროს საწმისის ქვეყანაში“, თელ-ავივი, 1992 წ.

სარჩევი

ორი ერის ურთიერთობის ისტორიული წარსული 3
ქართველი ებრაელობა და მედიცინა საქართველოში 15
დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში 32
ტრადიცია 39
არავინ და არაფერი დავიწყებას არ უნდა მიეცეს 42
არ დავიწყება ღვაწლისა. 48
დინა იაკობის ასული დავარაშვილი 52
ბენიამინ ისაკის ძე ბოთერაშვილი 55
ცირა ბენიამინის ასული ბოთერაშვილი 57
ლანა ლეონიდეს ასული სარიშვილი (ლანა ბარი) 60
დავით ლეონიდეს ძე სარიშვილი (დავით სარიდი) 62
პროფესორი იოსებ ბენიამინის ძე ქურჩიშვილი 65
პროფესორი გივი აბრამის ძე წიწუაშვილი 70
შალვა აბრამის ძე წიწუაშვილი 85
დავით სიმონის ძე ბათოშვილი (ბატაშ) 91
მოსე ბენციონის ძე ბინიურიშვილი 93
მერაბ შალომის ძე ჩიკვაშვილი 95
ნონა ეფრემის ასული ჩიკვაშვილი 97
პროფესორი დან მიხაელი (მიხელაშვილი) 100
გამორჩეული ექიმი 103
ბენ-დავიდ მალქა 107
„აქაც ბათუმის ცხოვრებით ვცხოვრობ“ 110
სოსო (თენგიზ) ილიას ძე დავარაშვილი 123
დავით ილიას ძე დავარაშვილი 128
მერაბ იოსების ძე ჯანაშვილი 132
ზაზა იაკობიშვილი 135
ირაკლი დავარაშვილი 144
ნანა (თამარ) იოსებაშვილი 146

პროფესორი მერაბ სარელი (იზრაელაშვილი) 151
პროფესორი შალვა მარდი (მარდახიაშვილი) 155
შალვა მარდი ნოსტრადამუსის წინააღმდეგ - ლეგენდა თუ რეალობა? 157
აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი 162
აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი 165
მარია ნამთალის ასული შიმშილაშვილი 169
დოქტორი რეუვენ ელიგერი (რობერტ ელიგულაშვილი) 172
კონტაქტები 178
მეცნიერულ-პრაქტიკული ურთიერთობის ახალი ჰორიზონტები 185
ბოლოთქმა 193

დაიბეჭდა: შპს „პოლიგრაფისტი“, სურამის ქ. №13